პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.;
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს.
სტამბის ტელეფ. 13—80 სექსპედ. 5—43.

ოთხშაბათი, 12 იანვარი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 8 (1763)

დ ღ ი უ რ ი

— გენერალური საბჭო ცდილობს თავი გაიმართლოს მუშების წინაშე.
— შეერთებული შტატები ცდილობენ ომისათვის [illegible] მექსიკა.
— მთელი ინგლისის პრესის ყურადღება მიპყრობილია ჩინეთის ამბებისაკენ.
— კუნძულ სუმატრაზე გრძელდება [illegible] აჯანყება ჰოლანდიის ხელისუფლების წინააღმდეგ.
— დასრულდა საფრანგეთის სენატის [illegible] თავისი ხმები შეინარჩუნეს. — [illegible] ის მაღაროს მუშები განაგრძობენ ბრძოლას.

ჩვენი სავაჭრო აპარატის ტკივილები

ფასების დაკლება ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. პარტია და ხელისუფლებას კარგად აქვს გათვალისწინებული ამ საკითხის უაღრესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. ამიტომ გასაგებია ის გაცხოველებული კამპანია, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ფასების დაკლების მიზნით.

მაგრამ ამავე დროს სამწუხაროდ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ფასების დაკლებისაკენ მიმართულ ბრძოლისაგან ჩვენ ჯერ-ჯერობით იმდენივე ნაყოფი არ მიგვიღია, რამდენიც ეს მოსალოდნელი იყო. ასე ითქმის საზოგადოთ საბჭოთა კავშირზე და კერძოთ საქართველოზედაც.

სასოფლო - მეურნეობის საგნების ფასებს ჩვენში თითქმის არა დაუკლია, მრეწველობის პროდუქციაზე კი ჩვენ საშუალოდ მივაღწიეთ ფასების მხოლოდ 1,2 პროცენტით დაკლებას. რა არის ამის მიზეზი?

ამაზე მჭერმეტყველურ პასუხს იძლევა საქართველოს კომპარტიის თბილისის კონფერენციაზე გაკეთებული ამხ. კახიანის საანგარიშო მოხსენება, რომლის შინაარსსაც მკითხველი ქვემოთ გაეცნობა. ჩვენი სავაჭრო აპარატის ტკივილები—აი, დასკვნა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ ამ მოხსენებიდან, როცა ვაყენებთ კითხვას ფასების დაკლების შესახებ.

რაში გამოიხატება ჩვენი სავაჭრო აპარატის ტკივილები? აქ პასუხის ძებნა დიდ ხანს არ დაგვჭირდება. ეს ტკივილები ჩვენი სავაჭრო ორგანოების მოუქნელობაა, რაიც პირველყოვლისა მდგომარეობს მუშაობის პარალელიზმში.

ჩვენ მრავალი ერთი-მეორესაგან დამოუკიდებელი სავაჭრო ერთეულები გვაქვს, რომელნიც ერთ და იმავე დროს, ერთ იმავე საქმეს აკეთებენ. გარდა იმისა, რომ ამას ზედმეტი არევ-დარევა შეაქვს ბაზრის საქონლით დაკმაყოფილების საქმეში, ის გაუმართლებელ ხარჯებსაც აწვება ჩვენს სავაჭრო ქსელს და ამრიგად ხელს უწყობს მის დეფიციტიანობას, რაც არც ისე იშვიათი მოვლენაა კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებში.

პარალელიზმის გვერდით ჩვენს სავაჭრო აპარატის მუშაობაში ზოგჯერ ადგილი აქვს მეორე, არანაკლებ მტკივნეულ მოვლენას, ესაა ფუნქციათა აღრევა, თავის პირდაპირი ამოცანების დავიწყება და სხვის საქმეებზე წაპოტინება. ეს ჩვენი მუშაობის საერთო უსისტემობის ნაყოფია, რომელიც თავის გამოხმაურებას სავაჭრო ქსელის საქმიანობაშიც პოულობს. ფუნქციათა ჩამოყალიბების, მოქმედების ასპარეზის დანაწილების და ნათლად განსაზღვრის საკითხი საერთო საკითხია დღეს საბჭოთა აღმშენებლობაში.

სავაჭრო აპარატის მუშაობაში კი ფუნქციათა ეს აღრევა ზოგჯერ კურიოზულ მდგომარეობასაც ჰქმნის. სასაცილო იქნებოდა ეს კურიოზები, რომ ისინი საბჭოთა ხაზინას ძვირათ არ უღირდენ და წყალს არ ასხამდენ კერძო ვაჭრის წისქვილზე. აი, მაგალითად ფუნქციათა აღრევის თვალსაჩინო მაგალითები იმავე მოხსენებიდან თბილისის პარტკონფერენციაზე.

საპონ-ზეთის ტრესტი თავის პირდაპირი დანიშნულების ნაცვლად ქსოვილების ოპერაციებს ჰკიდებს ხელს. წარსულ 1926 წლის დეკემბერში მან კერძო ვაჭარს მიჰყიდა ასი ათასი მანეთის მაუდი და ორმოცდაათი ათასამდე მანეთის ბამბა, ისიც ნისიათ. ასეთივე ხასიათის ცოდვები მიუძღვის ტყავის ტრესტს.

ცხადია, მდგომარეობა არას დიდებით არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. გარდა აღნიშნულ დაბრკოლებათა ჩვენი სავაჭრო ქსელის მუშაობას მძიმე ლოდათ აწევს აპარატის მოუწესრიგებლობა. ბიუროკრატიზმი და აქედან გამომდინარე უარყოფითი მხარეები, წინ ეღობება კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების ნორმალურ მუშაობას. ზედმეტი შტატი, დანართი ხარჯების სიდიდე, მფლანგველობა და სხვა სახის ბოროტმოქმედებათა სათავე უმთავრესად ჩვენი სავაჭრო ქსელის აპარატის მოუწესრიგებლობაში და ბიუროკრატიულ დამახინჯებაში უნდა ვეძიოთ.

ყველა ამ ტკივილებით მოხერხებულათ სარგებლობს კერძო კაპიტალი, რომელიც ცნობილია თავის ელასტიურობით და გამძრომელობით, ზოგჯერ ჩვენი სავაჭრო აპარატის სისუსტე, მისდაუნებარათ ხელს უწყობს კერძო დაგროვების გაძლიერებას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს მეღვინეთა კავშირი, რომელმაც ღვინის ბაზარი ჩვენში თითქმის მთლიანად კერძო ვაჭარს ჩაუგდო ხელში. მან ნებაყოფლობით ხელი აიღო საქონლის შესყიდვა-გასაღების ოპერაციებზე. მომხმარებელსა და მეღ-ვთა კოოპერატივს შორის კერძო ვაჭარი აიტუზა და ამნაირად კოოპერატივმა დაჰკარგა თავის არსებობის მნიშვნელობა. ასეთ პირობებში ბრძოლა კერძო სავაჭრო კაპიტალთან და ფასების დაკლებისაკენ მიმართული ღონისძიებანი უნაყოფო ცდა იქნება. ამიტომ კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების თვითგამორკვევის საკითხი ერთ-ერთ საჭირბოროტო ამოცანას წარმოადგენს ჩვენს სავაჭრო პოლიტიკაში, ამ საკითხის მოგვარებაზე ბევრადაა დამოკიდებული კერძო კაპიტალის იზოლიაცია.

ასეთია ზოგადათ ის ტკივილები, რომელნიც ახასიათებენ ჩვენს სავაჭრო აპარატს და რომელთა დაძლევისაკენაც უნდა იქნას მიქცეული ჩვენი სამეურნეო ორგანოების მთავარი ყურადღება.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა და მასები

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიული აპარატის გამარტივებისა და გაიაფების საკითხი, ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან და უპასუხისმგებლობასთან და ბიუროკრატიზმის სხვა მოვლენებთან ჩვენს აპარატში, შეადგენს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის მრავალმხრივ და რთულ ამოცანის ერთ-ერთ მხარეს.

რაც უფრო რთული და ბიუროკრატიულია აპარატი, მით უფრო ძნელია მუშებისა და გლეხების მასების ჩაბმა მასში, მით უფრო ძნელია კომუნისტური ხელმძღვანელობის განხორციელება და მით უფრო სუსტად ატარებს ეს აპარატი პარტიულ ხაზს.

„ბიუროკრატიზმი წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე“ (მე-15 საკავშირო პარტკონფერენციის რეზოლიუცია). ბიუროკრატიზმი, როგორც არა ერთხელ განუმარტავს ლენინს, არის შედეგი ჩვენი უკულტურობის, ჩვენი ჩამორჩენილობის და იმ მიზეზის, რომ მუშებისა და გლეხების ფართო მასებს არ აქვთ მართვა-გამგეობისათვის აუცილებელი ცოდნა. მაშასადამე ბიუროკრატიზმის სავსებით და მთლიანად აღმოფხვრა—ხანგრძლივი ამოცანაა. ეს ამოცანა გადაიჭრება ჩვენი ქვეყნის შემდგომი სამეურნეო და კულტურულ ზრდასთან ერთად ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე.

თუ წინედ პარტიას არაერთხელ დაუყენებია საკითხი დღის წესრიგში ჩვენი აპარატის ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან ბრძოლის შესახებ და თუ ეს ამოცანა აქამდე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა, მით უფრო ეხლა, როცა ჩვენ შევდივართ ეგრედ წოდებულ რეკონსტრუქტიულ პერიოდში, ბრძოლა „სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმთან, ამ აპარატის ნამდვილად გარდაქმნის მიზნით და მით პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება“ პარტიის მიერ პირველხარისხოვან ამოცანად არის გამოცხადებული.

აქამდე ბიუროკრატიზმთან ბრძოლა სწარმოებდა თითქმის განსაკუთრებით ბიუროკრატიზმის ცალკე მოვლენებთან ბრძოლით. ამჟამად ეს ამოცანა ჩვენს წინაშე სხვანაირად სდგას. წარსულ წელთა მანძილზე ჩვენი ადმინისტრატიული და სამეურნეო აპარატი იქმნებოდა ნგრევის, სიმშილის და სიღატაკის პირობებში. ეს პირობები განსაზღვრავდენ სხვადასხვა ორგანოების მოქმედების ფარგლებს და მათ ურთიერთშორის დამოკიდებულებას. ამჟამად ეს პირობები ძირიანად შეიცვალა. ჩვენ არა თუ თავი დავაღწიეთ ნგრევის პერიოდს და არა თუ აღვადგინეთ ჩვენი მეურნეობა, არამედ კიდევაც შევუდექით მის უფრო რაციონალურად მოწესრიგებას. მეურნეობის რაციონალიზაციის ამ ამოცანასთან შეფარდებით აუცილებელია მმართველობის აპარატის მთელი სისტემის უფრო რაციონალურად მოწყობა.

წინა ეტაპში შექმნილი მმართველობის სისტემა არ შეეფერება სამეურნეო და პოლიტიკური განვითარების ახალ ამოცანებს, აფერხებს ამ ამოცანათა განხორციელებას და „აუცილებლად მივყევართ საშუალებათა ფლანგვასა და ბიუროკრატიზმის გაძლიერებასთან“.

ამასთანავე ერთად „აღდგენითი პერიოდის დროს შეიქმნა მუშაკების კადრი, რომელმაც მიიღო უკვე დიდი გამოცდილება მმართველობის ორგანიზაციის საქმეში“.

წითელი დირექტორების, ტრესტების და სხვა სამეურნეო და ადმინისტრატიულ მუშაკების კადრები გაიზარდა და გამაგრდა. გაიზარდა მოსახლეობის ფართო ფენების კულტურული და პოლიტიკური დონე. ჩვენ უფრო ძლიერი გავხდით. ამიტომ ამჟამად, ცალკე ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა გამოაშკარავებასა და აღმოფხვრასთან ერთად, ჩვენი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ იმ მიმართულებით, რომ სისტემატიურათ, კვალ და კვალ, გადავსინჯოთ და გარდავქმნათ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მმართველობის სისტემა.

აი რატომ სთვლიან ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია, ეს „ჩვენი აპარატის გაუმჯობესების იარაღი“ ამ მუშაობას თავის ძირითად პირველხარისხოვან ამოცანათ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამ მუშაობაში წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების ფართო დახმარება და უწინარეს ყოვლისა დახმარება პარტიულ საზოგადოებრივობისა. პარტიის და უპარტიო მასების მობილიზაცია მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების გარშემო ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად—ასეთია ყველა პარტიულ ორგანიზაციების ამოცანა.

განსაკუთრებული ადგილი ამ ბრძოლაში ეკუთვნის მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციას. მოსკოვშია თავმოყრილი მმართველობის ყველა ძაფები. ცენტრალურ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მოწყობა-მოწესრიგებისაგან ძლიერ ბევრი რამაა დამოკიდებული ადგილობრივ აპარატის მოწყობის დროს. ამასთანავე ერთად, სწორედ მოსკოვის ორგანიზაციის რიგებში, რომელიც წარმოადგენს ჩვენი პარტიის ერთ-ერთ უდიდეს პროლეტარულ ორგანიზაციას, არიან პარტიული კადრები—სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ხელმძღვანელები. აი თუ რატომ უნდა დაეკისროს განსაკუთრებით მოსკოვის ორგანიზაციას ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, აპარატის გამარტივებისა, გაიაფებისა და რაციონალიზაციისათვის ბრძოლა. დიდი გამოცდილება სამეურნეო მშენებლობის საქმეში და რიგების პრინციპიალური სიმტკიცე და სიმჭიდროვე იძლევიან რწმენას, რომ ითავებს რა მშრომელთა ფართო მასების ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში ჩაბმის საქმეს, მოსკოვის ორგანიზაცია, მთელ პარტიასთან ერთად, წარმატებით შეასრულებს ამ ამოცანას.

მოსკოვი, 11 იანვარი.

ოსმალეთ-საბჭოთა მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ

განზრახულია გერმანიის ახალი მთავრობა ნაციონალისტების მონაწილეობით შეადგინონ

ინგლისის ზოგიერთ რაიონებში მემაღაროეთა გაფიცვა გრძელდება.—მემაღაროეები დახმარებას ითხოვენ

საკავშირო პროფსაბჭომ ინგლისის მემაღაროეებს ერთი მილიონი მანეთი გადაუგზავნა

ამერიკა ფლოტს აძლიერებს ჩინეთის წყლებში.-ჯარების შეკრება ფილიპინის კუნძულზე

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება

სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ

ანგორა, 10 იანვარი. განახლდა მოლაპარაკება ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ხელშეკრულება შეეხება სავაჭრო ურთიერთობას და აგრეთვე თითეული ქვეყნის მოქალაქეთა უფლებებს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. (ადს).

ლატვიის მთავრობა უარყოფს

„ჭორებს პოლონურ წყაროებიდან“

რიგა, 10 იანვარი. გაზეთები აქვეყნებენ გაზეთ „კენიგსბერგერ ალგემეინე ცეიტუნგ“-ის ცნობას კოვნოდან, რომელშიაც ნათქვამია, რომ რიგაში იმყოფებოდა პილსუდსკის სპეციალური ემისარი, რომელმაც ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მრავალ ლიდერებთან მოლაპარაკების შემდეგ დაითანხმა ლატვიის მთავრობა პოლონეთის მიმართ პოზიციის შეცვლაზე და რომ მოლაპარაკების შემდეგ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ცელენსი დასთანხმდა საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების დროს მხედველობაში მიიღოს პოლონეთის ინტერესები და სურვილები.

ამ ცნობებთან დაკავშირებით, ცელენსმა მიიწვია საბჭოთა კავშირის რწმუნებული ბორკუსევიჩი და ოფიციალურად განუცხადა მას, რომ კენიგსბერგის გაზეთის ცნობა წარმოადგენს ჭორს, რომლის მიზანია გავლენის მოხდენა საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობაზე და საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების ჩაშლა.

მინისტრის აზრით ეს ჭორები პოლონურ წყაროებიდან გამომდინარეობენ. (ადს).

ზალესკი-პოლონეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ვარშავა, 11 იანვარი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელ კლუბში დიდი სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელშიაც მან განაცხადა:

„უკანასკნელ ხანებში გერმანიაში მძაფრი კამპანია სწარმოებს ჩვენი დასავლეთის საზღვრების გადასინჯვისათვის. ჩვენ კარგი ურთიერთობის დამყარება გვინდა გერმანიასთან მაგრამ პომერანიის და სილეზიის მიწის არც ერთ მტკაველს არ დავთმობთ. ჩვენი პოლიტიკა საბ. კავშირის მიმართ დამყარებულია იმაზე, რომ პოლონეთის ხალხი ისწრაფვის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა იქონიოს საბჭოთა კავშირთან. ყველა დაბრკოლებათა მიუხედავათ პოლონეთის პოლიტიკა აღმოსავლეთში იხელმძღვანელებს მშვიდობიანობის პრინციპებით და თავის ვალდებულებათა შესრულებით. (ადს).

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

მოლაპარაკება მთავრობის შედგენის შესახებ

მთავრობის შედგენა მიენდო კურციუსს

ბერლინი, 10 იანვარი. პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა დაავალა სახალხო მეურნეობის მინისტრს კურციუსს შეადგინოს ახალი მთავრობა.

კურციუსმა თანხმობის მიცემაზე უარი სთქვა სანამ არ გამოირკვევა მისი მოლაპარაკების შედეგები რეიხსტაგის ფრაქციებთან. (ადს).

გზა-ჯვარედინზე.

ბერლინი, 10 იანვარი. საპარლამენტო წრეების ცნობით, ნაციონალისტები და სახალხო პარტია განაგრძობენ მოლაპარაკებას მთავრობაში მონაწილეობის შესახებ.

ცენტრის პარტიასა და სოც.-დემოკრ. ჯერ არ გამოუტანიათ თავისი საბოლოო გადაწყვეტილება მთავრობაში შესვლის საკითხის შესახებ.

სოციალ-დემოკრატებმა კვლავ განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან ითანამშრომლონ მთავრობაში ყველა იმ პარტიებთან, რომლებიც დგანან რესპუბლიკანური კონსტიტუციის პლატფორმაზე. (ადს).

კურციუსის განცხადება

ბერლინი, 10 იანვარი. კურციუსმა ვოლფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„გერმანიის პოლიტიკის სიმტკიცე მოითხოვს უმრავლესობის მთავრობის შედგენას. ამისათვის საჭიროა ხიდის გადება მარჯვნივ, რათა საშუალება მიეცეს ცენტრის პარტიებს ითანამშრომლონ ნაციონალისტებთან იმ პოლიტიკის საფუძველზე, რომელსაც მთავრობა ატარებდა დღემდე“.

შემდეგ კურციუსმა განაცხადა, რომ პრეზიდენტისაგან მას მიღებული აქვს თანხმობა აწარმოოს ასეთი ხასიათის მოლაპარაკება. (ადს).

დემონსტრაციები ბერლინში

ბერლინი, 10 იანვარი. ბერლინში გაიმართა სამი დემონსტრაცია, რომლებიც მოაწყო კომპარტიამ. დემონსტრაციების ლოზუნგი იყო; რეიხსტაგი უნდა დაიშალოს, ძირს ტერორი ლიტვაში.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 6.000 კაცმა. (ადს).

აჯანყება სუმატრაზე

დამპყრობელების შურისძიება

ამსტერდამი, 10 იანვარი. უკანასკნელი ცნობები აჯანყების შესახებ ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან. პოდანგიდან იუწყებიან, თითქო ჰოლანდიის ხელისუფლებამ მოახერხა წესრიგის აღდგენა. ცნობაში ნათქვამია, რომ აჯანყების მეთაურები დახვრეტილია და 260 ტყვე ელის განაჩენს. სატელეგრაფო, სატელეფონო და სარკინისგზო მიმოსვლა თითქო აღდგენილია.

სხვა ცნობებით, მდგომარეობა პოდანგის მიდამოებში, კვლავინდებურად კრიტიკულია. იუწყებიან, რომ სილენკანგები ტყვედ წაყვანილ 500 კაციდან 100 გაუსამართლებლად დახვრიტეს. (ადს).

ლონდონი, 11 იანვარი. აჯანყება კუნძულ სუმატრაზე (ჰოლანდიის კოლონია ინდოეთის ოკეანეში) გრძელდება. იმ რაიონის მოსახლეობის განწყობილება, სადაც ჯერ კიდევ არ დაწყებულა აჯანყება, მეტად მღელვარეა. ჰოლანდიის ხელისუფლება ყოველ წუთში ელის აჯანყების დაწყებას ამ რაიონებშიაც (ადს).

563 მილიონი მარკა

გერმანიის მშრომელთა ჯიბიდან

ბერლინი, 10 იანვარი. სარეპარაციო გადასახადთა აგენტის მოხსენებაში ნათქვამია, რომ სექტემბერ - დეკემბრის განმავლობაში სარეპარაციო გადასახადის სახით შემოვიდა 869 მილიონი ოქროს მარკა. ამ თანხიდან საფრანგეთმა მიიღო 149 მილიონი, ინგლისმა—72, იტალიამ—28, ბელგიამ—17, სამხრეთ-სლავიამ—18, რუმინეთმა—8. საქონლით გერმანიამ ოთხი თვის განმავლობაში გადაიხადა 170 მილიონი, საოკუპაციო ჯარების შენახვა დაჯდა 24 მილიონი ოქროს მარკა. (ადს).

საბჭოთა პრესა

საკონფლიქტო საქმეების მოწესრიგება

შრომითი ხასიათის საკონფლიქტო საქმეების რიცხვი უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაიზარდა, განსაკუთრებით მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით, რომლის გატარება ალაგ-ალაგ მოინდომეს მუშათა მდგომარეობის გაუარესების გზითაც. საგულისხმო ის არის, რომ კონფლიქტების გარჩევა ხშირად ძალზე ჭიანურდება, საქმეები ითრევა „მოგზაურობენ“ ერთი ინსტანციიდან მეორეში, რაც მუშებს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ასეთ მდგომარეობის შექმნაში, უეჭვოა, უმეტესად წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრაციაა დამნაშავე. გაზ. „ტრუდ“ ამბობს:

„სამეურნეო მუშაკები საერთოდ ქმნიან ისეთ კონფლიქტებს, რომელთა გადაჭრა ზედმიწევნით გათვალისწინებულია კანონით, ქმნიან კონფლიქტებს ხშირად სრულიად უმნიშვნელო საქმეთა გამო. ასეთი უმნიშვნელო საქმეებით სავსეა სამომრიგებლო კამერები და სამედიატორო სასამართლოები არა მარტო პროვინციაში, არამედ ცენტრშიაც. აი ტიპიური მაგალითი ივანოვო-ვოზნესენსკიდან: 69 კონფლიქტი 314-დან გაუქმებულია თვით განმცხადებელთა მიერ უფრო ადრე, ვინემ სამომრიგებლო კამერა ან სამედიატორო სასამართლო შეუდგებოდენ მათ გარჩევას. მხოლოდ საჩივრებისადმი რაღაც განსაკუთრებულ მიდრეკილების განვითარების და დავიდარაბის მოყვარეობის დროს შეიძლება შეიქმნას ისეთი კონფლიქტები, რომელთა ლიკვიდაცია მოსახერხებელია სულ ადვილად, შინაური წესით.

სამეურნეო ორგანოების ზედმეტი სიყვარული კონფლიქტებისადმი მტკიცდება კონფლიქტების განხილვის შედეგებითაც—სამეურნეო ორგანოების სასარგებლოდ გამოაქვთ გადაწყვეტილებათა ძალიან მცირე პროცენტი. საჩივრებისადმი მიდრეკილება გამოიხატება კიდევ იმაში, რომ ადგილობრივ ორგანოების გადაწყვეტილებებს სულ წვრილმან საქმების გამოც კი ასაჩივრებენ ცენტრში. შრომის სახკომატი პირდაპირ იხრჩობა მათში, ასეთი საქმეებით ზედმეტად დატვირთულია პროკურატურა. ასე იქმნება საქმის გაჭიანურება.

სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვათ, რომ პროფკავშირებიც არა მცირედ სცოდავენ ამ საქმეში. კავშირებიც ხშირად აღძრავენ საქმეებს საკონფლიქტო წესით, არ ცდილობენ რა საქმის უფრო სწრაფ მოგვარებას. პროფორგანიზაციები არა იშვიათად ამჟღავნებენ საქმეების უცოდ ცოდნას და ქმნიან კონფლიქტებს საკმაო საფუძვლის გარეშე“.

კონფლიქტისადმი მიდრეკილების ფსიქოლოგიას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა. სამეურნეო მუშაკები დისციპლინარული წესით და მატერიალურად პასუხისმგებელნი უნდა გახდენ, თუ ისინი კანონმდებლობის უცოდინარობით ან ჯიუტობით შექმნიან კონფლიქტებს, რომლებიც ნივთიერ ზარალს მიაყენებს დაწესებულებას. ამასთან საჭიროა ადგილობრივ საკონფლიქტო კომპეტენციის გადიდება და საკონფლიქტო აპარატის მუშაობის გაჯანსაღება.

უცხოეთის ძალები ჩინეთში

საზღვაო ძალების უფროსთა ჩამოსვლა

ლონდონი, 11 იანვარი. ჩინეთის წყლებში მყოფ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების უფროსი ადმირალი ტირლიტი ჩავიდა შანხაიში. ფილიპინიდან მოელიან შეერთებული შტატების ადმირალის ვილიამსის ჩამოსვლას კრეისერით, რომელიც შეუერთდება შეერთებული შტატების ფლოტს ჩინეთის წყლებში.

მდ. იან-ცზეზე იმყოფებიან საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის სამხედრო გემები. (ადს).

იმუქრებიან

ლონდონი, 11 იანვარი. „დეილი ტელეგრაფი“ განიხილავს რა იმ პოლიტიკას, რომელიც ინგლისმა უნდა აწარმოოს შანხაიში, აცხადებს: მომავალში შესაძლოა, რომ ჩინეთიდან შემოტანილი და გატანილი საქონელი შანხაის საბაჟოებში გატარდება.

ჯერ გამოურკვეველია, სწერს გაზეთი, იქნება თუ არა მიღწეული სახელმწიფოებს შორის შეთანხმება საერთო პოლიტიკის შესახებ შანხაის დაცვის მიზნით. ყოველ შემთხვევაში იქ წყალი საკმაოდ ღრმა არის და შანხაიში შეუძლიათ შესვლა ინგლისის დიდ სამხედრო გემებს“. (ადს).

იმპერიალისტები სისინებენ

ლონდონი, 11 იანვარი. „დეილი ტელეგრაფი“ მოწინავე წერილში კომენტარიებს უკეთებს ხმებს იმის შესახებ, რომ ვითომც კანტონელებს აქვთ განზრახვა ხანკოუში მძევლების სახით დააკავონ ინგლისელი მოქალაქენი თავიანთი ქონებით, რომ ამით აიძულონ ინგლ[illegible] გადასცეს კანტონს გონკონგი.

„თუ ეს მართალი გამოდგება, სწერს გაზეთი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ კანტონის მთავრობა სცდილობს საომარ მდგომარეობაში იყოს ინგლისთან“. (ადს).

მდგომარეობა უცხოელთა კონცესიის ტერიტორიაზე შანხაიში

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. „ასოშიეტედ პრესი“-ს ცნობით შანხაის უცხოეთის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონცესიის ტერიტორიას თავს დაესხმიან, იგი მას შეიარაღებული ძალით დაიცავს.

გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის დადგენილება, რომელიც კრძალავს პოლიტიკური მიტინგების მოწყობას და „პროპაგანდას“ კონცესიის ტერიტორიაზე.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ იუწყება, რომ უცხოეთის საზღვაო ძალების უფროსთა თათბირმა დაადგინა, რომ შანხაიში, თუ საჭირო იქნება, გადმოსხდას ორი ათასი კაცი· უცხოეთის მოხალისეთა რაზმები, რომელნიც შესდგა ყოფილ სამხედრო პირთაგან, კონცესიის დაცვისათვის ემზადებიან. მათ განკარგულება აქვთ, რომ თუ ვინმე დაესხმის თავზე კონცესიას, იქვე დახვრეტონ.

მდგომარეობა ხანკოუში

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. ინგლისელთა უბნის პოლიცია ხანკოუში შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. მიუხედავათ ამისა, მაინც დარჩა რამოდენიმე ჩინელი პოლიციელი. ნორმალური ცხოვრება ჯერ არ არის აღდგენილი.

დამატებითი ჯარები შანხაიში

ვაშინგტონი, 11 იანვარი. შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ მან გასცა ბრძანება გუამიდან (მარომის კუნძულების ერთ-ერთი მთავარი ჯგუფის ნავთსადგური წყნარ ოკეანეში) დამატებითი ჯარების გაგზავნის შესახებ შანხაიში.

ხმების მიხედვით, მანილიაში (ფილიპინის კუნძულები) იგზავნება ჩ. ა. შ. ახალი ჯარები, მათ გადასაგზავნად შანხაიში, თუ საჭირო შეიქნა. (ადს).

ხელი ხელს ჰბანს

ბერლინი, 11 იანვარი. ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა ჩინეთ-ბელგიის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: საბოლოო განაჩენის გამოტანამდი ბელგიის მოქალაქეებმა ჩინეთში უნდა ისარგებლონ პირადი თავისუფლებით, ბელგიის გემები ჩინეთის წყლებში სარგებლობენ საერთაშორისო სამართლის მფარველობით. (ადს).

იმპერიალისტები იმუქრებიან

პეკინი, 11 იანვარი. ეხება რა ხანკოუში მომხდარ ამბებს, რეაქციონური ინგლისური გაზეთი „პეკინ-ტიან-ცზინ-ტაიმსი“ სწერს, რომ ხანკოუს ამბების შედეგი გადასწყვეტს ინგლისის ინტერესების ბედ-იღბალს ჩინეთში. ინგლისმა გვერდი არ უნდა აუხვიოს გამოწვევას. ინგლისის კონცესია ხანკოუში კუთვნილებისამებრ უნდა დაგვიბრუნდეს. ძნელია იმაზე ფიქრი, ინგლისის სამხედრო და საზღვაო ხელისუფლება ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევს იმ აუცილებლობას, რომ ადრე თუ გვიან მოგვიხდება ძალას მივმართოთ ჩვენი ინტერესების დასაცავად. ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო. (ადს).

ფრონტზე

პეკინი, 11 იანვარი. გაზეთები იუწყებიან, თითქო უ-პეი-ფუს ჯარებმა უკან დაახევინეს სახალხო არმიის ავანგარდს ლეიანისაგან.

იმავე ცნობით, სუნ-ჩუან-ფანის რაზმებმა ჩჟე-ცზიანის პროვინციაში წაიწიეს სამხრეთით ფუ-იანიდან ტუ-იუმდე. (ადს).

კანტონის ჯარების გადაჯგუფება

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. „ასოშიეტედ პრესს“-ის სააგენტო იუწყება, რომ ხანკოუს ჩრდილოეთით პეკინ-ხანკოუს რკინის გზის გასწვრივ სწარმოებს კანტონის ჯარების დიდი გადაჯგუფება, რასაც უკავშირებენ ჩან-ძოლინის შემოტევის შესაძლებლობას. (ადს).

კონსერვატორების შიში

ლონდონი, 11 იანვ. ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა ინგლისის პრესის ყურადღების ცენტრში რჩება. კონსერვატიული პრესის კომენტარიები დაბნეული ხასიათისაა.

„ობსერვერ“ უარყოფს კანტონის გარეშე საქმეთა მინისტრის ევგენ ჩენის შეთანხმებას ინგლისის კონსულთან ჩინეთის ჯარების ინგლისის ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, როგორც ფაქტს, რომელიც მოწმობს, რომ კანტონელებმა ვერ შესძლეს აეძულებიათ ინგლისელები, რომ უკანასკნელთ მიემართათ იარაღისათვის“.

„დეილი ექსპრესი“ ამავე თვალსაზრისზე სდგას.

„მორნინგ პოსტ“ შეთანხმებას ხსნის მით, რომ ჩენი გაურბოდა არეულობას, რომელიც დაარღვევდა საქმიან ცხოვრებას.

„დეილი ტელეგრაფ“ შეთანხმებას სთვლის კანტონელების ეშმაკობათ და აცხადებს, რომ ისინი ცდილობენ დაამწყვდიონ ინგლისელები კონცესიაზე მძევლების სახით. (ადს).

იზიარებენ სუნ-იატ-სენის იდეებს

პეკინი, 11 იანვარი. შანდუნის ჯგუფის ორგანო „ხუნ-ბაო“ აცხადებს, რომ სი-ჩანისა და ხუ-ბეის პროვინციის ზოგიერთ გენერლებს განზრახვა აქვთ შეუერთდენ სუნ-იატ-სენის სამ პრინციპს (ნაციონალიზმი, დემოკრატიზმი—სოციალიზმი). ეს გენერლები საჭიროთ სთვლიან ნაციონალური კრების მოწვევას.

იუწყებიან, რომ ჩრდილოეთის ბელადებმა გაგზავნეს წარმომადგენლები აღნიშნულ გენერლებთან მოსალაპარაკებლად. (ადს).

არჩევნები საფრანგეთის სენატში

პარიზი, 11 იანვარი. საფრანგეთის სენატის (სენატი შესდგება 314 წევრისაგან, რომელთაც 9 წლის ვადით ირჩევენ; ამასთანავე, სენატის შემადგენლობის მესამედი ნაწილი ყოველ სამ წელში ახლდება) არჩევნებში არჩეულია 108 სენატორი.

მემარჯვენე პარტიებმა მიიღეს 39 მანდატი· მათი რიცხვი შემცირდა 9 მანდატით. ყოფილ მემარცხენე ბლოკის პარტიებმა მიიღეს 67 მანდატი; მომატებულია 8 მანდატით. სოციალ-კომუნისტებმა (ფროსარის ჯგუფი) მიიღეს 2 მანდატი.

ახლად არჩეული სენატის შემადგენლობის მესამედი ნაწილის უმნიშვნელო გამემარცხენება არ შესცვლის არსებულ ძალთა დამოკიდებულებას.

პრესა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მხოლოდ კომუნისტებმა შეინარჩუნეს თავისი ხმები. (ადს).

„როტე-ფანეს“ მუშა-კორესპონდენტთა კონფერენცია

ბერლინი, 11 იანვარი. ფრანკფურტში შესდგა გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს „როტე-ფანე“-ს მუშა-კორესპონდენტების კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა მთელი რიგი მოხსენებები, მათ რიცხვში მოხსენება მუშკორთა მოძრაობის შესახებ გერმანიაში და საბჭოთა კავშირში. (ადს).

ინგლისი ვალებს მოითხოვს

ვენა, 10 იანვარი. ინგლისის მთავრობამ მოსთხოვა სამხრეთ-სლავიას მოაწეს რიგოს დავალიანების საკითხი. სამხრეთ-სლავიის დავალიანება ინგლისისადმი შეადგენს 31.400.000 გირვ. სტერლინგს.

სატარიფო კონფერენცია

მოსკოვი, 11 იანვარი. 10 იანვარს მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა-ლატვია-ესტონეთის სარკინისგზო მიმოსვლის მეორე სატარიფო კონფერენცია. კონფერენციაზე ჩამოვიდენ ლატვიის რკინის გზის ესტონეთის სახელმწიფო რკინის გზის სამმართველოს და საბჭოთა-ლატვია-ესტონეთის რკ. გზ. მიმოსვლის საქმეთა სამმართველოს წარმომადგენლები.

კონფერენციის დღის წესრიგის ძირითადი საკითხია—პირდაპირი ტარიფების დაწესება საბჭოთა-ლატვია-ესტონეთის პირდაპირ სარკინისგზო მიმოსვლაზე.

ნანსენის ექსპედიცია

ოსლო, 10 იანვარი. ნორვეგიის ინსტიტუტს კულტურის შედარებითი შესასწავლათ განზრახული აქვს გაგზავნოს სამეცნიერო ექსპედიცია კოლის ნახევარ კუნძულზე ადგილობრივი მოსახლეობის და აგრეთვე ნახევარ კუნძულის უძველესი კულტურის შესასწავლად.

ექსპედიციის გეგმა მუშავდება ნანსენის ხელმძღვანელობით. ნანსენი მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა მთავრობასთან.

ფინანსიური საშუალებებით ექსპედიცია უზრუნველყოფილია. (ადს).

151 პროცესი

პროცესი დამთავრდა

ვარშავა, 10 იანვარი. ვლადიმირ-ვოლინსკში დამთავრდა 151 პროცესი. 20 ბრალდებული გაამართლეს, დანარჩენებს მიუსაჯეს კატორღა არა ნაკლებ ოთხი წლისა. 9 კაცს მიუსაჯეს სამუდამო კატორღა. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ფოსტის მოსამსახურეთა მოთხოვნილება

ლონდონი, 11 იანვარი. სამრეწველო სასამართლოში დაიწყო ფოსტის 140.000 მუშაკის საქმის გარჩევა, რომელნიც სამუშაო ხელფასის მომატებას თხოულობენ. საქმე გადატანილ იქნა სასამართლოში, ვინაიდან ფოსტის მინისტრმა უარი განაცხადა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. (ადს).

აჯანყება სუმატრაზე

ამსტერდამი, 11 იანვარი. ჰოლანდიის მთავრობის ცნობით აჯანყებულთა მოძრაობა სუმატრაზე ნელდება.

ჰოლანდიის მენშევიკური პარტია თავის დეპეშაში ინდონეზიის გენერალ - გუბერნატორისადმი ჰკიცხავს აჯანყებულთა მოძრაობას, მაგრამ ამასთამ ერთად წინადადება შეაქვს არ იქნას გამოყენებული სიკვდილით დასჯა. (ადს).

სამსახურიდან დათხოვნა

ვარშავა, 11 იანვარი. მთავრობის დადგენილებით, საბოლოოდ არის დათხოვნილი სახელმწიფო სამსახურიდან ოხრანკის ყოფ. უფროსი სნარსკი. 151 უკრაინელის პროცესზე ვლადიმირ ვოლინსკში სნარსკიმ თავისი საქციელით სასამართლოში გამოიწვია დამცველთა პროტესტი. (ადს).

ლენინის სახელობის ფაბრიკა.

ბაქო, 11 იანვარი. ლენინის სახელობის საფეიქრო ფაბრიკამ დეკემბერში დაამზადა 1.375.083 არშინი (შესრულდა საწარმოო პროგრამის 103 პროცენტი). განჯის მაუდის ფაბრიკაში „წითელი აზერბაიჯანი“-ში დამზადებულ იქნა 11.455 მეტრი მაუდი, წარსულ თვეში კი—9.610 მეტრი (ადს).

წარმომადგენლობის ლიკვიდაცია

მოსკოვი, 11 იანვარი. მოსკოვის ქალაქის გარეშე 169 სავაჭრო სამრეწველო ორგანიზაციის წარმომადგენლობის ლიკვიდაციის გარდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დადგენილებით უნდა გაუქმდეს კიდევ 52 წარმომადგენლობა, მათ რიცხვში ბაქოს კოოპერატიული კავშირის წარმომადგენლობაც. (ადს).

ნორვეგიის სტორტინგი.

ოსლო, 10 იანვარი.. გაიხსნა ნორვეგიის სტორტინგი (პარლამენტი). თავმჯდომარედ არჩეულია კონსერვატორი ხამბრო, თავმჯდომარის ამხანაგათ—ყოფილი პრემიერი მოვინკელი—რადიკალი.

რკინიგზის ცეკას გაფართოებული პლენუმი

მოსკოვი, 11 იანვარი. გაიხსნა რკინიგზის ცეკას გაფართოებული პლენუმი. პლენუმს ესწრება რკინიგზის ადგილობრივი ორგანიზაციების 75 წარმომადგენელი. (ადს).

გემების შეკეთება.

ბაქო, 12 იანვარი. ნავთის გატანის გაძლიერების გამო, კასპიის სანაოსნო საზოგადოებამ აამუშავა 3 შეკეთებული გემი. გარდა ამისა, ტექნიკურ განყოფილებას მიეცა წინადადება გამოიკვლიოს ფლოტი და გამოარკვიოს გემების შეკეთების შესაძლებლობა (ადს).

სხდომის აკრძალვა

ბერლინი, 11 იანვარი. მემელის სამხედრო კომენდანტმა აკრძალა მემელის ლანდტაგის სხდომა, რომელიც 9 იანვარს უნდა გამართულიყო. (ადს).

ინგლისის მემაღაროეები დახმარებას ითხოვენ

1 მილიონი მანეთი საკავშირო პროფსაბჭოსაგან

კუკის, სმიტის და რიჩარდსონის დეპეშა

მოსკოვი, 11 იანვარი. ამხ. ტომსკისა და დოგადოვის სახელზე ინგლისიდან სმიტისა, რიჩარდსონისა და კუკის ხელის მოწერით ინგლისიდან მიღებულია დეპეშა, რომელიც ასურათებს იმ მემაღაროეთა მძიმე მდგომარეობას, რომელნიც გაფიცულნი იყვნენ. დაზარალდა მრავალი ათასი მემაღაროე. დახმარება მემაღაროებს არ ეძლევათ. ინგლისელი მემაღაროენი საკავშირო პროფკავშირთა ცენტრსაბჭოს მოუწოდებენ შექმნან დაზარალებულთა დახმარების ფონდი.

საკავშირო პროფსაბჭოს პასუხი

ამ დეპეშის საპასუხოდ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ დოგადოვის ხელმოწერით ტელეგრაფით უპასუხა შემდეგი:

„ინგლისელ მემაღაროეთა ფედერაციას.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ განიხილა რა თქვენი დეპეშა გაფიცვისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, დაადგინა, გადაეგზავნოს ინგლისელ მემაღაროეთა ფედერაციას 10.000 გირვ. სტერლინგი დაზარალებულთა დახმარების ფონდის სასარგებლოდ. ამ თანხას დღეს გიგზავნით“. (ადს).

ინგლისში ბრძოლა გრძელდება

ლონდონი, 11 იანვ. ტერკროფტეს მაღაროებზე (იორკშირი) 2.000 მემაღაროეს აქამდე არ განუახლებია მუშაობა. მაღაროს მეპატრონეები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არიან იორკშირის მაღაროს მეპატრონეთა ორგანიზაციის წევრები, არ სცნობენ რაიონულ შეთანხმებებს და ცდილობენ თავზე მოახვიონ მუშებს სრულიად ახალი პირობები. მუშები, მიუხედავად უსაზღვრო გაჭირვებისა, მტკიცედ არიან. მაღაროს მეპატრონეები მოითხოვენ ნარდ მუშაობის შეცვლას დღიურ სამუშაო ხელფასით. (ადს).

გენსაბჭო თავს იმართლებს

ლონდონი, 11 იანვ. ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც უარჰყოფს ცნობას, იმის შესახებ, რომ მან პროფკავშირების აღმასკომებს დაუგზავნა წინასწარი ანგარიში საყოველთაო გაფიცვის შესახებ. მიუხედავად ამისა, გენერალური საბჭო არ უარჰყოფს, რომ ასეთი წინასწარი ანგარიში დაბეჭდილ იქნა.

ცნობილია, რომ გენერალური საბჭო უნდა გამოვიდეს ანგარიშით საყოველთაო გაფიცვის შესახებ პროფკავშირთა აღმასკომების კონფერენციაზე, რომელიც უნდა შესდგეს 20 იანვარს. (ადს).

პილსუდსკის სამფლობელოში

მდგომარეობა უარესდება

ვარშავა, 11 იანვარი. ნაციონალური მუშათა პარტიის საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ექვსი თვის განმავლობაში მაისის გადატრიალების შემდეგ მუშათა კლასის მდგომარეობა ოდნავაც არ გაუმჯობესდა. პირიქით, შეძლებული კლასების გავლენა პოლონეთის სამეურნეო პოლიტიკაზე ძალიან განმტკიცდა. ფინანსიური გაჯანსაღების მთელი სიმძიმე მშრომელ მასებს დააწვა. არაჩვეულებრივი სიძვირე მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებს მუშას და სახელმწიფო მოსამსახურეს.

(ადს).

უმუშევრობა იზრდება

ვარშავა, 11 იანვარი, ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიის უმაღლეს საბჭოს კონფერენციაზე კორფანტიმ გააკეთა მოხსენება ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მან განაცხადა: „უკანასკნელ კვირეებში ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა იზრდება. სიძვირე მატულობს. თუ გამოირკვა, რომ პოლონეთი იძულებული შეიქნება პური შემოიტანოს, მაშინ მდგომარეობა კატასტროფიული შეიქმნება. უმაღლეს საბჭოს აზრით, მარტში მოსალოდნელია ფინანსიური და ეკონომიური კრიზისის სერიოზულად გამწვავება“. (ადს).

პურის კრიზისი

ვარშავა, 11 იანვარი. „გლოს პოლსკი“-მ მწვავე წერილი გამოაქვეყნა მთავრობის პურის პოლიტიკის წინააღმდეგ. „მიუხედავათ იმისა, რომ ამ წელში პოლონეთს არ ჰქონდა პურის გატანის საშუალება, სწერს გაზეთი, პურის გატანა დღემდე გრძელდება. პოლონეთი, რომელსაც ხორბალი და ქერი გაჰქონდა იაფ ფასებში, ეხლა ქერს საზღვარ-გარეთ ყიდულობს. მარცვლეულის დიდი ტრანსპორტები ჩამოვიდა საბჭოთა კავშირიდან. არაა გასაკვირველი, რომ ასეთი პოლიტიკის დროს პურის ფასი იზრდება.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მრავალი მოთხოვნილებანი შედის პურის შემოსატანად.

(ადს).

მუშები სიმშილობენ

ვარშავა, 11 იანვარი. ჟურნალისტებთან საუბარში რკინის გზელთა კავშირის ხელმძღვანელმა ვერნიკოვსკიმ სთქვა:

„ჩვენი კავშირის წევრები ხიმშილობენ და მოითხოვენ 33 პროცენტის მომატებას. მთავრობამ არ უნდა ანგარიში გაუწიოს ჩვენს მოთხოვნილებებს. ჩვენ დაგვრჩა უკანასკნელი საშუალება—გაფიცვა!“ (ადს).

ამერიკის იმპერიალისტები

ვაშინგტონი, 11 იანვარი. შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა კელოგმა საჯაროდ განაცხადა, რომ შეერთებულ შტატების მიერ დიაცის ცნობის საპასუხოდ, მექსიკა იარაღს აწვდიდა ლიბერალების ბელადს საკაზს.

პალატის წარმომადგენელთა და სენატის გაერთიანებულ სხდომებზე დემოკრატიული პარტიის პროგრესიული ჯგუფის ზოგიერთმა წარმომადგენელმა კულიჯისა და კელოგის წინააღმდეგ წამოაყენეს ბრალდება, რომ ისინი მისდევენ ნავთის მრეწველთა წრეების სურვილს და შეგნებულად იწვევენ ომს მექსიკასთან.

კულიჯს თათბირი ჰქონდა კონგრესის სხვადასხვა ჯგუფების ბელადებთან, მათ შორის დემოკრატების ბელადებთან იმ მიზნით, რომ კონგრესს მხარი დაეჭირა მთავრობის პოლიტიკისათვის ნიკარაგუას და მექსიკის საკითხში. მიუხედავად ოპოზიციის ზრდისა სენატში და წარმომადგენელთა პალატაში, ფიქრობენ, რომ მთავრობის პოლიტიკას მხარს დაუჭერს სენატის მნიშვნელოვანი უმრავლესობა (ადს).

რკინიგზის აღმასკომის მოწოდება

გადაარჩინეთ 80 განწირული

მოსკოვი, 11 იანვარი. რკინიგზის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა მშრომელთ. მოწოდებაში ნათქვამია: „ფაშისტური დიქტატურა ლიტვაში განაგრძობს თავის სისხლიან საქმეს. ოთხის მოკვლის შემდეგ, ფაშისტები ახალ 80 მსხვერპლს ამზადებენ. ცნობების მიხედვით, გადაწყვეტილია, რომ სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცეს კოვნოში—8 კაცი, შავლიაში—8 კაცი, პონევეჟში—6 და მემელში—6 კაცი. ეს 80 კაცი მიმართავს მთელ განათლებულ ქვეყანას და პროლეტარულ სოლიდარობის მოვალეობის სახელით მტკიცედ მოითხოვს ყველა მშრომელთაგან, რომ უდიდესი დაჩქარებით და ენერგიით აღიმაღლონ ხმა 80 განწირულის გადასარჩენად“. (ადს).

პროფ. მაზონი მოსკოვში

მოსკოვი, 11 იანვარი. პროფ. მაზონმა, საბჭოთა კავშირთან სამეცნიერო კავშირის დამყარებელ საფრანგეთის კომიტეტის მდივანმა, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა, საფრანგეთის ელჩთან საბჭოთა კავშირში, ერბერტტან ერთად ინახულა საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საზოგადოება და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ამ საზოგადოების თავმჯდომარესთან ამხ. კამენევთან.

მაზონმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში მისი ჩამოსვლის მიზანია მჭიდრო კავშირის დამყარება ადგილობრივ სამეცნიერო ძალებთან. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან სამეცნიერო ურთიერთობის საფრანგეთის კომიტეტი თავის ამოცანად სთვლის საფრანგეთში სამეცნიერო მუშაობის მიზნით ჩასულ საბჭოთა მეცნიერებისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობას. (ადს).

[illegible]ართველოს ეროვნული

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მუშაობა წითელ არმიაში

მოსკოვი, 11 იანვარი. გაიხსნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო ოლქებისა და ფლოტის პოლიტიკურ სამმართველოთა უფროსების თათბირი. თათბირზე სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარმა ამხ. **ვოროშილოვმა,** რომელმაც აღნიშნა წითელ არმიაში მიმდინარე აღმშენებლობის აქტუალური საკითხები.

ამხ. ვოროშილოვის სიტყვის შემდეგ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს წევრმა ამხ. **ბუბნოვმა,** რომელმაც ჯამი გაუკეთა მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკურ მუშაობას.

თათბირმა მისალმების დეპეშები გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო სახ. კომისარს და სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვოროშილოვს. (ადს).

მუშური სოლიდარობა

მოსკოვი, 11 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის ქვა-ნახშირის მრეწველობაში მდგომარეობის გამწვავებისა და იმის გამო, რომ მაღაროს მეპატრონეებმა არ დააკმაყოფილეს მუშების მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის 20 პროცენტით გადიდების შესახებ, **მემაღაროეთა პროპაგანდის საერთაშორისო კონგრესმა მოწოდებით მიმართა ავსტრიის, პოლონეთის, გერმანიის და სხ. ორგანიზაციებს, რომ წინასწარ მოამზადონ ნიადაგი ჩეხო-სლოვაკიის მემაღაროეთათვის ნივთიერი და მორალური დახმარების აღმოსაჩენად.** (ადს).

კარაქის დამზადება.

მოსკოვი, 10 იანვარი. **მიმდინარე წელს რ. ს. ფ. ს. რ—ში განზრახულია 4,1 მილ. ფ. კარაქის დამზადება.** სარძეო მეურნეობის განვითარების მიზნით, გადიდებული იქნება კარაქის დასამზადებელი საფასური (ადს).

სირცხვილი შტრეიკბრეხერებს

მოსკოვი, 7 იანვარი. გერასიმოვის კერძო ლითონის გადამმუშავებელ სახელოსნოს მუშების უკანონოთ დათხოვნისათვის გამოეცხადა ბოიკოტი. მუშების ჯგუფმა 10 კაცის შემადგენლობით არ დაემორჩილა კავშირის დადგენილებას და განაგრძო მუშაობა. კავშირის სარაიონო კომიტეტმა დაადგინა ეს ჯგუფი შტრეიკბრეხერობისათვის გამორიცხოს პროფკავშირის წევრობისაგან. მელითონეთა კავშირის ცეკამ გადაწყვეტილება დაამტკიცა. (ადს).

ახალი სართავი ფაბრიკა

ვლადიმირი, 11 იანვ. **9 იანვარს სადგურ უნდოლის მახლობლად მოხდა ახლად აგებული სართავი ფაბრიკის საზეიმო გახსნა.** ფაბრიკა მოწყობილია ინგლისური მანქანებით და ყოველ წლიურად ამუშავებს 10 მილ. მან. ღირებულ ნაწარმოებს. ფაბრიკა აამუშავა ამხ. **კუიბიშევმა.** (ადს).

სასურსათო ფრონტი

მოსკოვი, 11 იანვარი. ამხ. ციურუპას თავმჯდომარეობით შესდგა სასურსათო სახ. კომისარიატის ყოფილ პასუხისმგებელ მუშაკთა სპეციალური თათბირი. თათბირზე გამოცხადდენ სასურსათო ფრონტზე მებრძოლი 100-ზე მეტი ყოფილი ხელმძღვანელი.

სასურსათო სახ. კომისარიატის რწმუნებლები, საგუბერნიო სასურსათო კომისრები და სხ. თათბირმა დაადგინა, ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის გამოუშვას კრებული, რომელშიაც იქნება მოთხრობილი საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა სასურსათო ფრონტზე. (ადს).

მეთამბაქოობა.

მოსკოვი, 10 იანვარი. 1926 წ. რ. ს. ფ. ს. რ—ის თამბქოს მოსავალი ავიდა 7 მილ. ფუთამდე, წინაალმდეგ 1913 წლის 3.744.000 ფუთისა. თამბაქოს სათესი მოედანი 9.000 დესეტინით გაიზარდა. თამბაქოს მრეწველობის 95 პროცენტი სახელმწიფოს ხელშია. შარშან მრეწველობის ამ დარგმა სახელმწიფოს მისცა 142 მილ. მან. შემოსავალი (ადს).

სას.-სამეურნეო მანქანები

მოსკოვი, 11 იანვარი. წარსული წლის განმავლობაში სასოფლო - სამეურნეო მანქანების ქარხანამ „კრასნაია ზვეზდა“-მ ზინოვიევსკში გამოუშვა 120.000 სასოფლო - სამეურნეო მანქანა, რომელთა ღირებულება 13 მილ. მანეთს უდრის. ქარხანამ ომამდე არსებული დონის 207 პროც-ს მიაღწია. 1926—27 წლის საწარმოო პროგრამა ითვალისწინებს 125.000 მანქანის გამოშვებას, რომელთა ღირებულება 15 მილ. მანეთი იქნება. (ადს).

ლენინის გარდაცვალების სამი წლისთავი

მოსკოვი, 10 იანვარი. მოსკოვის პარტიულმა კომიტეტმა ლენინის გარდაცვალებიდან სამი წლის შესრულების გამო დირექტივით მიმართა ყველა რაიკომებსა და სამაზრო აღმასკომებს. ლენინის გარდაცვალების სამი წლისთავი ჩატარებულ უნდა იქნას ორი დღის 22—23 იანვრის განმავლობაში. სამი წლისთავის ჩატარება უმთავრესად უნდა ატარებდეს სააგიტაციო - საპროპაგანდო ხასიათს. (ადს).

ნავთის ტრესტის საწარმოო გეგმა

მოსკოვი, 11 იანვარი. **შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ წარდგენილი და სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მოწონებული ნავთის ტრესტების საწარმოო გეგმა.**

ნავთის მრეწველობის კაპიტალური ხარჯები მიღებულია 152 მილ. მან. რაოდენობით. აზნეფტს ნება მიეცა **1926—27** წელში შეუდგეს ნავთსადენი ქარხნის აგებას ბათომში; ქარხანა 660—750 ათას ტონა ნავთს გაატარებს წელიწადში. ქარხნის აგება ორი წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს.

გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატს მიეცა წინადადება, რომ ამავე ხნის განმავლობაში დაამთავროს მუშაობა ბათომ - ბაქოს არსებული ნავთსადენი მილების გასაუმჯობესებლად. ყველა ნავთის ტრესტებსა და ნავთის სინდიკატებში ანარიცხები მოგებიდან 1925—26 წ. განსაზღვრულია 16.110.000 მან. აზნეფტის სესხის დაფარვა ნავარაუდევია 5 მილ. მან. ფინანსების მიწოდება მთელი ნავთის მრეწველობისათვის საბიუჯეტო წესით ნავარაუდევია — 44.644.000 მან. (ადს).

აღმშენებელთა კავშირ. ცეკას დელეგაციის დაბრუნება

მოსკოვი, 11 იანვარი. მოსკოვში დაბრუნდა აღმშენებელთა კავშირის ცეკას დელეგაცია, რომელმაც გერმანიაში დაათვალიერა ყველა სახის მშენებლობა.

დელეგაციის წევრმა, კავშირის ცეკას თავმჯდომარემ, **ბოგდანოვმა** აცნობა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს, რომ საბჭოთა დელეგაციას ძალიან კარგად შეხვდენ გერმანიაში. ნაშენობების დათვალიერების დროს მას თან ახლდა სხვადასხვა ფირმების მიერ მივლინებული სპეციალისტები. ბერლინში დელეგაციას თან სდევდა ინჟ. ტაუტი, რომელიც წარსულ ზაფხულს საბჭოთა კავშირში იყო. ინჟინერ ტაუტის აზრით ახალ სააღმშენებლო მეთოდების გამოყენება საბჭოთა კავშირის პირობებში ხელს შეუწყობდა არა მარტო აღმშენებლობის განვითარებას, არამედ მის მნიშვნელოვნად გაიაფებასაც.

დელეგაციის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება სააღმშენებლო საქმის გასაუმჯობესებლად საბჭოთა კავშირში, პირველ რიგში, დაეკისრება სააქც. საზ-ბა „რუსგერსტროის“. (ადს).

აღმოსავლეთის ცხოვრება

ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა იავაზე

კუნძული იავა, თავისი 35 მილიონიანი მოსახლეობით წარმოადგენს ჰოლანდიის კოლონიის—ინდონეზიის—ყველაზე უდიდეს და უმდიდრეს ნაწილს. მოსახლეობის სამი მეოთხედი გლეხები შეადგენენ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მთელი მიწა ადგილობრივი მოსახლეობის ხელში იყო. ჰოლანდიის მთავრობამ საუკეთესო მიწები წაართვა მათ პატრონებს. ეს მიწები ჩალის ფასად მიჰყიდეს ევროპიელებს, რომელთაც ამავე დროს მიეცათ უფლება იძულებით ესარგებლად იმ ადგილობრივი მცხოვრებლების შრომით, რომლებიც „მათ“ მიწებზე ცხოვრობდენ. ამ „ბატონების მამულებში“ (ასე ეწოდება ოფიციალურად ევროპიელების მიერ „ნაყიდ“ მიწებს) დამყარდა ნამდვილი ბატონყმური ურთიერთობა. ევროპიელების მფლობელობაში გადავიდა ვარგისი მიწების ერთი მეექვსედი ნაწილი დანარჩენი დარჩა 5/6 30 მილიონი ადგილობრივი მცხოვრების მფლობელობაში, რომელთა მდგომარეობა საშინელია, მათი დიდი უმრავლესობა სისტემატიურად შიმშილობს.

მუშები, რომელთა უმრავლესობა მუშაობს ლერწამის პლანტაციებზე, ფაბრიკებში და ნავთსადგურებში, არაჩვეულებრივათ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. ამავე დროს მწარმოებლების მოგება თავბრუდამხვევ ციფრებს აღწევს. იავაზე არსებულ სააქციონერო საზოგადოებების მოგება შეადგენს საშუალოდ მათი კაპიტალის 35 პროც. ევროპიელებს იავიდან საშუალოდ წლიურათ გააქვთ 600 მილიონი გულდენი (გულდენი დაახლოებით 78 კაპ. უდრის).

ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ უკმაყოფილება ადგილობრივ მოსახლეობაში დღითიდღე იზრდება. პროფკავშირების წევრთა რაოდენობა მრავლდება და ამავე დროს ძლიერდება კომპარტიის გავლენა. უკანასკნელ ხანებში მუშათა ორგანიზაციებისა და კომპარტიის წინაშე დაისვა გლეხებს შორის მუშაობის და მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში მათი ჩაბმის ამოცანა

ეს ბრძოლა ინდონეზიაში აშკარათ გამოხატულ საერთო-ნაციონალურ ხასიათს ატარებს. რასაც ხელს უწყობს ის გარემოებას, რომ ადგილობრივი ბურჟუაზია სუსტია და რაიმე მნიშვნელოვან ძალას არ წარმოადგენს. მსხვილი ლერწამის, თამბაქოსა და კაუჩუკის პლანტაციები და აგრეთვე მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები და საგარეო ვაჭრობა ევროპიელების ხელშია. ადგილობრივი „დიდკაცობა“ შედარებით ხელმოკლეა, უმთავრესად მოხელეებისაგან შესდგება და ჰოლანდიის ადმინისტრაციის ბრმა იარაღს წარმოადგენს.

1908—1920 წ. წ. ნაციონალურ-ბურჟუაზიული მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპიელ მძარცველებთან შეთანხმებას, გაკოტრდა. რევოლიუციონური მოძრაობის ზეგავლენით ნაციონალურ-ბურჟუაზიული მოღვაწეებიც კი იძულებული შეიქნენ გასულიყვნენ „სახალხო საბჭოდან“—პარლამენტის მაგვარ დაწესებულებიდან, რომელსაც ჰოლანდიის მთავრობის აზრით ინდონეზიის თვითმართველობის ილიუზია უნდა შეექმნა (ამ „სახალხო საბჭოს“ წევრების ნახევარს ჰოლანდიის გენერალ-გუბერნატორი ნიშნავდა).

„სახალხო საბჭოდან“ ნაციონალისტების გასვლის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა მოძრაობას, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ნონკორპორეიშენ“ (უარის თქმა თანამშრომლობაზე). ამ მოძრაობის მებაირაღტრე იყო ინტელიგენტური გაერთიანება „ბუდი უტომო“ („კეთილშობილური გატაცება“)—ინდონეზიის ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის წინამორბედი. ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. 1910 წელს დაარსდა „სარეკათ ისლამ“ (მუსლიმანთა კავშირი), რომელიც შესდგებოდა რასიული, სარწმუნოებრივ და სოციალური ამოცანებით გაერთიანებულ სხვადასხვა ელემენტებისაგან. 1916 წ. კავშირში 400.000 წევრი ითვლებოდა.

მაგრამ სარწმუნოებრივ პრინციპზე აგებულ ამ კავშირს არ ჰქონდა გარკვეული პროგრამა. მისი ხელმძღვანელი წრეები ცდილობდენ მთავრობასთან შეთანხმებას. კომპარტიის გავლენის ზრდის შიშით, კავშირის ც. კ. აუკრძალა თავის წევრებს სხვა ორგანიზაციების წევრობა. ეს დადგენილება მიმართული იყო უმთავრესად კომპარტიის წინააღმდეგ. მოხდა განხეთქილება. რევოლიუციონურად განწყობილი სექციები გამოვიდნენ კავშირიდან და კომპარტიის ხელმძღვანელობით დაარსეს „სარეკათ რაიათ“ (სახალხო კავშირი), რომლის გავლენა არაჩვეულებრივად სწრაფად გაიზარდა.

ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის სწრაფმა განვითარებამ ინდონეზიის ინტელიგენციაში წარმოშვა მჩაგვრელების წინააღმდეგ მებრძოლთა ერთიანი ფრონტის შექმნის აზრი. ეს მოძრაობა გამოიხატა „განმანათლებელ კლუბების“ დაარსებაში. ამ კლუბების გაერთიანებას სათავეში უდგას **დ—რი სიტგი.** ამავე დროს გაუმჯობესდა დამოკიდებულება „სარეკათ ისლამ“-სა და „სარეკათ რაიათ“-ს შორის.

ჰოლანდიის მთავრობამ ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობათ პირველი იერიშები მიიტანა მუშათა ორგანიზაციებზე, რომლებსაც კომპარტია ხელმძღვანელობს. ამავე დროს ის შეეცადა დაერაზმა ადგილობრივი შავი ძალები და ამ მიზნით დაარსა მუსლიმანთა კავშირი „მუხამედია“, რომელიც მიზნათ ისახავს ისლამის სიწმინდის დაცვას და უნდა ებრძოლოს ყველა პროგრესიულ მოძრაობას ადგილობრივ მოსახლეობაში. მაგრამ მთავრობის ეს ცდა ფუჭად ჩაიარა. მაშინ ჰოლანდიის მთავრობამ გააძლიერა რევოლიუციონური მოძრაობის დევნა. რევოლიუციონური მოღვაწეების დაპატიმრება და გადასახლება, გაზეთების დახურვა, ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა. კომპარტიის ორგანო „აპი“ დაიხურა, რადგან ჰოლანდიის პოლიცია მარტო გაზეთის კონფისკაციით და რედაქტორების დაპატიმრებით არ კმაყოფილდებოდა და მკითხველებსაც დაუწყო დაპატიმრება. თუ როგორი საშინელი რეჟიმი არსებობს ინდონეზიის ციხეებში, ამას ამტკიცებს თუ გინდ ინდონეზიის რკინისგზელთა კავშირის თავმჯდომარის ამხ. **სოეგონის** თვითმკვლელობა ციხეში.

მთავრობის მხეცურმა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერა რევოლიუციონური მოძრაობა. პირიქით, არეულობანი, მატარებლების დამტვრევა, ბომბების სროლა, გახშირდა. მთავრობის ტერორმა გამოიწვია წითელი ტერორი. ასე მაგალითად, ალღუმის დროს გენერალ-გუბერნატორს ესროლეს ბომბა, რომელმაც მოჰკლა ორი კაცი მისი ამალიდან. გაფიცვების რიცხვი მიუხედავათ საშინელი რეპრესიებისა, იზრდება. გლეხობის უკმაყოფილება გამოხატულებას პოულობს სისტემატიურ თავდასხმებში მთავრობის ჯარებზე.

აჯანყება იავაზე წარმოადგენს ინდონეზიაში შექმნილი მდგომარეობის ბუნებრივ დასრულებას. ამ აჯანყების ჩაქრობა როდი ნიშნავს იმას, რომ ინდონეზია დიდი ხნით დააწყნარეს. ამის თავდებია არა მარტო ჰოლანდიის ბურჟუაზიის მტაცებლური პოლიტიკა, არამედ სიახლოვე რევოლიუციონური კანტონის, რომელთანაც ინდონეზიას მჭიდრო კავშირი აქვს.

ვ. ა.

სხვადასხვა

23 000 მსხვერპლი

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. გასულ წლის განმავლობაში შეერთებულ შტატებში ავტომობილების კატასტროფის დროს დაიღუპა 23.000-ზე კაცი. (ადს).

რადიო-სადგურის ნაციონალიზაცია

პარიზი, 11 იანვ. გამოქვეყნდა კანონი საფრანგეთის რადიო-სადგურების ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზაცია უნდა დამთავრდეს 1930 წლის ბოლომდე. (ადს).

ფაშისტები

პრაღა, 11 იანვარი. ბორნოში (მორავია) ჩეხოსლოვაკიის ფაშისტების ეროვნულმა კრებამ აირჩია ახალი დირექტორია 7 პირისაგან გენერალ გაიდას მეთაურობით. (ადს).

ლი-სტეკის მკვლელი

ლონდონი, 11 იანვარი. ქაირში სიკვდილით დასაჯეს მოხამედ-ფახლი-ალი, რომელსაც 1924 წელს ინგლისის გენერალ - გუბერნატორის და ეგვიპტის არმიის მთავარსარდლის ლი-სტეკის მოკვლისათვის სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. (ადს).

ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი

ვენა, 11 იანვარი. ბუხარესტის გაზეთის „კურენტულ“-ის ცნობით, ავერესკუს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორათ დანიშნოს, გენერალი რასკანუ, რომელსაც მიეცემა ფართო რწმუნებები და უპორტფელო მინისტრის წოდება. (ადს).

მემელიდან გადასახლება შეჩერებულია

ბერლინი, 11 იანვარი. კოვნოდან მიღებულ ცნობით, შეჩერებულია გერმანელ მოქალაქეთა გადასახლება მემელის ოლქიდან. ამ საქმის გამო წარმოებულ გამოძიების დამთავრებამდე. (ადს).

ბრეშკო-ბრეშკოვსკის გადასახლება

ვარშავა, 11 იანვარი. ემიგრანტ მწერალის ბრეშკო-ბრეშკოვსკის ადმინისტრატიული წესით ასახლებენ პოლონეთიდან. გადასახლების მიზეზია ბრეშკო-ბრეშკოვსკის უკანასკნელი რომანი, რომელსაც კონფისკაცია მოუხდინა ცენზურამ. (ადს).

მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია

ამხ. ბუხარინის მოხსენება

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 11 დეკემბ. მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციის 8 იანვრის სხდომაზე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ბუხარინმა.**

თავის მოხსენების პირველ ნაწილში ბუხარინი იძლევა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზს.

რას ფიქრობენ ჩვენს შესახებ კაპიტალისტური სახელმწიფოები?—ამბობს ამხ. ბუხარინი. ამ კითხვის საპასუხოდ მოვიყვანოთ გერმანიის მრეწველთა აზრი. ისინი ამბობენ: „რუსეთში ჩვენ ვაკეთებთ მშვენიერ საქმეებს, რუსეთი პატიოსნად ასრულებს ვალდებულებებს, მისი რესურსები გამოულეველია, საჭიროა მათი გამოყენება,—მაგრამ ჩვენ არა ვართ დაინტერესებულნი იმაში, რომ რუსეთმა დაამზადოს საწარმოო საშუალებანი“.

ეს აზრი გამოხატავს კაპიტალისტური მეურნეობის დაინტერესებას ჩვენი ბაზრით. ჩვენი ბაზრების თავის საქონლით ავსების პერსპექტივა დიდათ სასურველია კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის. ამას უპირდაპირდება მთელი რიგი ფაქტორებისა, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ამ მისწრაფებას: ეს არის საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური გავლენა ეს წინააღმდეგობა ეხლა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება. კაპიტალისტური სახელმწიფოები ცდილობენ მტრული წრე შემოგვავლონ ყოველ მხრიდან. ჩვენს წინააღმდეგ მიმართულია დიპლომატია და სამხედრო პოლიტიკა, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ შეთქმულებებით, რომელთა სულის ჩამდგმელია ინგლისი.

ინგლისი არის ინსპირატორი და იდეოლოგი ყველა იმ ცდებისა, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირის მოქცევა მისდამი მტრულად განწყობილ ძალების რკალში.

როგორ უპასუხებთ ჩვენ ამგვარ ცდებს? საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ყოველთვის იყო და არის მშვიდობიანობის პოლიტიკა. წარსულ წელს ჩვენ დავსდეთ მთელი რიგი ხელშეკრულებათა ურთი-ერთ თავდასხმაზე უარის თქმის შესახებ. ყველა ამ ხელშეკრულებებს, ოსმალეთთან და ლიტვასთან, დემონსტრატიულად მშვიდობიანი ხასიათი აქვთ. ლიტვაში მოხდარი გადატრიალება არის პასუხი ჩვენ მშვიდობიან პოლიტიკაზე. ასეთსავე ამბებს შეიძლება ადგილი ექნეს ბალტიის განაპირა სხვა სახელმწიფოებშიაც. ყველა ამ გადატრიალებათა მიზანია მტრული წრის შემოვლება საბჭოთა კავშირისათვის.

გარდა ამ სამხედრო მოქმედებათა, ევროპაში სწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის იდეურად მომზადება. ბურჟუაზია, რომელიც ამზადებს ახალ ომებს და ქმნის მტრულ წრეს ჩვენს გარშემო, ამავე დროს ცდილობს გამოგვიყვანოს ჩვენ მომავალი ომის მიზეზათ და დამწყებათ. ჩვენ ყველაზე ნაკლებათ ვხარჯავთ საშუალებებს ჯარზე, მაგრამ იმ კამპანიის წინაშე, რომელიც სწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ, ვატარებთ რა დემონსტრატიულად მშვიდობიანობის პოლიტკას, ამავე დროს უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობანი საბჭოთა კავშირის დასაცავად. ჩვენ არ გვაქვს გარანტია, რომ თავს არ დაგვესხმიან. ბრძოლა ჩვენსა და იმპერიალისტებს შორის გადავიდა უფრო მაღალ ფაზისში, ვინემ ეს იყო წინად. ბურჟუაზიისათვის ჩვენთან ბრძოლა არც ისე ადვილია, მაგრამ ინტერვენცია მაინც შესაძლოა. ობსოლიუტური გარანტია ინტერვენციის წინააღმდეგ ჩვენ არა გვაქვს.

ჩვენი პასუხია სამშვიდობო პროპაგანდის გაძლიერება.

ბურჟუაზიისათვის ეხლა განსაკუთრებით ძნელია ჩვენთან ომის წარმოება. ბურჟუაზია არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მუშები წამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ. თუმცა ომის წარმოება ჩვენს წინააღმდეგ ძნელია, მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა უცქეროდეთ გულგრილად ჩვენს სამხედრო ტეხნიკას. ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა, ჩვენთვის მას შეუძლია მხოლოდ სარგებლობის მოტანა. **მაგრამ სამეურნეო მშენებლობის პერიოდში ჩვენ ისევ დავრჩით კომუნისტურ პროლეტარიატის პარტიათ და მტრის თვითეული ცდის საპასუხოდ ჩვენ შევსძლებთ ისე შევამჭიდროვოთ ჩვენი ძალები, რომ მტერი კბილებს დაიმტვრევს ჩვენი ხიშტების სიმტკიცეზე“.**

შემდეგ ეხება რა საერთაშორისო რევოლიუციის საკითხებს, ამხ. ბუხარინი ამბობს:

საერთაშორისო რევოლიუცია ფაქტია და მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ იკითხონ — სადღაა საერთაშორისო რევოლიუცია? საერთაშორისო რევოლიუციამ მიგვიყვანა პროლეტარიატის ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენ ქვეყანაში; საერთაშორისო რევოლიუციამ ქარის დაანარცხა რამოდენიმე გვირგვინი ევროპაში, ის თავის გამოხატულებას პოულობს ჩინეთის ეროვნულ - განმანთავისუფლებელ მოძრაობაში და ინგლისის სამთამადნო მუშათა გაფიცვაში.

საერთაშორისო რევოლიუცია წინ მიდის და ჩვენ მის ცენტრში ვდგევართ. საერთაშორისო რევოლიუციის ფაქტი, რევოლიუციონურ ძალთა ზრდა კიდევ მეტ გამარჯვების რწმენას გვაძლევს ჩვენ.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ჩვენ საგარეო ვაჭრობაზე.

— დაუესიზაციის კონცეპციას—ამბობს ამხ. ბუხარინი—ჩვენ დაუპირდაპირეთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

ამხანაგები ოპოზიციიდან ლაპარაკობენ მსოფლიო მეურნეობისაგან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ. მათ არ ესმით, რომ ჩვენ ამ დამოკიდებულებას გამოვიყენებთ და უნდა გამოვიყენოთ ის ჩვენი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლათ. პურის გატანა და მანქანების შემოზიდვა დამოკიდებულებაა, მაგრამ იმავე დროს ის არის მომზადება დამოუკიდებლობისათვის, ვინაიდან შემოზიდულ მანქანების საშუალებით ჩვენ ვსწყვეტთ ინდუსტრიალიზაციის პრობლემას. ჩვენ ბრალს გვდებენ ეროვნულ კარჩაკეტილობაში. როცა ჩვენს გარშემო იქნება სოციალისტური წრე ჩვენ აღარ დავიწყებთ ლაპარაკს დამოუკიდებლობაზე, მაგრამ როცა ჩვენ გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტური ძალებით, მაშინ დამოუკიდებლობა ამ ძალებისაგან ნიშნავს სოციალისტური ქვეყნის გამიჯვნას კაპიტალისტური რეჟიმისაგან.

ეკონომიურ თავდაცვის ჩვენი ინსტრუმენტი—საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ასუსტებს მსოფლიო ბაზრის ზეგავლენას ჩვენზე. ჩვენ უკვე გვაქვს აქტიური სავაჭრო ბალანსი. ეს არის ჩვენი საუკეთესო სამეურნეო პოლიტიკის შედეგი.

ეჭვს გარეშეა, რომ სწორი სამეურნეო პოლიტიკის პირობებში ჩვენ თანდათან უფრო მნიშვნელოვან გამარჯვებებს მოვიპოვებთ საგარეო ბაზარზე.

შემდეგ ამხ. ბუხარინი გადადის საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობის ანალიზზე.

ჩვენი მეურნეობა ინტენსიურად ვითარდება. ოპოზიციის პესიმისტური განცხადებები უმწეო აღმოჩნდა. მძიმე ინდუსტრიის ზრდის ტემპი უფრო ჩქარია, ვინემ მსუბუქ ინდუსტრიის. აგებულია მთელი რიგი ახალ ქარხნებისა. განსაკუთრებით ინტენსიურია სასოფლო-სამეურნეო მანქანების აღმშენებლობის ტემპი. ამ დარგში მიღებულია ომამდე არსებულის 123 პროცენტი. ამაშია ჩვენი ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი თავისებურება. ის არის ბერკეტი გლეხობის აღორძინებისა და არა გაღატაკების, როგორც ეს ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ოპოზიცია წინასწარმეტყველებდა სიმშილის ზრდას საქონელზე და პურის დამზადების ჩაშლას. სინამდვილეში ჩვენ გვაქვს საქონლის სიმშილის არა გამწვავება, არამედ შენელება (მაგალითად შარშანდელთან შედარებით დამზადებულ იქნა 200 მილ. მეტრით მეტი ქსოვილი). ოპოზიციის ეკონომიური თეორიის დედა-ბოძი—პურის დამზადების ჩაშლა კულაკის მიერ—საბოლოოდ დაინგრა: მიმდინარე წელს პური დამზადებულ იქნა 40 პროცენტით მეტი, ვინემ წარსულ წელს; პურის ბაზარი ჩვენ დავიპყარით.

უმთავრესი სიძნელენი ჩვენ გვაქვს ქალაქის და სოფლის ურთი-ერთობის საკითხში. უმუშევრობა, რომელსაც უმთავრესად ასაზრდოებს სოფლიდან ქალაქში სამუშაოდ ჩასული გლეხობა, შეიძლება დაძლეულ იქნეს მთელ რიგ ზომებით, რომლებიც საშუალებას მისცემენ უმუშევარ გლეხს დარჩეს სოფელში და იშოვოს, იქ სამუშაო, კერძოთ, ინტენსიურ მიწათ-მოქმედების განვითარების და განმტკიცების გზით. რადგან უკანასკნელი მოითხოვს მუშა-ხელის დიდ რაოდენობას. ჩვენ განვიცდით სხვადასხვაგვარ ნედლეულის: მატყლის, ბამბის და სელის ნაკლებობას.

ოპოზიცია ნედლეულის პრობლემას გვერდს უხვევს. ეს მაშინ, როცა მისი გადაჭრა ერთ-ერთი წინასწარი პირობაა მრეწველობის და ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის. ის დაკავშირებულია აგრეთვე ქალაქის და სოფლის ურთი-ერთობის საკითხთან. ფასების საკითხი ჩვენი მეურნეობის და პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. [illegible] ჩვენ [illegible] საცალო და საბითუმო ფასების [illegible] შეუფარდებლობას. ფასების საკითხი ყველა საკითხებზე უფრო მწვავედ სდგას. ოპოზიციის გატაცება ფასების ზრდის პოლიტიკით არის კაპიტალისტური ტენდენციის გამოხატულება. კაპიტალიზმის დროს მონოპოლია იწვევს საქონლის თვისების გაფუჭებას. ჩვენ კი მონოპოლიურ ფასების პირობებში ფასების შემცირებასთან ერთად უნდა ვეცადოთ ხარისხობრივათ გავაუმჯობესოთ საქონელი. ჩვენში პროგრესის მამოძრავებელია არა კონკურენცია, არამედ მასების მოთხოვნილების შეგნებული დაკმაყოფილება.

არის ორი შემცდარი აზრი, რომლებიც თითქოს განსაზღვრავენ ფასების აწევის თეორიას: ინდუსტრიალიზაციის ტემპი დაბალ ფასების დროს, თითქოს, სუსტდება, ყურადღება მომხმარებლის საჭიროებისადმი, თითქოს, არის „მომხმარებლის თვალსაზრისი“. ეს მეტად შემცდარი და საზიანო შეხედულებაა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არა მარტო ფასები დამოკიდებულია თვითღირებულებისაგან, არამედ თვითღირებულებაც დამოკიდებულია ფასებისაგან. დაბალ ფასების დროს, თუ საქონელი მასიურად საღდება, ჩვენ გავადიდებთ ჩვენს შემოსავალს და გავაძლიერებთ ინდუსტრიალიზაციას. მასიური გასაღება კი შეუძლებელია მომხმარებლებისადმი ყურადღების გარეშე.

ბიუროკრატიზმი ჩვენში უმთავრესად თავს იჩენს სამეურნეო აპარატში. მისი მიზეზი უნდა ვეძიოთ აგრეთვე მაღალ ფასებში, რომლებიც ქმნიან გულგრილ დამოკიდებულებას მომხმარებლისა და მასებისადმი. ამიტომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით საჭიროა ბრძოლა მაღალ ფასების წინააღმდეგ. ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში პროფკავშირების და კოოპერატივების საშუალებით უნდა ჩავაბათ ფართე მასები.

პარტიამ ოპოზიციის დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები და ის ყველა თავის ძალებს მიმართავს ჩვენი მეურნეობის განვითარებისაკენ და მუშათა კლასის და გლეხობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ.

რეზოლიუცია ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო

მოსკოვი, 11 იანვარი. მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია ამხ. ბუხარინის მოხსენების (შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა) გამო.

კონფერენცია რეზოლიუციაში აღნიშნავს, რომ პარტიისა და მისი ცეკას სწორმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება, განამტკიცა მუშების კავშირი გლეხობასთან, გააუმჯობესა მშრომელთა მასების კეთილდღეობა, გაამაგრა პროლეტარული დიქტატურის შინაური და საერთაშორისო პოზიციები, დაიცვა პარტიის ლენინური რიგების მთლიანობა, გააძლიერა საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ავანგარდის მნიშვნელობა.

კონფერენციას მიესალმენ ქარხანა „ავიოპრიბორის“ და რიაზან-ურალის რკინის-გზის მუშები. (ადს).

ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენება

მისალმებათა შემდეგ ამხ. ორჯონიკიძემ გააკეთა მოხსენება ცენტრ. საკონტროლო კომისიის მორიგი ამოცანების შესახებ.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის უმთავრესი ამოცანა, ამხ. ორჯონიკიძის სიტყვით, არის ბრძოლა ბიუროკრატიზმთან. მომხსენებელი აღნიშნავს 8 ძირითად ამოცანას, რომელნიც დასმული არიან ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის წინაშე. ამ ამოცანათა რიცხვში შედიან: ბანკების შემცირება, კოოპერატიული ქსელის გაიაფება, მთელი საბჭოთა აპარატის გადასინჯვა—დაწყებული სახალხო კომისარიატიდან და გათავებული სასოფლო საბჭოებით, და სხვ.

დასკვნაში ამხ. ორჯონიკიძემ აღნიშნა, რომ ბიუროკრატიზმზე გამარჯვებისათვის აუცილებელია პარტიისა და მუშათა კლასის მასიური შეტევა. (ადს).

საბჭოების გადარჩევის გამო

საბჭოების გადარჩევას როგორც წინა წლებში, ისე დღესაც ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა. ყველასათვის აშკარაა, ის, რომ **საბჭოების საქმიანობა და უნარიანობა დამოკიდებულია** ყველაზე უფრო თვით საბჭოების **შემადგენლობაზე.** ამიტომ, როგორც პარტია, ისე ხელისუფლება დაინტერესებულია იმაში, რათა საბჭოებში მოხვდენ მუშების და გლეხების რაც შეიძლება უფრო **საუკეთესო ელემენტები.** ეს კი დიდად დამოკიდებულია იმათზე, ვინც თვით ამ არჩევნებს ხელმძღვანელობას უწევს. აშკარაა, თუ რამდენი პასუხისმგებლობა აწევთ იმ ამხანაგებს, რომელთაც საბჭოების გადარჩევის ჩასატარებლად ხელმძღვანელობა აქვთ დაკისრებული. მართალია, აქ პასუხისმგებელია **მთელი პარტია,** მაშასადამე, როგორც პარტიული ორგანოები, ისე პარტიის თითოეული წევრიც, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მთავარი და უშუალო როლი ამ საქმეში დაკისრებული აქვთ რამდენიმე მთავარ ხელმძღვანელს, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას მთავარი პარტიული ორგანიზაციების ახლო მონაწილეობით.

როგორი უნდა იყოს ამ ხელმძღვანელების როლი საბჭოების მომავალ გადარჩევის ჩატარებაში?

უპირველეს ყოვლისა **საჭიროა ზედმიწევნით შეთვისება** ყველა იმ დადგენილებებისა და ინსტრუქციების, რომლებიც გამოცემულია ჩვენი უმაღლესი ორგანოების მიერ სპეციალურად საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად. თავისთავად იგულისხმება, რომ ყოველივე ეს სისწორით და გადაუხვევლად უნდა იქნას ცხოვრებაში გატარებული. მაგრამ ჩვენ ვიცით გამოცდილებიდან, რომ კანონში, დადგენილებაში ან ინსტრუქციაში ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელია. ზოგ შემთხვევაში და ხშირადაც სინამდვილეში ადგილი აქვს ბევრ ისეთ მოვლენას, რის შესახებ თქვენ ვერც ერთ დადგენილებაში ან ინსტრუქციაში პირდაპირ პასუხს ან განმარტებას ვერ იპოვნით და რასაც, მიუხედავად ამისა, უთუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს. და აი სწორედ აქ მართებს ჩვენ ხელმძღვანელ ორგანოებს ადგილობრივად დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა. საბჭოთა სისტემა და საბჭოთა კანონები, სხვათა შორის, მით არიან კიდევ შესანიშნავი, რომ ისინი არ აწესებენ ყველა შემთხვევათა და მოვლენათათვის, სადაც ან რა დროსაც არ ქონდეთ ადგილი ამ უკანასკნელთ, **ერთნაირ შაბლონს, გაქვავებულ ფორმას.** არა, აქ ყველაფერს უნდა გაეწიოს ანგარიში დროისა და ადგილის მიხედვით. ეს ადვილი არაა, ვინაიდან ეს თხოულობს ალღოს აღებას, ეს თხოულობს მოფიქრებას, ამისათვის საჭიროა გამოცდილება. მაგრამ ეს აუცილებლად საჭიროა, ვინაიდან თუ ამას არ გაეწია ანგარიში, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი ამა თუ იმ ადგილას ადვილი შესაძლებელია გადასცდეს სწორ გზას. გარდა ამისა მომავალ არჩევნების ჩატარების დროს ჩვენ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ წარსული გამოცდილება, სწორედ აი ამ წარსული გამოცდილების ცოცხალი მაგალითების მოხმობით ჩვენ უნდა **გამოვასწოროთ ძველი შეცდომები** და აღარ განვიმეოროთ ისინი ამ ახალ არჩევნების დროს.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არა ერთხელ თქმულა და ყოველივე ამაზე არა ერთხელ მიუთითებია ჩვენთვის თავის სიცოცხლეში ამხ. **ლენინს,** და ეს თითოეულ ჩვენგანსაც არა ერთხელ განუმეორებია. ყოველივე ის, რაზედაც აქ ვლაპარაკობთ, მეტად მარტივი და ანბანური ჭეშმარიტებაა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მარტივ და ანბანურ ჭეშმარიტების განმეორება მაინც გვიხდება. უმჯობესია კიდევ და კიდევ განვიმეოროთ და გავიხსენოთ ყოველივე ეს, ეს ზიანს არაოდეს არ მოგვიტანს, თუ არ გვარგებს. ამაზე მეტს აღარ შევჩერდებით.

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოების გადარჩევაში ყველაზე უფრო რთულ და ძნელ ამოცანას წარმოადგენს **არჩევნების წინასწარი კამპანიის ჩატარება.** ეს საქმე თხოულობს სერიოზულ მომზადებას და ტაქტს. არჩევნების წინასწარ კამპანიის ამოცანებს შეადგენს: ა) **საბჭოების და იმათ აღმასრულებელი კომიტეტების მოღვაწეობის გაცნობა** მუშებისა და გლეხების ფართო კრებებზე; ამას ვუწოდებთ ჩვენ ანგარიშის ჩაბარებას საბჭოთა ორგანოების მოღვაწეობის შესახებ; **ბ) ამ ანგარიშების განხილვაში მუშების და გლეხების ფართო მონაწილეობა საქმიანი და ამხანაგური კრიტიკის საშუალებით და გ) საბჭოებში ასარჩევ კანდიდატების გამოძებნა და დასახელება.**

ყველა ამ ამოცანებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა საბჭოების მომავალი მუშაობისათვის, და ამიტომ საჭიროა აქ გამოვიჩინოთ რაც შეიძლება მეტი სიფრთხილე. ავიღოთ ჯერ აღმასკომების წარსული მოღვაწეობის ანგარიშის შესახებ მოხსენებები. რა თქმა უნდა, ამ მოღვაწეობას აქვს როგორც **დადებითი,** ისე **უარყოფითი მხარეც,** ე. ი. აქ. ჩვენ გვაქვს როგორც მიღწევები (ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები), ისე ნაკლულევანებები. დეფექტები და შეცდომები (ამ შემთხვევაშიაც: ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები). ჩვენ რომ ვილაპარაკოთ მარტო პირველ მხარეზე და გავჩუმდეთ მეორეზე და სხვასაც არ მივცეთ საშუალება ამაზე მივუთითონ, როცა ამას ჩადიან არა სიბოროტით და ბრაზმორევით აღსავსე ჩვენი მოსისხლე მტრები, არამედ საბჭოთა საქმისადმი გულშემატკივარნი, აშკარა—რომ ეს არ ივარგებს. მოსახლეობის ფართო მასების დაინტერესების და საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმის მაგიერ ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ამ მასების განზე გადგომას და დაშორებას. ჩვენი მუშაობის ნაკლის და შეცდომების დამალვას ჩვენ მაინც ვერ შევძლებთ. ხშირად ჩვენ ნაკლს ან შეცდომას სხვა უფრო ადვილად ხედავს, ვინემ თვით ჩვენ. მაგრამ საჭიროა, რათა ჩვენ თითონ ვიცნათ თავისი შეცდომები და არ გამოვიჩინოთ აქ ჯიუტობა. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ესა თუ ის შეცდომა სრულებით არ გამომდინარეობს თვით საბჭოთა სისტემის ბუნებისაგან, პირიქით, ეს არის ნაკლი ჩვენი აპარატის ან ცალკე ხელმძღვანელების. როცა ჩვენ ამა თუ იმ შეცდომის დანახვა ან მიჩნევა დაჟინებით არ გვსურს, იმ შემთხვევაში ხალხს ის მოეჩვენება როგორც თვით საბჭოთა სისტემის თვისება, მისი ნამდვილი ბუნებისაგან გამომდინარე მოვლენა. გარდა იმ ნაკლთა და დეფექტებისა, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენი უსახსრობიდან და სიღატაკისაგან და რომელთა თავიდან აცილება მარტო ჩვენზე არაა დამოკიდებული, არის კიდევ სხვაგვარი ნაკლულევანება და დეფექტები, რომელთა სათავე არის ჩვენი აპარატების თუ ორგანოების **ბიუროკრატიული გადახრა, ანუ ზედმეტი ფორმალისტობა, გულგრილობა, უყურადღებობა გაჭირვებულ ხალხისადმი, მედიდურება, მიუწდომლობა** მცხოვრებლების მიმართ და სხვ. და სხ. ყოველივე ეს არის სინამდვილეში, არა ყოველგან, რა თქმა უნდა. ამას ემატება კიდევ **დატუქსვა, დამუქრება და დაშინება.** ამიტომ ხმას ვერ იღებენ ან უფრო იშვიათ შემთხვევაში მოდიან ცენტრში საჩივლელად. მოდიან ცენტრში ისეთი საქმეებისათვის, რომელთა მოგვარება და საბოლოოდ გადაჭრა იქვე, ადგილობრივ ადვილად შეიძლებოდა, და თვით ცენტრსაც არ შეუძლია ეს საკითხები გადაჭრას იმავე ადგილობრივ ხელისუფლების დაუკითხავად. და აქედან დაუბოლოვებელი მიწერ-მოწერა, რასაც მოსდევს უბრალო საქმის გადაჭრის გაჭიანურება. ეს არის სწორედ ის, რასაც **ბიუროკრატიული სენი ეწოდება.** მოვიყვან აქ ერთ-ორ მაგალითს:

ერთ-ერთ სოფელში საჭირო იყო სკოლის შენობისათვის ადგილის გამონახვა. და აი ამ სოფლის პასუხისმგებელი ამხანაგები ართმევენ ერთ ძალზე მოხუცებულ ქვრივს მოშენებულ მიწას, რომლითაც იგი თავს ირჩენდა და ობოლსაც ზრდიდა, სრულიად აუნაზღაურებლად, და სდგამენ იქ სკოლის შენობას. იმავე დროს კი იქვე ცხოვრობენ საკმარისად შეძლებული ყოფილი აზნაურები და მოვაჭრე ხალხი, მაგრამ იმათ მიდამოს არავინ შეხებია. სამი წლის განმავლობაში ეს მოხუცებული ადამიანი ამაოდ ეძებდა სამართალს, და ბოლოს საჭირო შეიქნა ცენტრის ჩარევა, რათა ეს უსამართლობა გამოსწორებულიყო.

მეორე მაგალითი: ერთ მაზრაში შეძლებულმა მოქალაქემ გააგდო ცოლი ძუძუმწოვარ ბავშვით და შეირთო მეორე ცოლი. გაგდებული ცოლი ეძიებს სარჩოს. სასამართლომ, როგორც იყო მიუსაჯა მას ყოველთვე 20 მანეთი, რაც უნდა ეძლია მისთვის ყოფილ ქმარს, მაგრამ ეს უკანასკნელი სხვადასხვა მახინაციებით ითავისუფლებს თავს ამ ფულის გადახდისაგან და მშიერ - მწყურვალი დედაკაცი ჩვილი ბავშვით ხელში რჩება ქუჩაზე. ეს დედაკაცი იძულებულია მიმართოს ცაკს, რომელიც უგზავნის მაზრის ადმინისტრაციის მიწერილობას, რათა ამ გაჭირვებული ადამიანის შელახული უფლება აღდგენილი ყოფილიყო, და ამასთანავე წინადადება ეძლეოდა მიღებულ ზომების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებია ცაკისათვის. მაგრამ გადის დრო და მაზრის ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ იღებს. ასეთი საქციელი ყოვლად დაუშვებელია. ამ შემთხვევაში ვერც სასამართლოს ორგანოები დგანან თავის სიმაღლეზე. აქ ჩვენ ხშირად ვხედავთ ღარიბის და უძლურის ინტერესების შელახვას მდიდრების სასარგებლოდ, თუმც ფორმალურად იმათ შეუძლიათ თავი იმართლონ.

მოვიყვან აქ ასეთ ერთ მაგალითს: ღვინის ერთ-ერთ რაიონში ერთ მებუტკეს, რომელიც ხილით და მინერალური წყლებით ვაჭრობდა, აქციზის მოხელემ აღმოუჩინა დოქში (თიხის პატარა ჭურჭელი) ღვინო, რომლის რაოდენობა, როგორც ჩანს თვით ოქმიდან, არ აღემატებოდა **ერთ ბოთლს.** არავითარი **ნიშანი და საბუთი იმის,** რომ ეს მებუტკე ეწეოდა ღვინით ვაჭრობას, არსად მთელ საქმეში არა ჩანს. მიუხედავად ამისა, სახალხო მოსამართლეს ამ ოქმის ძალით მებუტკისათვის, როგორც ღვინით მოვაჭრისათვის უპატენტოთ, მიუსჯია **ჯარიმა სხვადასხვა სახით 300 მანეთამდე.** სახალხო მოსამართლე მოიქცა ამ შემთხვევაში სრულიად ფორმალურად: მებუტკეს ბუტკაში აღმოაჩნდა ღვინო, დაწესებული პატენტი კი ღვინით ვაჭრობისათვის არა. მორჩა და გათავდა. მან არ მიაქცია ყურადღება არც ღვინის რაოდენობას და არც იმის დამტკიცებას—მართლა ეწეოდა მებუტკე ღვინით ვაჭრობას თუ არა. ასეთი მიდგომა დაუშვებელია.

საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო აქ კიდევ შემდეგი მაგალითი ბიუროკრატიული მიდგომისა. ამ ცოტა ხანში ჩვენ მოვახდინეთ თემების რიცხვის შემცირება, რაც გამოწვეული იყო უმეტესად ადმინისტრატიული ხარჯების შემცირებით. მაგრამ ეს შემცირება უნდა მომხდარიყო ისე, რომ სოფლის მოსახლეობას დიდად არ დაშორებოდა ხელისუფლების ორგანოები. ეს არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. ცაკის პრეზიდიუმს არა ერთხელ მოუხდა ამ საკითხების გადასინჯვა და ხელმეორედ განხილვა. სხვათა შორის, ერთ-ერთ მაზრაში მოხდა თემების ასეთი გადაჯგუფება: გაუქმდა ორი თემი, რომელნიც სხვა თემებზე იქნენ მიწერილი. მაგრამ სინამდვილეში მდგომარეობა ასეთი ყოფილა: ერთი გაუქმებული თემის ცენტრიდან მიწერილი თემის ცენტრამდე ყოფილა — **16 ვერსი,** გზაც ცუდი; ეს კიდევ არაფერი: გაუქმებულ თემში შემავალი რამდენიმე სოფელი დაშორებულია ახალი ცენტრიდან **30—36 ვერსით.** ახლა მეორე გაუქმებული თემის ერთი სოფელი ახალი ცენტრიდან დაშორებულია **26 ვერსით.** ეს გარემოება მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ამ სოფლების მოსახლეობას. ამიტომ გლეხებს აღუძრავთ შუამდგომლობა მაზრის აღმასკომის წინაშე, რომ თუ არ შეიძლებოდა გაუქმებულ თემების აღდგენა, სოფლის საბჭოები მაინც მიეცათ იმათთვის. მაზრის აღმასკომს ყველა ამ შუამდგომლობებზე უარი უთქვამს და საქმე ამით დაუბოლოვებია. აქ ორი გარემოებაა, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს: 1) სამაზრო ხელისუფლებას ამ შემთხვევაში ვერ გაუწევია შესაფერი ანგარიში სოფლის მოსახლეობის კანონიერ მოთხოვნილებისათვის: თუ არ შეიძლებოდა თემების აღდგენა ფინანსიური მოსაზრებით, სოფლის საბჭოს დაწესება ამ სოფლებში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, მაგრამ მან ეს არ ინება; 2) მაზრის ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში თავის უფლებას გადააჭარბა ძით, რომ მან იკისრა ისეთ საკითხების საბოლოოდ გადაჭრა, რომლებიც მის კომპეტენციაში არ შედიოდა.

გარდა ამისა არის შემთხვევები, როცა მაზრის ხელისუფლება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს თითქმის სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევს მოსახლეობის სტიქიურ უბედურებებისაგან დაზარალებას (როგორიც არის მაგ., სეტყვა, გვალვა, საქონლის ჭირი და სხვა ასეთები). რა თქმა უნდა, ეს ხდება შემოსავლის გადიდების მიზნით, მაგრამ მეორე მხრით ამით ისინი თავის სურვილის წინააღმდეგ მოსახლეობას დიდ გაჭირვებაში აყენებენ.

ასეთი მაგალითები მრავალია. იმათ წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა, და ეს ბრძოლა უნდა ხდებოდეს უმეტეს ნაწილად ადგილობრივ, თვით ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, ვინაიდან ცენტრამდის ასეთი შემთხვევების მცირე პროცენტი თუ აღწევს. სწორედ ასეთ დეფექტებს, ხან წვრილმანებს, ხან სხვილმანებსაც, იხვევენ ხელზე ისინი, ვინც საბჭოთა სისტემის მოსისხლე მტრები არიან; ისინი აი რას უჩურჩულებენ შეუგნებელ ხალხს: დახეთ, რა უსამართლობას ჩადის საბჭოთა მთავრობა. უნდა ითქვას, რომ ასეთი შემთხვევები საბჭოთა სამართლიანობის დარღვევისა საბჭოთა ხელისუფლებას და, მაშასადამე, თვით კომუნისტურ პარტიას მართლა უტეხენ სახელს ხალხის თვალში. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ **საჭიროა შეუბრალებელი ბრძოლა ყოველგვარი ბიუროკრატიული გადახრის წინააღმდეგ.** ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ განვახორციელოთ **სინამდვილეში საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი პრინციპები უცვლელად და წმინდა სახით.** მაშინ ადგილი აღარ ექნება რაიმე დაჩაგვრას და გაჭირვებული ხალხის შევიწროვებას რომელიმე მოხელის მიერ. სწორედ ამას მოითხოვს ჩვენი **რევოლიუციონური კანონიერებაც.** ჩვენ არ უნდა დაუშვათ, რომ ეს კანონიერება დაირღვეს ოდნავაც კი. ჩვენ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში საბჭოების პრინციპები ისე, როგორც ეს ჩვენ გვიანდერძა ჩვენმა უდიდესმა მასწავლებელმა ამხ. **ლენინმა.**

რა არის საბჭოები? ეს არის პროლეტარიატის, მშრომელი ხალხის დიქტატურა მყვლეფელ ბურჟუაზიაზე—სოციალიზმის დასამყარებლად. რაც უნდა დიდი ნაკლი და დიდი შეცდომები ქონდეთ საბჭოებს, ყოველივე ეს არაფერია იმასთან შედარებით, რომ მხოლოდ საბჭოები უზრუნველყოფენ ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურას, მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას და სოციალიზმის საბოლოოდ გამარჯვებას. მართალია, ზოგიერთ დარგში ჯერ კიდევ ვერ არის საქმე რიგზე დაყენებული, როგორც ზევით ვამბობდით. ალაგ-ალაგ ხდება შეცდომები, ალაგ - ალაგ ადგილი აქვს რევოლიუციონური კანონიერების დარღვევასაც, მაგრამ ყოველივე ეს ხდება ან ულიდინარობით, ან შეუგნებლობით. რა თქმა უნდა, აქ ადგილი აქვს აგრეთვე ბოროტ განზრახვასაც და ბოროტმოქმედებასაც, რის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლება ღებულობს მკაცრ და სასტიკ ზომებს. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ბოროტმოქმედებას აფუჩეჩებენ ხოლმე, რათა დაიხსნან სასჯელისაგან ესა თუ ის პიროვნება. ეს არა თუ დაუშვებელია, არამედ ეს ახალი დანაშაულის ჩადენას უდრის. რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლება არ დაიღუპება იმით, რომ მასში სადმე გამოერიოს თითო-ოროლა ორგული და ბოროტმოქმედი პიროვნება, მაგრამ ამ გარემოებას დიდი ზიანი მოაქვს მით, რომ ამით საბჭოთა ხელისუფლების მტრებს უადვილდებათ აგიტაცია შეუგნებელ მასაში საბჭოების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს შესახებ. აქ კიდევ დაძვრებიან აგენტები საქართველოდან **გაქცეული და უცხოეთის ბურჟუაზიასთან თავშეფარებული ყოფილი მთავრობისა.** ეს ვაჟბატონები კიდევ ოცნებობენ საქართველოში კვლავ გაბატონებას ევროპის და ამერიკის **ფაშისტური ბურჟუაზიის** დახმარებით. ერთხელ ამ ვაჟბატონებმა სწორედ ასეთი გზით კიდევაც სცადეს ამის განხორციელება. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, თუ რა ძვირად დაუჯდა ეს ჩვენ ხალხს. შეიძლება ზოგიერთებს ეს დაავიწყდათ. მით უარესი მათთვის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც პირში გვიცინიან, მაგრამ იმავე დროს მზად არიან გულში ლახვარი ჩაგვცენ. არიან ისეთებიც, ვინც მუდამ გაბუტული არიან საბჭოების წინააღმდეგ. ყველა ესენი ქვეშ-ქვეშ აკეთებენ თავის ბნელ საქმეებს, სხვადასხვაგვარი ჭორებით ატყუილებენ გულუბრყვილო ხალხს, უცრუებენ მას გულს საბჭოთა ხელისუფლებაზე და იმავე დროს კი ბურჟუაზიულ ქვეყნების წესწყობილებას სამოთხედ უხატავენ. მართლაც იყო დრო, როცა დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების ბურჟუაზიული წესწყობილება ცარიზმთან შედარებით ჩვენთვის რამდენიმედ მისაღები იყო, ჩვენ მაშინ ბურჟუაზიულ პარლამენტს ბურჟუაზიული ცრუ - თავისუფლებებით ვამჯობინებდით მეფის თვითმპყრობელობას. მაგრამ ეს დრო სამუდამოდ წავიდა.

1917 წლ. ჯერ **თებერვლის და შემდეგ ოქტომბრის დიადმა რევოლიუციებმა მდგომარეობა ძირიანად** შესცვალეს: მაშინდელი რომანოვების ვეებერთელა იმპერია დაემხო და მის მაგიერ წარმოიშვა სრულიად **ახალი ტიპის სახელმწიფო —საბჭოთა სახელმწიფო,** რომელმაც უწინარეს ყოვლისა მაგარი რკინის ცოცხით სავსებით გამოგავა რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში დაგროვილი ისტორიული ჭუჭყი და **ნაგავი აბსოლიუტური მონარქიის, ფეოდალური თავადაზნაურობის** და კაპიტალისტური და ფინანსიური ბურჟუაზიის სახით. კაცობრიობის ისტორიაში ასეთი რევოლიუცია პირველი მაგალითია. ყველა წინანდელ რევოლიუციების დროს მშრომელი ხალხი, მუშები და გლეხები მარცხდებოდა. ოქტომბრის რევოლიუციაში **პირველად ხვდა გამარჯვება მშრომელ მასებს.** თავის თავად იგულისხმება, რომ მუშათა კლასი, რომელიც სათავეში მოექცა სახელმწიფოს მართვა - გამგეობას, მარტოოდენ პოლიტიკური გამარჯვებით ძველ უფლება მოსილ კლასებზე ვერ დაკმაყოფილდებოდა: იგი მოწოდებული იყო შესდგომოდა ერთ და იმავე დროს როგორც იმ სოციალური წესწყობილების ძირბუდიანად აღმოფხვრას, რომელზედაც დაყრდნობილი იყო ძველი რუსეთის იმპერიის ბურჟუაზიულ - პომეშჩიკური წესწყობილება, — ე. ი. კაპიტალისტური ყვლეფა - ძარცვა, ისე სრულიად ახალი წესწყობილების — **სოციალიზმის დამყარებას.**

ადვილი წარმოსადგენია, რომ ამას ვერ შეურიგდებოდა ბურჟუაზია და მისი ხელქვეითი პარტიები, იმათ შორის თვით სოციალ - დემოკრატიაც (მენშევიკები), რომელიც სიტყვით სოციალისტურ პარტიად ითვლებოდა. თითქმის ყველა ქვეყნის ბურჟუაზია მენშევიკების დახმარებით დაირაზმა პირველი საბჭოთა სახელმწიფოს დასამხობად. მაგრამ რადგანაც მიზანს ვერ მიაღწიეს, მაშინ ისინი შეუდგენ მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის აღმოფხვრას შინ, თავიანთ სახელმწიფოების საზღვრებში. ამისთვის კაპიტალისტური ბურჟუაზია აწყობს ყოველგვარ განსაკუთრებულ ორგანიზაციებს, ე. ი. ფაშისტურ ორგანიზაციებს; თუ პარლამენტარიზმი და დემოკრატიზმი ერთ დროს კიდევ მიაჩნდათ რამეთ და მისი ფიქტიური ხასიათი უმრავლესობისათვის გამომჟღავნებული არ იყო, დღეს ეს აღარ ითქმის. თუ ერთ დროს ევროპის და ამერიკის დაწინაურებულ და უაღრესად განათლებულ ქვეყნების მართვა - გამგეობა გარეგნობით მაინც იხვეოდა პარლამენტის და დემოკრატიზმის ქურქში, ახლა ყველა ამის ადგილს იქ იჭერს **ფაშიზმი.** თუ თქვენ გნებავთ რამდენიმედ მაინც წარმოდგენა იქონიოთ იმაზე, თუ რას ნიშნავს ფაშიზმი, გირჩევთ გაეცნოთ იმას, თუ რა ხდება ამ უკანასკნელ დროს **იტალიაში, ბოლგარიაში, პოლონეთში, ლიტვაში, რუმინეთში, უნგრეთში.** ყველა ამ ქვეყნებში გამეფებულია **თეთრი ტერორი** მუშების და იმათ ორგანიზაციების წინააღმდეგ. ფაშისტური მთავრობების მიერ მოკლულ და წამებულ რევოლიუციონერების რიცხვი დღითი-დღე მატულობს. სამუდამოდ კატორღაში გაგზავნილთა რიცხვი კი ათიათასობითაა. და ეს ფაშიზმი ედება დღეს მთელ ევროპას და ამერიკას. განათლებული და დაწინაურებული ევროპა და ამერიკა **უბრუნდებიან ნამდვილი ბარბაროსობის და ინკვიზიციის შავბნელ ეპოქას. ფაშიზმის მიზანია მონობის დაბრუნება** მუშათა კლასისათვის. არ გეგონოთ რომ ეს ხდება პატარა სახელმწიფოებში. არა, იტალიის მაგალითს მისდევენ ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატები, სწორედ ის ქვეყნები, რომლებიც ითვლებოდენ ერთ დროს თავისუფლების აკვნად.

და როცა დღეს ჩვენში პარიზში მოკალათებული ჟორდანია - რამიშვილის აგენტები ბოროტი განზრახვით უჩურჩულებენ შეუგნებელ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების ნაკლზე ან შეცდომებზე, და ამ შეცდომების გამო გახარებულნი, თითქოს ცას სწვდებიან. საინტერესოა ვიცოდეთ, რა ახარებთ მათ? ნუ თუ ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა, და საქართველოში კვლავ აღსდგება დემოკრატიული რეჟიმი? ეს მათი საქმეა, მაგრამ მშრომელმა მასამ უნდა გაიგოს, რომ ამ ვაჟბატონების იმედის განხორციელება იქნება მისთვის ნამდვილი უბედურება, ვინაიდან მენშევიკების „დემოკრატიულ“ რეჟიმს აუცილებლად თან მოჰყვება **ფაშიზმი.** მაგრამ ამის იმედი ნუ გექნებათ, ბატონებო. ჩვენ მათ უპასუხებთ პოეტის სიტყვებით:

«То, что жизнью взято раз,
Не в силах рок отнять у нас!».

(რაც ერთხელ ცხოვრებისაგან შეგვიძენია, ბედისწერას არ ძალუძს ჩვენ ის წაგვართვას).

ვის შეუძლია დღეს თქვას, გარდა გიჟისა, რომ საბჭოების მდგომარეობა მტკიცე არაა, და ვინც იმათ შერყევას მოინდომებს, ისინი უმალ თავიანთ თავებს გაიტეხენ. საბჭოებმა თავის არსებობის **დროს უკვე ღრმა ფესვები გაიდგეს მშრომელთა მასებში.** საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და დარგში უკვე აღბეჭდილია საბჭოების უშუალო ზეგავლენა და ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც მიმართულია სოციალიზმის დასამყარებლად. მხოლოდ ბრმას შეუძლია არ შეამჩნიოს ეს.

ამგვარად, მენშევიკურ აგიტაციას საბჭოების წინააღმდეგ ნიადაგი თანდათან ეცლება. თუ ჯერ კიდევ სავსებით არ გამოცლია. მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებს იმას, რომ საქართველოს მშრომელი მასები სრულიად განთავისუფლდნენ პარიზში და სტამბოლში მოკალათებული ქართველი მენშევიკების სახიფათო ექსპერიმენტებისაგან. სანამ არსებობს ფაშისტური ევროპა, მანამ ქართული ემიგრაციას მუდამ ექნება იქ მასაზრდოებელი ნიადაგი. მეორე მხრით სანამ არსებობს ეს ემიგრაცია, რომელიც ლამობს, რათაც არ უნდა დაუჯდეს, საბჭოთა ხელისუფლების დამხობას ჩვენში, ასეთი საფრთხე საქართველოს მშრომელ მასების წინაშე მუდამ იქნება. ეს გარემოება ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, — არ უნდა დავივიწყოთ ეს სწორედ ახლა, როცა ჩვენ უნდა ჩავატაროთ საბჭოების გადარჩევის კამპანია. ადვილი დასაშვებია, რომ საბჭოების მტრებმა და ორგულებმა მოიწადინონ საბჭოებში გასვლა და იქ მოკალათება, რათა იქ გაიტანონ თავიანთი გამხრწნელი და მავნე მუშაობა. ამ მიზნით ისინი ალბად, ვითომც საბჭოების მეგობრებადაც კი მოგვევლინებიან. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა, ასეთ ელემენტებს ნიღაბი ჩამოვხსნათ და იმათ ბნელ განზრახვებს ფარდა ავხადოთ. საბჭოებში უნდა არჩეულ იქნენ **მუშათა კლასის და პროლეტარული რევოლიუციის ნამდვილი გულწრფელი და ერთგული ელემენტები,** რომლებმაც დაამტკიცეს ეს თავიანთი წარსული ცხოვრებით.

აქედან აშკარაა, თუ რა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენში განსაკუთრებით საბჭოების დღევანდელ გადარჩევას.

მთელი ჩვენი ყურადღება, ყველა ჩვენი ძალები აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ **მომავალი საბჭოები გაცილებით უკეთესი გამოდგენ წინანდელ საბჭოებთან შედარებით.** ამას ჩვენ შევსძლებთ, ამის სრული იმედი ჩვენ გვაქვს. ჩვენ ხომ წინ მივდივართ. არ არის ისეთი ძალა, რომელსაც ჩვენი შეჩერება შეეძლოს.

ფ. მახარაძე.

თბილისის მეშვიდე პარტკონფერენცია

ამხ. მიხ. კახიანის მოხსენება თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ

მეორე სხდომა

თბილისის მე-7 პარტკონფერენციის 11 იანვრის დილის სხდომაზე ამხ. კახიანმა გააკეთა მოხსენება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ

მრეწველობა

თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, სთქვა ამხ. კახიანმა, მე დავიწყებ ძირითადი საკითხით, რომელიც ეხლა მთელი ჩვენი პარტიის ყურადღების მთავარი საგანია—ჩვენი მრეწველობის მდგომარეობის საკითხით.

სამრეწველო აღმშენებლობის ფრონტზე აქ, საქართველოში საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. ეს გარემოება ბევრად უწყობდა ხელს იმას, რომ საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციამ და საქართველოს კომპარტიამ მთლიანად წარმატებით გადასწყვიტეს მის წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანები არიან: მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობის დამყარება, მენშევიზმის დანგრევა და მენშევიკური გავლენის ლიკვიდაცია, მჭიდრო კავშირის დამყარება პროლეტარიატსა და გლეხობის შორის, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება.

პირველი სამი ამოცანა წარმატებით გადავსწყვიტეთ. ეხლა ჩვენი უმთავრესი ყურადღების საგანი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება, მრეწველობის განვითარება, ვინაიდან მრეწველობის განვითარების გარეშე ჩვენი ქვეყანა ვერ წავა წინ, ვერ წავა სოციალიზმისაკენ.

ჯერ კიდევ თბილისის მე-6 პარტკონფერენციაზე 1925 წ. ნოემბერში თბ. კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ჩვენ ვამბობდით: „ჩვენი ძირითადი ლოზუნგია—რაც შეიძლება მეტი ყურადღება მრეწველობის საკითხებს. რაც შეიძლება მეტი ცოცხალი და საქმიანი ინტერესი იმ მიღწევებისა და ნაკლისადმი, რომელნიც გვაქვს ჩვენ ფაბრიკებსა და ქარხნებში"! მაშასადამე, ჩვენ მაშინვე წამოვაყენეთ საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია უფრო სერიოზულად შევუდგეთ მრეწველობის საკითხების გადაწყვეტას.

თქვენ იცით, რომ პარტიის მე-14 ყრილობამ მთელი პარტიის წინაშე წამოაყენა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა. მე-15 პარტკონფერენციამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენ დავამთავრეთ ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის პერიოდი და შევუდექით მრეწველობის ახალ ტეხნიკურ ნიადაგზე შექმნას, ახალ აღმშენებლობითი მუშაობას.

ეს საერთო ამოცანები, რომელნიც დგანან მთელი საბჭოთა კავშირის წინაშე, დგანან აგრეთვე ჩვენს წინაშე საქართველოში.

ვნახოთ, როგორ ვწყვეტთ ამ ამოცანებს ამ დარგში?

უნდა ითქვას, რომ აქ, საქართველოში, ისე როგორც სხვა ჩვენ მოკავშირე რესპუბლიკებში თითქმის დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს აღდგენითი პერიოდი, რომელიც საკმაოდ კარგ პირობებში არ მიმდინარეობდა. მრეწველობის ზოგიერთი დარგების ჩამორჩენის მიუხედავად ჩვენ საერთოდ მივაღწიეთ ომამდე არსებულ დონეს. ჩვენი მრეწველობის განვითარება ნორმალური ტემპით მიდიოდა. 1924-25 წელთან შედარებით ჩვენ გვაქვს მომატება 41,6 პროცენტით. ეს მომატება საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობის მომატებას (42 პროც.) უდრის.

სახელმწიფო და კოოპერატიული მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს მთელი საცენზო მრეწველობის მიმართ 1923-24 წელში შეადგენდა—74,8 პროცენტს, 1924-25 წელში—85,4 პროც. და 1925-26 წელში 85,9 პროცენტს. დანარჩენი 14 პროც. მოდის კერძო მრეწველობის წილად, მათ შორის მარგანეცის მრეწველობაზე. თუ აქედან მარგანეცის მრეწველობას გამოვრიცხავთ, მაშინ კერძო მრეწველობის წილად მოდის მხოლოდ 3 პროცენტი.

საბრუნავი თანხების ნაკლებობისა და შინამრეწველობითი დაგროვების ნელი პროცესის მიუხედავად ჩვენ 1925-26 წ. კაპიტალისტურ აღმშენებლობაში დავაბანდეთ 900.000 მან., რაც მრეწველობის მიზნებისათვის დახარჯული მთელი თანხის (4 მილ. მანეთამდე) 25 პროც.-ს შეადგენს.

როგორია საქართველოს სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის ზრდის ურთიერთ შეფარდება? სტატისტიკური ცნობებით, საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქცია 1924-25 წელში გამოიხატა 52.365.000 ჩერვ. მანეთში. სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია იმავე პერიოდის განმავლობაში საქართველოს ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ბალანსის თანახმად შეადგენდა 239.084 ათას ჩერვ. მანეთს. ამგვარად, შეფარდება სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შორის გამოიხატება 1:4,5, რაც უეჭველ პროგრესს წარმოადგენს იმასთან შედარებით, რაც იყო წინედ, როცა ეს შეფარდება გამოიხატებოდა, მაგ. 1:8 ან 1:9.

სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების ტემპი ხასიათდება შემდეგი ციფრებით. თუ მაგ., 1923-24 წ. მივიღებთ 100 პროცენტად, მაშინ სასოფლო მეურნეობის მიმართ 1924-25 წელში გვაქვს 133 პროც., 1925-26 წელში—152 პროცენტი. მრეწველობის მიმართ 1924-25 წელში გვაქვს—146 პროც., 1925-26 წელში კი—219 პროცენტი. ეს ციფრები აშკარავებენ საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითად ტენდენციას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მრეწველობის განვითარება უფრო სწრაფი ტემპით ხდებოდა, ვიდრე სასოფლო მეურნეობის განვითარება, სწორედ ისე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში.

ეს ციფრები თვალსაჩინოდ ამტკიცებენ იმას, რომ ინდუსტრიალიზაციის დარგში ჩვენ მივდივართ წინ და რომ მართალი არ არიან ჩვენი მტრები მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან, და აგრეთვე პანიკიორები ჩვენს საკუთარ წრიდან, როცა ისინი ამტკიცებენ, რომ მრეწველობის ზრდის დარგში ჩვენ არ გვაქვს მიღწევანი. თუ ავიღებთ საქართველოს, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებით სამრეწველო ქვეყნად, ჩვენ აქაც კი გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. ღრმად შემცდარია ამიტომ ნოე ჟორდანია, რომელიც „ბრძოლა"-ს მე-17 ნომერში აცხადებს, რომ „საბჭოთა სინამდვილე არ იძლევა არავითარ ნიადაგს ქვეყნის სამრეწველო აღორძინებისათვის, ინდუსტრიალიზაციის მართლა გატარებისათვის". ჩვენ ფაქტები აწ ციფრები გვიჩვენებენ, რომ ამას სავსებით და მთლიანად უარჰყოფს ცხოვრება. საბჭოთა სინამდვილე იძლევა სოციალიზმისაკენ წინსვლის საშუალებას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მეოხებით. ეს ინდუსტრიალიზაცია ჩვენ მომავალშიაც უნდა განვავითაროთ ყოველ მხრივ.

ჯერ კიდევ 1921 წელში ლენინი სწერდა, რომ კავკასიელი კომუნისტების ძირითადი ამოცანაა სამაგალითო ეროვნული მშვიდობიანობის შექმნა ამიერ-კავკასიაში; ამასთანავე იგი დასძენდა, რომ როგორც მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ეს ამოცანა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საბჭოთა ხელისუფლების, როგორც სოციალიზმისაკენ გარდამავალი ეტაპის შენარჩუნება და განვითარება. სოციალიზმისაკენ ამ გარდამავალ ეტაპში იგი გულისხმობდა საწარმოო ძალთა განვითარებას, და აღნიშნავდა, რომ უნდა გამოვიყენოთ მარგანეცი, ნავთი, ქვა-ნახშირი და ჩვენი ქვეყნის სხვა სიმდიდრენი, რომ უნდა განვავითაროთ ელექტროფიკაცია და ამ გზით წავიდეთ წინ, განვახორციელოთ სოციალიზმისაკენ გარდასვლა. ეს ამოცანა სდგას ამ ჟამად ამიერ-კავკასიის კომუნისტების წინაშე და ვფიქრობ, რომ ჩვენ საერთო ძალ-ღონით გადავსწყვეტთ ამ ამოცანას.

ტრესტები

ეხლა შევეხები ცალკე ტრესტებს, მრეწველობის ცალკე დარგების მდგომარეობას.

ტყავ-ტრესტში ჩვენ ჩავატარეთ ტყავეულის ქარხნის სრული მექანიზაცია. 1923-24 წელთან შედარებით 1925-26 წელში დავამუშავეთ 202 პროც. ჩვენ გადავაცილეთ ომამდე არსებულ დონეს. ტრესტი უზრუნველყოფილია ნედლეულით, პროდუქციის რეალიზაცია ხდება მთლიანად ბაზრის მინიმალურად დაკმაყოფილებით.

თამბაქოს ტრესტს პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს სახელმწიფო მრეწველობაში და მეორე (მარგანეცის შემდეგ) მთელ საცენზო მრეწველობაში. ტრესტის ფაბრიკების ტეხნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მოწყობილობა ძალიან გაცვეთილია, მაგრამ წარმოების ომამდე არსებულ ნორმას 25,8 პროცენტით გადავაცილეთ. თამბაქოს მრეწველობას ძალიან კარგი პერსპექტივები აქვს და თუმცა მრეწველობის ამ დარგს ბევრი მოწინააღმდეგენი ჰყავს, მაგრამ ცხოვრებას თავისი მიაქვს, და ჩვენი სამეურნეო მუშაკები სათანადო ყურადღებას აქცევენ მრეწველობის ამ დარგის განვითარებას.

მუშათა რიცხვის ზრდა

თქვენ ყურადღებას არ შევაჩერებ დანარჩენი ტრესტების მუშაობის დახასიათებაზე. დღის წესრიგში სდგას სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ერთი უშუალო ხელმძღვანელთაგანის ამხ. ავაქოვის სპეციალური მოხსენება. მე არ მინდა მას წავართვა თემა მთლიანად და სავსებით. მე ვფიქრობ, რომ ის უფრო დაწვრილებით გააშუქებს ჩვენი სამრეწველო აღმშენებლობისა და სამრეწველო ცხოვრების ძირითად საკითხებს. აღვნიშნავ მხოლოდ მუშათა რიცხვის ზრდას. საქართველოს პროფსაბჭოს ცნობით, მრეწველობაში მომუშავე მუშათა რიცხვი 1921 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენდა 16.845, 1926 წ. 1 აპრილისათვის ჩვენ უკვე გვყავს 31.700 მუშა. ამგვარად მრეწველობაში მომუშავე მუშათა რაოდენობა 1921 წლიდან 1926 წლამდე ორჯერ გაიზარდა.

მრეწველობის ახალი აღმშენებლობა თბილისში არ მიდის საკმაო სწრაფი ტემპით. ყველაზე უფრო უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს „ზაჰესის" აგება, რომელსაც უეჭველია უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი ჩვენი მრეწველობისათვის. გარდა ამისა, ჩვენ ეხლა თბილისში ვიწყებთ მაუდის ახალი ფაბრიკის აგებას, რომელშიაც 1.000-მდე მუშა იმუშავებს. ჯერჯერობით ამის გაკეთება შევსძელით.

საშინაო ვაჭრობა

გადავდივარ საკითხების მეორე ჯგუფზე—ჩვენი საშინაო ვაჭრობის მდგომარეობაზე და ჩვენი ბანკების მუშაობაზე.

საქონლის საერთო ბრუნვა საქართველოს ქალაქებსა და სოფლის ადგილებში 1924—25 წ. პირველ ნახევარში შეადგენდა 98.524.000 მან., მეორე ნახევარში—121.371.000 მან. ამგვარად მთელი 1924—25 წ. განმავლობაში იგი გამოიხატა 220 მილ. მან. 1925—26 წ. პირველ ნახევარში საქონლის ბრუნვა უდრიდა 137.910.000 მან. მაშასადამე, 1924—25 წ. პირველ ნახევართან შედარებით ჩვენ გვაქვს გადამეტება 38 მილ. მან. 1925—26 წ. მეორე ნახევრის ციფრი ჯერ კიდევ არა გვაქვს, მაგრამ ეს ციფრი ალბად უფრო მეტ ზრდას გვიჩვენებს.

სოციალისტური და კაპიტალისტური სექტორი

როგორ ვითარდება კერძო ვაჭრობა სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობასთან შედარებით, როგორია სოციალისტური და კაპიტალისტური სექტორის შეფარდება?

საერთო საქონლის ბრუნვაში სახელმწიფო ვაჭრობას 1924—25 წლის პირველ ნახევარში ჰქონდა 48,5 პროც., 1925—26 წ. პირველ ნახევარში—51,6 პროც., კოოპერაციას 1924—25 წ. პირველ ნახევარში ჰქონდა—29.8 პროც. და 1925—26 წ. პირველ ნახევარში—23.2 პროც. მაშასადამე, კერძო ვაჭრობის მიმართ ჩვენ გვაქვს შემცირება 5.6 პროცენტით. კიდევ უფრო მეტ შემცირებას მივიღებთ, თუ საცალო ვაჭრობას ავიღებთ. აქ კერძო კაპიტალის საცალო ვაჭრობაში მონაწილეობის სათანადო ციფრები არის—51.9 პროც. და 36.5 პროც., ე. ი. შემცირება უდრის 15 პროცენტზე მეტს. მაგრამ თქვენს ყურადღებას მივაქცევთ იმაზე, რომ საცალო ვაჭრობაში კერძო ვაჭრები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რამდენადაც მათი მონაწილეობა 36,5 პროცენტში გამოიხატება.

საქართველოს საქონლის საერთო ბრუნვიდან თბილისის წილად მოდის 67,7 პროც. 1924—25 წ. პირველ ნახევარში საქონლის ბრუნვა თბილისში შეადგენდა 75.415.000 მან., მეორე ნახევარში—803.109.000 მან. 1925—26 წ. პირველ ნახევარში ჩვენ უკვე გვაქვს 93.000.000 მანეთამდე. საბითუმო ვაჭრობაში თბილისს უჭირავს მთელი საქართ. ბრუნვის საბითუმო-საცალო ვაჭრობაში ½, საცალოში—$^3/_5$. 1924—25 წლის პირველ ნახევართან შედარებით კერძო კაპიტალის მონაწილეობა საქონლის ბრუნვაში თბილისში 1925—26 წ. პირველ ნახევარში დაეცა 23,8 პროცენტიდან 17.6 პროცენტამდე, ე. ი. 6 პროცენტით.

საქონლის ფასების საკითხი

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების შემცირების საკითხს. ფასების შემცირება უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანაა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. უნდა ვაღიაროთ, რომ მთელ საბჭოთა კავშირში ამ მიმართულებით ძალიან ცოტა შედეგებია მიღწეული. ეს საკითხი ფართოდ უნდა დავსვათ, ვინაიდან იგი არის დაკავშირებული მომჭირნეობის რეჟიმთან, ჩვენ წარმოების და აღებ-მიცემობის ყველა პროცესების რაციონალიზაციასთან.

ჩვენში, საქართველოში თითქმის სრულიად არ შემცირებულა სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების ღირებულება; დანარჩენი საქონელი კი შემდეგ შემცირებას იძლევა: ჩითი—2 პროცენტით, ტილო—1 პროცენტით, შაქრის ფხვნილი—0.5 პროცენტით, ნატეხი შაქარი—0.9 პროცენტით და სხ. საერთოდ ფასების შემცირება საქართველოში 1.2 პროცენტს არ აღემატება. ასეთი ცოტა შემცირების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში არის მრავალი ისეთი ორგანიზაცია, რომელნიც ერთდაიმავე საქონლით ვაჭრობენ, არ არსებობს სავაჭრო აპარატის რაციონალურად დაყენება, საკმაოდ არ არიან დატვირთული სავაჭრო დაწესებულებანი და სხ.

ბანკები

გადავდივარ ჩვენი ბანკების მუშაობის საკითხზე. თუ საქართველოს მთელ ბანკებს ავიღებთ, უნდა ითქვას, რომ თბილისს საკრედიტო საანგარიშო ოპერაციების მიხედვით მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მათ სისტემაში—მის წილად მოდის 85 პროც. 70 მილიონი მან. კრედიტიდან, რომელიც საქართველოში იყო განაწილებული 1925—26 წელში, მრეწველობას ხვდება 16,7 პროცენტი, ტრანსპორტს—8.0 პროცენტი, სასოფლო-მეურნეობას—18.8 პროცენტი, ვაჭრობას—18.4 პროცენტი, კომუნალურ მეურნეობას—24.4 პროცენტი, საკრედიტო დაწესებულებებს—18.1 პროც. კრედიტების საერთო თანხიდან 1925—26 წელში სახელმწიფო დაწესებულებებს ქონდათ—66.6 პროცენტი, კოოპერაციას—14 პროცენტი, კერძო კაპიტალს—1,2 პროცენტი, სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებებს—18.1 პროცენტი. 1924—25 წელში კერძო პირთა წილად მოდიოდა 6.6 პროცენტ, ამგვარად, ჩვენ ეხლა გვაქვს კერძო პირთა წილის დიდი შემცირება.

სასოფლო-მეურნეობას, როგორც დავინახეთ მიეცა 18,8 პროცენტი, თითქოს ეს ციფრი ძალიან დიდია იმასთან შედარებით, რომელიც მიეცა მრეწველობას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამაში შედის კრედიტის მიწოდება სამრეწველო ნედლეულის დამზადებისათვის.

თბილისის ქალაქის ბანკი, რომელიც თბილისის აღმასკომის გავლენის ქვეშ იმყოფება—მუშაობდა სრულიად დამაკმაყოფილებლად. ბანკის ბალანსი, რომელიც 1925 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის გამოიხატებოდა 9 მილიონ მანეთში, აღწევს 1926 წ. 1 ოქტომბერს 18 მილიონს. ბანკის კლიენტურის განაწილება შემდეგნაირია:

1924—25 წლის განმავლობაში სახელმწ. დაწესებულებებზე მოდიოდა 17 პროც., 1925—26 წ. განმავლობაში კი—25.8 პროცენტი; ამავე ხნის განმავლობაში კოოპერაციაზე მოდიოდა 19 პროც. პირველად და 12.6 პროცენტი მეორე პერიოდში; კერძო კლიენტებზე მოდიოდა ჯერ 17 პროცენტი და შემდეგ 4.9 პროცენტი. კრედიტების უდიდესი ნაწილი მოდიოდა კომუნალურ და საბინაო მშენებლობაზე (1924—25 წ. განმავლობაში—47 პროცენტი, ხოლო 1925—26 წელს—54,9 პროცენტი), რაც სრულიად შეესაბამება ბანკის დანიშნულებას, რომელიც მოწოდებულია თბილისისა და სხვა ქალაქების კომუნალური მშენებლობისათვის ხელის შესაწყობად.

რა დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ ჩვენი ბანკების მუშაობიდან? უპირველესად ყოვლისა აქ თვალში გვეცემათ ს გარემოება, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი ბანკები. თუ 1924 წელს მათი რიცხვი უდრიდა 14-ს, ამჟამად ჩვენში მუშაობს 26-დე ბანკი. საჭირო არის ბანკების ქსელის გადათვალიერება, რომ შესაძლებელი გახდეს მათი რიცხვის შემცირება. საჭირო არის აგრეთვე გადავსინჯოთ საკითხი საურთიერთო-საკრედიტო საზოგადოებების მუშაობის შესახებ, ვინაიდან ხშირად აღნიშნული საზოგადოებები ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. ისინი თითქმის ვერ უყრიანთავს კერძო საშუალებებს და სარგებლობენ სახელმწიფო თანხებით.

კერძო კაპიტალი.—„ქებაძევშჩინა"

მე მინდოდა შევხებოდი აგრეთვე კერძო კაპიტალის როლს ამ არანორმალობასთან თვალსაზრისით, რომელიც ჩვენ ამ დარგში უსათუოდ გვაქვს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი სახელმწიფო ორგანიზაციები ხშირად ხელს უწყობენ კერძო კაპიტალის ზრდას. ამის საილუსტრაციოთ მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს.

უპირველესად ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო კაპიტალის პროცენტული მონაწილეობა ვაჭრობაში, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, დაახლოვებითია, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ამის გამოანგარიშება სწორად. ეს დამოკიდებულია ჩვენი ფინანსთა კომის. და ფინორგანოებისაგან, რომელნიც აწარმოებენ კერძო ვაჭრობის დაბეგვრას ფინინსპექტორებისა და საქციზო აგენტების საშუალებით და ამით არკვევენ კერძო ვაჭრობის მონაწილეობის როლს ვაჭრობაში. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ფინორგანოების აპარატში საკმაოდ მოიძებნებიან ძველი დროის ფინინსპექტორები და საქციზო აგენტები. ერთის მხრით ისინი ხშირათ უთანხმდებიან კერძო ვაჭრებს და აშკარაა აქ შეიძლება ადგილი დაურჩეს მთელ რიგ ბოროტმოქმედებებსაც. საჭირო არის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შესაფერ მუშაკთა შერჩევას ისეთ აპარატში, რომელსაც კავშირი აქვს კერძო მოსაქმეებთან.

მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს ჩვენი ტრესტების მოღვაწეობიდან, მაგალითებს, რომელიც აშკარად გახდის, თუ რამდენად არანორმალურად მიმდინარეობს ჩვენი მუშაობა ამ მხრივ.

1926 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში „მილომახმა" მაგალითად მისცა კერძოებს თავის პროდუქციის 60 პროცენტზე მეტი, სახელმწიფო ვაჭრობას კი—25 პროცენტი და დანარჩენი კოოპერაციას. კერძო ვაჭარი, ამავე დროს სარგებლობდა კრედიტით იმავე პირობებში, როგორც კოოპერაცია. ალბათ „მილომახი" თანაბრათ ეპყრობოდა კოოპერაციისა და კერძო ვაჭრობის წარმომადგენლებს, რადგანაც ეტყობა ამაში მდგომარეობს ჩვენი სავაჭრო პოლიტიკა.

საქონლის ნისიად გაცემის საქმე კერძო ვაჭრებზე „მილომახ"-ში საერთოდ არანორმალურად იყო დაყენებული. კერძო ვაჭრებს ეძლეოდა მსხვილი ნისია, რაც მათ ბოლოსდაბოლოს არასაიმედო დებიტორებად ხდიდა.

გარდა ამისა, „მილომახი" ხშირად ეწეოდა იაფათ საქმეებს, რაც მის მოვალეობას არ შეადგენდა. მიუხედავათ მაუდის ნაკლულევანებისა, რომელსაც ამჟამად აქვს ადგილი, „მილომახ"-მა 1926 წლის დეკემბერში მიჰყიდა კერძო საზოგადოებას როსტოვში 104.000 მანეთის მაუდი, და 47.000 მანეთის ბამბა ნისიად 45 დღის ვადით. ამ საქმის ყურადღება მიაქცია როსტოვის ბირჟამ და შეეკითხა—თუ რათ ეწევა „მილომახი" ასეთ უმიზეზოებას.

გადავდივართ ტყავტრესტზე. ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სააპიო ამხანაგობამ შეკვეთის თანახმად, მისცა ტყავტრესტს 1.000 კილოგრამი კეპეში, კილო 84 კაპიკათ, ე. ი. 14 მანეთათ ფუთი; მაგრამ ტყავტრესტმა გადაუცვალა წარმოებისათვის საჭირო კეპეში ტყავის ნედლეულობაზე ვილაც კერძო ვაჭარს ვასერმანს. ამის შემდეგ ვასერმანმა გაჰყიდა მიღებული კეპეში 259 მანეთად ფუთი. აი როგორ ატარებს ჩვენს სავაჭრო პოლიტიკას ტყავტრესტი!

ასეთი მაგალითების მოყვანა ბლომათ შეიძლება. მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს:

ჩვენში არსებობს დაწესებულება გლეხების ღვინის პროდუქტთა სარეალიზაციოთ. ამ დაწესებულებას ეწოდება საქართველოს მეღვინეთა კავშირი. ამჟამად ეს დაწესებულება „მუშაობს" ისე, რომ თითქმის მთელი ბაზარი დაპყრობილი აქვთ კერძო ვაჭრებს. 1925 წლის ნოემბერში საქართველოს მეღვინეთა კავშირის გამგეობამ ხელშეკრულება დასდო კერძო ვაჭარ ბერიძესთან, რომელსაც მიენიჭა კავშირის მიერ დამზადებული ღვინის პროდუქციის რეალიზაციის მონოპოლიური უფლება საქართველოს ტერიტორიაზე—თბილისის ჩართვით. ამ ხელშეკრულების ძალით ბერიძე ვალდებული იყო გაესაღებინა 36.000 ვედრო ღვინო. ამასთანავე იგი სარგებლობდა, ღვინის მიღების დროს საქართველოს მეღვინეთა კავშირის საწყობიდან, სა. პრეისკურანტო ფასებზე 20 პროცენტიან შეღავათით. მე ვფიქრობ, რომ ასეთ ხელშეკრულების მიზანშეწონილობასა და ხელსაყრელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. იგი წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინის აშკარა ზარალს. ერთ წელიწადზე მეტია, რაც ბერიძე მუშაობს და ღებულობს კოოპერატიულ ორგანიზაციის ხარჯზე საკმაო მოგებას. ამასთანავე ბერიძე სარგებლობს საბანკო კრედიტებით. სახელმწიფო ხაზინის ზარალს გარდა, ჩვენთვის აშკარაა, რომ კოოპერატიული ორგანიზაცია არ ასრულებს თავის ძირითად ამოცანებს. ღვინის შესყიდვა-დამზადების სწარმოებს კერძო ვაჭრების საშუალებით, გლეხი კი იძულებულია თითქმის უფასოდ ჩაუგდოს ხელში თავის მოსავალი კერძო ვაჭარს. ასეთი პრაქტიკა უნდა იქნას დაგმობილი და აღმოფხვრილი.

აქ მოგონდება ცნობილი ქებაძის ისტორია. თქვენ გახსოვთ ვაჭარი ქებაძე, რომელიც მონოპოლიურად აწარმოებდა ბორჯომის წყლის რეალიზაციას. გამოდიოდა ისე, თითქო ქებაძის გარეშე მომხმარებელს არ შეეძლო დაელია ბორჯომის წყალი. ჩვენ ქებაძე გადავაბარგეთ იქ, სადაც ჯერ არს. ბორჯომის წყლის გავრცელებას კი ეხლა აწარმოებს სახელმწიფო ორგანიზაცია, და მომხმარებელიც ძალიან კარგად სვამს წყალს, და სახელმწიფო ორგანიზაციაც ძალიან კარგად ავრცელებს მას.

ქებაძე ახლა აღარ „მუშაობს", მაგრამ ქებაძევშჩინა კიდევ ცოცხალია. ჩვენ ამ კონფერენციაზე უნდა ვსთქვათ, რომ საჭიროა ქებაძევშჩინას გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

კოოპერაცია

გადავდივარ მესამე ჯგუფის საკითხებზე,—სახელდობრ, ჩვენი კოოპერაციის მუშაობაზე. აქ მე უმთავრესი შევჩერდები მუშკოოპის მუშაობაზე, იმდენათ, რამდენათაც მუშკოოპი იმყოფება ჩვენი თბილისის კომიტეტისა და თბილისის ორგანიზაციის გავლენის ქვეშ.

უკანასკნელ ხანებში მუშკოოპი დაათვალიერა სამმა კოოპერატიულმა ცენტრმა—ცენტრალურმა მუშათა სექციამ, ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა და ცეკავშირმა. აღნიშნულმა გამოკვლევებმა მოგვცა ჩვენ მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ცნობები. ამ ცნობების მიხედვით მუშკოოპის მუშაობა შემდეგნაირ სურათს იძლევა:

თუ 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის მუშკოოპის წევრთა რიცხვი 21.367 კაცს შეიცავდა, 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ეს რაოდენობა 26.217 კაცს უდრის ე. ი. წევრთა რიცხვი გაზრდილა 22,7 პროცენტით.

თუ პროფკავშირის წევრთა რაოდენობიდან გამოვალთ, კოოპერატივებში გაერთიანებულია პროფკავშირების წევრთა 54,2 პროც. უნდა აღინიშნოს, რომ მთელს საბჭოთა კავშირში კოოპერატივებში გაერთიანებულ კავშირის წევრთა საშუალო პროცენტს გამოხატავს 68,1 პროც. ცხადია **კოოპერატივებში გაერთიანებულთა რაოდენობა ჩამოურჩება საბჭოთა კავშირის საშუალო ნორმას.** ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ მთელ რიგ მუშათა რაიონებს, სადაც კოოპერატივებში შეკავშირებულთა რიცხვი 80 და ხან კი 90 პროც. აღწევს, დავინახავთ, რომ თბილისი საგრძნობლად ჩამოურჩება სხვა ქალაქებსა და მუშათა რაიონებს. ეს არის ძირითადი ნაკლოვანება, რომელიც ჩვენ უნდა აღვნიშნოთ. რაც შეეხება საპაიო ანაბარებს, ჩვენ გვაქვს შემდეგი ციფრები: საპაიო ანაბარები 2 მანეთიდან გაიზარდა 2 მან. და 60 კაპიკამდე. ამ მხრით ჩვენ ჩამოვრჩებით საბჭოთა კავშირის საშუალო ნორმას, რომელიც უდრის 4 მან. 54 კაპ. ეს ნაკლია ჩვენი მუშაობის.

თბილისის მუშკოოპის მდგომარეობა

თბილისის მუშკოოპის მდგომარეობა

თუ ავიღებთ თბილისის მუშკოოპს, სავაჭრო ქსელის განვითარების თვალსაზრისით;—რას წარმოადგენს იგი? აქ ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი: მუშკოოპს აქვს 183 სავაჭრო ერთეული, სადაც მსახურობს 895 კაცი. 1925 წელთან შედარებით რიცხვი შემცირდა, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი წარმოებანი გაუქმებულ იქნა და გადაეცა კოოპერატიულ ცენტრს, რომელსაც კოოპერატიული მრეწველობა ეწოდება. (საძეხვე ქარხანა, საკანდიტრო ფაბრიკა და სხ.)

შევეხები ეხლა კოოპერატივის ბრუნვის ზრდას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ 1924-25 წელს ბრუნვა უდრიდა 10.250.000 მან. ხოლო 1925-26 წელს 13.858.000 მ. ამგვარად შესამჩნევი ხდება ჩვენი კოოპერაციის ბრუნვის სისტემატიური ზრდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ არა ყოველგვარ კოოპერატიულ ბრუნვას, როგორც ამბობდა ამხ. ლენინი, არამედ ისეთს, რომელშიდაც ნამდვილად მონაწილეობას ღებულობს მოსახლეობის მასსა. ამ მხრივ ჩვენი საქმე მეტად მოიკოჭლებს, რადგან ნამდვილი კოოპერატიული საზოგადოებრივობა მუშკოოპის გარშემო ჯერ კიდევ არ არსებობს. ეხლა მიმდინარეობს რწმუნებულთა ახალი არჩევნები და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნება.

რაც შეეხება სავაჭრო საორგანიზაციო ხარჯებს, უნდა ვაღიაროთ, რომ მუშკოოპის მიხედვით საშუალო პროცენტი მეტად მაღალია. იგი უდრის 12,7 პროც. ხოლო მთელს საბჭოთა კავშირში კი ეს პროცენტი 10-ს არ აღემატება. ცენტრალური მუშკოოპის სექცია წინადადებას იძლევა, ეს პროცენტი დაყვანილ იქნეს 8-მდე. აქ უნდა ავიღოთ მტკიცე კურსი საორგანიზაციო ხარჯების შესამცირებლად, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ მივაღწევთ საჭირო შედეგებს ფასების დაკლების მხრით. მუშკოოპის ფასების დაკლებას ჯერ არ მოუცია მნიშვნელოვანი ნაყოფი. საქონელზე დადებული ხარჯის საშუალო პროცენტი მთელი წლის განმავლობაში უდრიდა 13 პროცენტს. საქონლის ცალკე ჯგუფების მიხედვით ადგილი ჰქონდა ფასების დაკლებას. თუ ავიღებთ საბიუჯეტო ნაკრებს, დავინახავთ, რომ პირველი მაისისათვის მისი ღირებულება აღწევდა 11 მ. 80 კაპ., ხოლო პირველი ნოემბრისათვის 11 მან. 12 კაპ., რაც იძლევა 2,4 პროც. დაკლებას.

ფართო მოხმარების პროდუქტებზე მაისში იყო 2,52 პროც., ხოლო ნოემბერში 2,5 პროცენტი. შეჯამებულად პირველ მაისისათვის ჩვენ გვქონდა 13 მან. 91 კაპ., ხოლო პირველი ნოემბრისათვის 13 მ. 69 კაპ. ასე რომ, საერთო დაკლება აქ უმნიშვნელოა. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ფასების დაკლების შესახებ ტარდება მხოლოდ ნაწილობრივ, ამიტომ მუშკოოპის წინაშე სდგას მნიშვნელოვანი ამოცანა შემდეგშიდაც დაუკლოს ფასებს. ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს სისტემატიურად და აუცილებელია მას მიექცეს სათანადო ყურადღება.

რაც შეეხება მუშკოოპის ფინანსიურ მდგომარეობას, აქ გვაქვს დიდი მიღწევები, საანგარიშო წელი არის პირველი წელი, რომელმაც მუშკოოპს მისცა მოგება. წინა წლებში მუშკოოპი ზარალობდა. შარშან მუშკოოპის ზარალი 200.000 მანეთს აღემატებოდა. წინასწარი ცნობებით საანგარიშო წელი მოგვცემს 815.000 წმინდა მოგებას.

მუშკოოპის მუშაობის შესახებ დასკვნები ასეთია: აღნიშნულია მთელი რიგი ნაკლულოვანებისა მუშკოოპში. საერთოდ ჩვენი პოლიტიკისათვის მუშკოოპს არ გადაუხვევია, მაგრამ არის შემდეგი დეფექტები: სავაჭრო აპარატის არა საკმარისი დატვირთვა, კოოპერატივებში გაერთიანებულ კავშირის წევრთა მცირე რაოდენობა, ნაკლები დისციპლინიანობა საპაიო ანაბარების შეტანის მხრით, მუშკოოპის წევრთა ნაკლები თვითმოქმედება, დიდი სავაჭრო საორგანიზაციო ხარჯები, მაღალი დანართი ხარჯები, და საკუთარი საბრუნავი კაპიტალის სიმცირე. ჩვენ უნდა ვეცადოთ ეს ნაკლულოვანებანი გამოვასწოროთ. კოოპერატივებში გაერთიანებულ კავშირის წევრთა რიცხვი 75 პროც. მაინც უნდა ავიყვანოთ, ეხლა კი იგი მხოლოდ 54 პროცენტს აღწევს.

გარდა ამისა უნდა ვეცადოთ, რომ საპაიო გადასახადი გავადიდოთ 7 მანეთამდე, ეს ამოცანა ჩვენ კოოპერაციის წინაშე წამოყენებულია, როგორც დღის გადაუდებელი ამოცანა. ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე საკითხი კოოპერაციის გაერთიანებულ ცენტრის შექმნის შესახებ თბილისში. ამჟამად, მუშკოოპის გვერდით, არის ისეთი კოოპერატივები, როგორც მაგ. სამხედრო კოოპერატივი, ფოსტა-ტელეგრაფის კოოპერატივი, რომელთა ცალკე არსებობა მიზანშეუწონელია, აქ, რასაკვირველია შეიძლება წამოყენებულ იქნეს ზოგიერთი მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ეს არ არის დროული, რომ ამას არ მოითხოვს საჭიროება და სხვა. მაგრამ ჩვენ ვსთვლით, რომ ამას მოითხოვს კოოპერაციის გაჯანსაღების ინტერესები, რადგან სრულიადაც არ არის საჭირო, რომ მუშკოოპის გვერდით არსებობდეს ეს მთელი რიგი ორგანიზაციებისა და ამრიგათ იხარჯებოდეს ზედმეტი საშუალებანი.

აი რატომ არის ამჟამად წამოყენებული ეს საკითხი, და მე მგონია, რომ პარტიული ორგანიზაციები ახლო მომავალში სერიოზულად მოჰკიდებენ ამ საკითხს ხელს და, უნდა ვიფიქროთ, რომ დიდ წინააღმდეგობას ამაში არავინ გაგვიწევს.

პროფკავშირები

ეხლა გადავალ საკითხებზე ჩვენი პროფკავშირების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ. ამ კონფერენციაზედ ჩვენ მოვისმენთ ამხ. ურულაშვილის მოხსენებას და ამიტომ მე ამ საკითხზე დიდ ხანს არ შევჩერდები, არამედ შევეხები ჩვენი პროფკავშირების მუშაობის ზოგიერთ მთავარ საკითხებს. პირველ ყოვლისა, თუ ავიღებთ პროფკავშირების ზრდას საქართველოში, ჩვენ დავინახავთ შემდეგ სურათს: 1924 წლის 1 ოქტომბრისათვის პროფკავშირებში იყო სულ 111.000 წევრი, 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის—129.000, 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის—157.000 წევრზე მეტი. მაშასადამე, 1924 წელთან შედარებით პროფკავშირთა წევრების რიცხვი 1926 წელს გაიზარდა 41, პროცენტით, ხოლო 1925 წელთან შედარებით 22 პროცენტით. პროფკავშირთა წევრების რიცხვის ზრდა განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიდის სასოფლო - სამეურნეო მუშების ხაზით, შემდეგ მიდიან სამრეწველო დარგის მუშები, შემდეგ საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეები, ხოლო შემდეგ ფოსტა-ტელეგრაფის და ტრანსპორტის მოსამსახურენი. პროფკავშირების ზრდა თბილისში შემდეგი ციფრებით გამოიხატება: 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის თბილისის პროფკავშირებში ირიცხებოდა 62.570 წევრი, ხოლო ეხლა — 71.500—ე. ი. 1925 წელთან შედარებით წევრთა რიცხვი გაიზარდა 14,8 პროცენტით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისში ჩვენ ჩავატარეთ ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომთა გადარჩევის ორი კამპანია და 2-ივე ხელ-ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების კამპანია. ეს კამპანიები მეტად ცოცხლად ჩატარდა გარდა 1926 წლის მაისის კამპანიისა, როცა ადგილი ჰქონდა ერთგვარ უკმაყოფილებას პროდუქტების გაძვირებისა და საერთოდ ცხოვრების გაძვირებასთან დაკავშირებით.

მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ განმარტებითი მუშაობის საშუალებით მოგვეხდინა ამ მდგომარეობის ლიკვიდაცია და ხელ-ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების კამპანია ჩაგვეტარებინა ნორმალური წესით.

1925-26 წ. პროფაქტივი შესდგებოდა 5.600 კაცისაგან, ეხლა კი—7.590 კაცისაგან, ე ი. აქტივის წევრთა რიცხვი გაიზარდა 32 პროცენტით.

უკეთეს რა ჯამს ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების გადარჩევას, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მუშაობაში მიღწევებთან ერთად არის შემდეგი უმთავრესი ნაკლულოვანებანი: ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომთა მუშაობაში ყველა წევრების საკმაო კოლექტიურ მონაწილეობის უქონლობა; ფრაქციების არასაკმაო მუშაობა ფაბრიკა-ქარხნების ცალკე ადგილკომებში; კულტკომისიების მუშაობის სისუსტე, განსაკუთრებით საკლუბო მუშაობის დარგში, რომელიც ძლიერ მოიკოჭლებს, და საწარმოო თათბირთა მუშაობის სისუსტე.

საწარმოო თათბირები

ამ უკანასკნელთა შესახებ მე უნდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა. საჭიროა აღინიშნოს, რომ თუმცა ჩვენ გვაქვს ამ საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობის ერთგვარი გამოცოცხლება და მუშების მონაწილეობა ამ საქმეში აღწევს 15 პროცენტამდე, მაგრამ ეს თათბირები მაინც ვერ ტარდება როგორც საჭიროა, მათ მუშაობას ემჩნევა მოდუნება. ეს აიხსნება მით, რომ [illegible] გამოაქვთ რა კონკრეტული საერთო გადაწყვეტილებები და ხშირად სამეურნეო დარგის მუშაკნი ვერ უდგებიან სწორად საწარმოო თათბირებს და არ აქცევენ საკმაო ყურადღებას იმ საქმიან წინადადებებს, რომლებიც აქ თათბირებზე შემოაქვთ მუშებს. არასაკმაოდ ტარდება ამ თათბირების დადგენილებანი და ამიტომ მათდამი ინტერესი სუსტდება. ამჟამად, როცა ჩვენ ვსწყვეტთ სოციალისტური აღმშენებლობის საკითხებს და უშუალოდ მჭიდროთ შევუდექით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხებს, საწარმოო თათბირებში ფართო მასების მონაწილეობის გარეშე, ჩვენ მნიშვნელოვან შედეგებს ვერ მივაღწევთ. აი რატომ არის საჭირო, რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ მუშების წინადადებებს საწარმოო თათბირებზე. ყველა სამეურნეო და პროფკავშირთა მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ საჭიროა უფრო ენერგიული მუშაობა, რათა პარტიის ხელმძღვანელობით მათ გამოაცოცხლონ ეს საწარმოო თათბირები, ვინაიდან აშკარათ უნდა ითქვას, რომ ამჟამად ამ დარგში ბევრი არ არის გაკეთებული, თუმცა პროფკავშირებში არიან ჩვენი კარგი მუშაკები, მაგრამ მათ ხშირად ემჩნევათ ბიუროკრატიული გადახრა, რაც, თავის თავად ცხადია, პროფკავშირთა ორგანიზაციას არ შეეფერება. თუ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ვაწარმოებთ ბრძოლას, ეს ბიუროკრატიზმი პირველ რიგში უნდა აღმოიფხვრას მუშათა ორგანიზაციებში, მასიურ ორგანიზაციებში (ხმა ადგილიდან: სწორია), რომლებიც დაკავშირებული არიან მუშათა ფართე მასებთან.

ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ საჭიროა სასტიკი ბრძოლა ფორმალურ ბიუროკრატიულ მიდგომასთან, რომელსაც ადგილი აქვს ზოგჯერ პროფკავშირების მხრივ. არ კმარა დეკორატიული განცხადებები იმის შესახებ, რომ მასიური მუშაობა ჩვენ კარგად გვაქვს დაყენებული, რომ რამდენჯერ შესდგა სხდომა, რამდენჯერ იქნა გამოტანილი დადგენილება, ეს დადგენილებები გადაეცა ამა და ამ ინსტანციას, — ეს ეხლა არ არის საკმარისი. მუშისათვის, რომელიც კულტურული, სამეურნეო და პოლიტიკური მხრით გაიზარდა, საჭიროა ცოცხალი მიდგომა ამ საკითხებისადმი. აი ამიტომ მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას ამ საკითხებზე და ვფიქრობ, რომ მომხსენებელი პროფკავშირებიდან უმთავრესად ამ საკითხებზე უნდა შეჩერდეს.

მუშების ხელფასი

ეხლა, ამხანაგებო, შევეხოთ მუშების სამუშაო ხელფასს. ქალ. თბილისის სამრეწველო დაწესებულებებში საშუალო სამუშაო ხელფასი ჩერვონეცის მანეთებში შემდეგში გამოიხატება: 1925 წ. ოქტომბერში — 60 მან. 25 კაპ., 1926 წ. ოქტომბერში — 65 მან. 56 კაპ.. ამ რიგად, ნომინალური სამუშაო ხელფასი გაიზარდა 8,8 %-ით, ხოლო რეალური სამუშაო ხელფასის ზრდა ამ ხნის განმავლობაში უდრის მხოლოდ 3,5 პროცენტს. ეს ბუნებრივიც არის—რეალური სამუშაო ხელფასი ჩამორჩება ნომინალურს, რამდენადაც ადგილი აქვს ცხოვრების ერთგვარ გაძვირებას.

პირველი ადგილი სამუშაო ხელფასის მხრივ ტრამვაის ელექტროსადგურს უჭირავს. სამუშაო ხელფასი თბილისის ელექტროსადგურში უდრის 111 მ. 35 კაპიკს, შემდეგ მიდის: სპილენძის ქარხანა (104 მ. 46 კაპ.), ტრამვაის სახელოსნოები — (103 მ. 94 კაპ.) და სარკინიგზო სახელოსნოები (90 მან.),

წარმოებათა მეტნაწილში წლის ბოლოს სამუშაო ხელფასი მომატებას იძლევა. ზოგიერთ წარმოებაში სამუშაო ხელფასი ამჟამად ომის წინანდელ რაოდენობას აღემატება, მაგალითად, ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში, სადაც სამუშაო ხელფასი 57 პროცენტით აღემატება ომის წინად არსებულ ნორმას. საერთოდ კი მთავარ წარმოებებში სამუშაო ხელფასი ამჟამად ომის წინანდელ დონეს უახლოვდება.

კულტმუშაობა

კულტურულ მუშაობაში ჩვენ გვაქვს შემდეგი ციფრები: 1 სექტემბრისათვის კლუბების წევრთა რიცხვი გაიზარდა 17.000-დე — გადიდება უდრის 91 %-ს. კლუბის მუშაობაში ჩაბმულ მუშაკთა რიცხვი შეადგენს პროფკავშირთა წევრების საერთო რაოდენობის 24,5 პროცენტს. მაგრამ ეს გადიდება არ არის საკმაო; საჭიროა ყურადღება მიექცეს თვით კულტურულ - საგანმანათლებლო და საკლუბო მუშაობის დაყენებას.

დაზღვევა

ეხლა, ამხანაგებო, შევეხოთ დაზღვევის საქმეს. ამ საკითხს ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. 1925 წელს დაზღვეულთა რიცხვი 39,700 კაცს უდრიდა, ხოლო 1926 წლის ბოლოს —45,227 კაცს—მომატება უდრის 15 პროცენტს. პენსიონერთა რაოდენობაც გაიზარდა. დამზღვევ სალაროს ფინანსიური მდგომარეობა ასეთია: 1925—26 წელს დამზღვევ სალაროს ხარჯები დაახლოვებით 4 მილიონ მანეთს უდრიდა, საშუალოდ თვიურულ დაზღვეულზე მოდიოდა 91 მ. 91 კაპიკი. წლის ხარჯები უდრის 4,2 მილ. მანეთს, ანუ თვიურულ დაზღვეულზე მოდის 98 მ. 71 კაპ. საერთოდ გასავალი აღემატებოდა შემოსავალს 2 პროცენტით, რაც დაფარულ იქნა შარშანდელ სამეურნეო წლის ანარიცხებიდან.

დასვენება

რაც შეეხება კურორტებზე და დასასვენებელ სახლებზე გაგზავნას, ეს დარგი ჩვენში კარგად არის დაყენებული. ჩვენში კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში გაგზავნილ მუშა - მოსამსახურეების რიცხვი უდრის 2.054 კაცს. მაგრამ მე რამოდენიმედ ეჭვი შემდის ამ ციფრში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პროფკავშირებმა კურსი უნდა აიღონ იმაზე, რომ მუშები მეტ პროცენტს წარმოადგენდენ, რომ ნათლი - მამობის შემწეობით კურორტებზე არ იგზავნებოდენ სხვა ელემენტები, ეს კი ხშირად ხდება. კურორტებზე ჩვენ გვსმენია მუშების ლაპარაკი: „რატომღაც კურორტებზე ცოტა არიან მუშები". ხოლო როცა სტატისტიკას ავიღებთ, იქ ნათქვამია, რომ 75 პროცენტს მუშები შეადგენენ. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ეს მართლაც ასე იყოს.

უმუშევრობა

უმუშევრობა თბილისში მართლაც ხანგრძლივ ხასიათს იღებს, რამდენადაც ადგილი აქვს მოსახლეობის სიჭარბის დასამუშავებელ მიწებთან შედარებით გლეხების ხარჯზე, რომელნიც ქალაქში ჩამოდიან. მეორე მხრით, თბილისი—ეს არის საქართველოს და ამიერ - კავკასიის ცენტრი—აქ თავს იყრიან დიდძალი უმუშევრები. და მიუხედავათ იმისა, რომ ამჟამად ადგილი აქვს მრეწველობის და მასში მომუშავე მუშების რაოდენობის ზრდას, მაინც საგრძნობია უმუშევართა რიცხვის მომატება. აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თბილისის უმუშევართა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კადრი შესდგება არაკვალიფიციური მუშა - ხელისაგან: 1925—26 წელს 100 უმუშევარზე მოდიოდა კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური მუშა ხელი 39 პროცენტის რაოდენობით, არაკვალიფიციური კი — 61 პროცენტის რაოდენობის. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ უმუშევრობას თბილისში არ აქვს სამრეწველო ხასიათი.

აქტივობა

უკანასკნელი საკითხი, რომელზედაც მინდოდა შეჩერება პროფკავშირთა მუშაობის შესახებ ლაპარაკის დროს, ეს არის პროფკავშირთა წევრების აქტივობა, რომელიც მათ გამოიჩინეს ინგლისელ მემაღაროეთათვის დახმარების აღმოჩენის კამპანიის დროს. თქვენ იცით, რომ ჩვენმა პროფკავშირებმა ფართოდ განავითარეს ეს კამპანია. თბილისში შეგროვილ იქნა 100.000 მანეთამდე. თქვენ გახსოვთ, რომ 1923 წ. ასეთივე კამპანია იყო გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და მაშინ შეგროვილ იქნა 60.000 მან. დახმარების ეს ზრდა გვიჩვენებს იმას, რომ გაიზარდა მუშათა კლასის აქტივობა, რომელიც საჭირო მომენტში მზად არის დაეხმაროს თავის კლასიურ ძმებს და იჩენს თავის პროლეტარულ სოლიდარობას მათ მიმართ.

საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვენ გვეწვია უცხოეთის მუშათა რამოდენიმე დელეგაცია. 1926 წელში ასეთი დელეგაციების რიცხვი უდრის შვიდს: ბელგიის, გერმანიის ქალთა დელეგაცია, ავსტრიის, გერმანიის თავისუფალ მოაზროვნეთა დელეგაცია, ამერიკელ სტუდენტთა დელეგაცია, ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა და საფრანგეთის ტრანსპორტზე მომუშავეთა დელეგაცია. აი, ის 7 დელეგაცია, რომელნიც საანგარიშო წლის განმავლობაში ეწვიენ ჩვენს ქვეყანას და კარგი შთაბეჭდილებანი გამოიტანეს, თუ ვიმსჯელებთ იმ მოწოდებათა მიხედვით, რომელნიც დასტოვეს აქ და იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც ჩვენ ვიცით უცხოეთის პრესიდან.

აი, ყოველივე ის, რაც მინდოდა მეთქვა ჩვენი პროფკავშირების მუშაობაზე.

თბილისის საბჭოს მუშაობა

კომუნალური მეურნეობა

გადავდივარ ეხლა ჩვენ საბჭოთა მუშაობაზე, უმთავრესად თბილისის საბჭოს მუშაობაზე. დავიწყებ კომუნალური მეურნეობის საკითხებიდან, იმ მიღწევებიდან, რომელიც გვაქვს კომუნალური მეურნეობის დარგში, ვინაიდან აქ ყველაზე უფრო ცხადია ჩვენი მუშაობის ზრდა ქალაქში. ავიღოთ ცალკე დარგები. უპირველეს ყოვლისა ტრამვაი. ტრამვაის 1925—26 წელში ქონდა 3.128.000 მან. შემოსავალი. ამ თანხიდან წლის წმინდა მოგება უდრიდა 871.000 მან. უკანასკნელ ხანებში ტრამვაიმ შეიძინა 74 ახალი [illegible], რომელიც მალე იქნება ჩამოტანილი ქალაქში და გამოსცვლის ლიანდაგი. ამაზე დაახლოვებით დაიხარჯა 2 მილ. მან., რომლიდანაც 871.000 მან. შეადგენს წმინდა მოგებას, დანარჩენი კი კრედიტების წესით არის მიღებული. ჩვენ აღვადგინეთ ტრამვაი. და ეხლა იგი გაცილებით უკეთ მუშაობს, ვიდრე ძველ დროში.

წყალსადენმა განვლილ საბიუჯეტო წელში მოგვცა 326.000 მან. მოგება; ამასთან ამ მოგების ერთი ნაწილი, ერთის მხრივ მიდის თვით წყალსადენის ელექტროფიკაციაზე, რასაც საჭიროება მოითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ წყალსადენის ასაგებად ახალი წყაროების გამოძებნაზე—გამოკვლევაზე ნატახტარისა და ბულაჩაურის რაიონებში. ჩვენ გვესაჭიროება რიგიანი წყალსადენი, რომ მოსახლეობას მივაწოდოთ სუფთა, კარგი წყალი და საკმაო რაოდენობით. ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით იმ წყალსადენით, რომელიც გვაქვს. აი რატომ აღძრა ეს საკითხი თბილისის აღმასკომმა და რატომ დაიწყო სათანადო გამოკვლევების წარმოება; ჩვენც პირველ რიგში ხელი უნდა მოვკიდოთ ახალი წყალსადენის აგების საკითხს.

აბანოები იძლევიან 165.000 მან. მოგებას, სასაკლაოები 50.000 მან. სხვა წარმოებებთან ერთად; ხოლო თუ ცალ-ცალკე ავიღებთ, ისინი ერთგვარ დეფიციტსაც კი იძლევიან. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ დაუკლეთ საქონლის დაკვლის ტარიფს, რადგან ამას მოითხოვდა ხორცზე ფასების დაკლების აუცილებელი საჭიროება 1926 წ. მაისში (ეს დაკლებული ტარიფი დღესაც ძალაშია).

რაც შეეხება ჩვენს სამრეწველო წარმოებებს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, იმიტომ, რომ სულ მცირე ხანია, რაც შევქმენით ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება, რომელიც გადაეცით აგურხანები, სტამბები, ლუდის სახდელი ქარხანა და თბილისის ელექტრო - მექანიკური ქარხანა („თემქა"). აი ყველაფერი ის, რაც გვაქვს ადგილობრივი მრეწველობის დარგში. ჯერ - ჯერობით ზედმეტია ლაპარაკი რაიმე მიღწევებზე ამ დარგში, ვინაიდან ეს სულ ახალი საქმეა.

ჩვენ კურსი უნდა ავიღოთ იმაზე, რომ განვავითაროთ ეს მრეწველობა და მან ერთგვარი შემოსავალიც კი მისცეს თბილისის საბჭოს.

ბიუჯეტი

თბილისის საბჭოს ბიუჯეტი, რომელიც თბილისის ცხოვრების სარკეს წარმოადგენს, ციფრობრივათ შემდეგ სურათს იძლევა: 1925—26 წ. ჩვენი ბიუჯეტი უდრიდა 12.855.000 მან. (კომუნალური მეურნეობის ჩაუთვლელად; ხოლო კომუნალური მეურნეობით — დაახლოვებით 26 მილ. მან.); 1926—27 წ. ჩვენი ბიუჯეტი უდრის 17 მილ. მან. (კომუნალურ მეურნეობიანად —31 მილ. მან. მეტი), ამასთან გვაქვს მნიშვნელოვანი დეფიციტი — 5 მილიონ მანეთზე მეტი. ეს დეფიციტი იმით აიხსნება, რომ, ჯერ ერთი, უნდა დავასრულოთ ზაჰესი და, მეორე, საკმაოდ მოზრდილი თანხა (2,5 მილ. მან. მეტი) გამოვიყენოთ ახალ საბინაო მშენებლობაზე. რასაკვირველია, ჩვენ ეს თანხა სრულიად არ მოგვცია, ჩვენ ნაკლები მივიღეთ.

ზაჰესი

რაც შეეხება ზაჰესს, რომელიც ჩვენ ცალკე გვაქვს გამოყოფილი, შეიძლება ითქვას, რომ მას ჩქარა დავასრულებთ. მაგალითად, 1922 წელში ჩვენ გამოვიტანეთ დადგენილება მისი აშენების დაწყების შესახებ, ხოლო რეგულიარულ მუშაობას 1923 წელში შევუდექით და დღეს წარმატებითაც დავასრულეთ.

ამნაირად, ჩვენ თითქმის 4 წლიწადში მოვუნდით ზაჰესის აშენებას. მე ვფიქრობ,—რომ ამ საქმის დაწყება ყოველგვარი ყურადღების ღირსია. თავის სიდიდით ზაჰესს, ვოლხოვის ჰიდროელსადგურის შემდეგ, მეორე ადგილი უჭირავს მთელს საბჭოთა კავშირში. 4 წელიწადში, დაუღალავი მუშაობით, ბოლომდე მივიყვანეთ პროლეტარიატის ინიციატივით დაწყებული საქმე, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთნი გვიმტკიცებდნენ შეფერხების არსებობას. შეფერხება დაიბადა იმ მიზეზით, რომ რიგზე არ იყო საბეტონო დუღაბი, რამაც დაგვიანა სადგურის ამუშავება. ხოლო ამ უკანასკნელმა თავის მხრივ გამოიწვია მითქმა - მოთქმა, რომ ზაჰესში რაღაცა ცუდათ არის საქმე, ტურბინები არ ამუშავდებაო.

ამხანაგებო, მიუხედავათ ყოველგვარი მითქმა მოთქმისა, ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ცდის დროს ამუშავდა ორი ტურბინა — ერთი გერმანული და ერთიც ჩვენი, საბჭოთა, — და ორივემ დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო. თებერვალში თბილისი მიიღებს სინათლეს. ამნაირად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენ ახალ საბჭოთა რეჟიმს დაუმორჩილეთ უძველესი და ჭაღარა მტკვარი. თუ წინედ ლერმონტოვი უმღერდა იმ ადგილს, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს, დღეს თბილისის ძლევამოსილ მუშებს, ზაჰესის აშენებელთ შეუძლიათ ამ ადგილს უმღერონ განთავისუფლებული შრომის ახალი ჰიმნი. აი, ჩვენი მიღწევები. თბილისის საბჭოს უდიდეს მიღწევას, რა თქმა უნდა, ზაჰესის აშენება წარმოადგენს.

საბინაო მშენებლობა

გადავდივარ ჩვენი საბინაო მშენებლობის საკითხზე, რადგან ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ კონფერენციისათვის, ამიტომ ნებას მივცემ ჩემ თავს ცოტა დაწვრილებით შევჩერდე ამ საკითხზე. თბილისში ბინების მწვავე კრიზისია. დღეს ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ მოსახლეობის 46 პროც. სულზე 13 კვადრ. არშინზე ნაკლები უჭირავს (ნორმით კი ეკუთვნის 16 კვადრ. არშინი), სახელდობრ: 10 პროცენ. უჭირავს 11,5 კვადრ. არშ. სულზე, 30 პროც.-ს — 8 კვ. არშ. და 6 პროც-ს — 8,5 კვ. არშ. უკანასკნელი ციფრი პირდაპირ კატასტროფიულია. საცხოვრებელი მოედნის დეფიციტი, თუ ნორმად 16 კვ. არშ. ჩავთვლით, გამოიხატება 821.000 კვ. არშ., რაც მთელი არსებული საცხოვრებელი მოედნის ერთ მეხუთედს შეადგენს.

საბინაო კრიზისის აღმოსაფხვრელად, ჩვენ გვესაჭიროება ერთი მეხუთედი იმის, რაც გვაქვს დღეს. ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელება მეტად ძნელია ჩვენი ხელმოკლეობის პირობებში. ბრძოლა საბინაო კრიზისთან ორი მიმართულებით სწარმოებდა: ჯერ ერთი — არსებული საცხოვრებელი მოედნის შენარჩუნება და, მეორე, ახალი საბინაო ფონდის შექმნა.

არსებული საცხოვრებელი მოედნის შესანარჩუნებლად ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეწესებინა ისეთი ტარიფი, რომელიც უზრუნველჰყოფდა საბინაო მოედნის დაცვას ნგრევისაგან.

აი რატომ იქნა მიღებული რეზოლიუცია ჯერ კიდევ ცეკას ივლისის პლენუმზე საბინაო მშენებლობის დარგში ისეთი ახალი ტარიფის გამომუშავების შესახებ, რომელიც დაიცავდა არსებულ საბინაო ფონდს განადგურებისაგან. თბილისის საბჭომ რამოდენიმედ გაადიდა საბინაო ტარიფი იმ მიზნით, რომ დაეცვა საბინაო სივრცე შემდგომი რღვევისაგან. თუ ავიღებთ ციფრებს, რომელიც დახარჯულია სახლების შეკეთებაზე, და გადავხედავთ მას, რაც საბინაო მშენებლობის დარგში გაკეთებულა, მივიღებთ შემდეგ მდგომარეობას: თბილისის აღმასკომს, საბინაო ამხანაგობებს, კერძო სახლის პატრონებს და სამეურნეო ორგანოებს სამი წ. განმავლობაში სახლების შეკეთებაზე დაუხარჯავთ 3.400.000 მანეთი.

რაც შეეხება ახალი საბინაო სახლების მშენებლობას, ჩვენ გვაქვს შემდეგი ციფრები: აღმასკომს, კოოპერაციას, სამრეწველო ორგანოებს და კერძო მშენებლებს ამ საქმეზე დაუხარჯავთ დაახლოვებით 2.000.000 მანეთი. ამ ციფრში შედის ის თანხაც, რომელიც დაიხარჯა მუშათა სახლის ასაგებად ლენინის რაიონში. ამჟამად აღმასკომი აშენებს ტრამვაის მუშებისათვის დიდ სახლს, რომელიც შესდგება 10 კორპუსისა და 400 ოთახისაგან. აქედან 6 კორპუსი 206 ოთახით უნდა დამთავრდეს მაისისათვის.

კოოპერაცია აშენებს 72 ბინიან 23 სახლს, რომელზედაც დახარჯულია 212.000 მან.

მიმდინარე წელს დეკრეტის ძალით საბინაო მშენებლობისათვის გადადებულია 400.000 მან., ხოლო სესხის სახით მიღებული იქნება 1.000.000 მან. (ჩვენ ვარაუდობდით 2 მილიონ-ნახევარის მიღებას). დარაბის საიჯარო ქირის და [illegible] საბინაო გადასახადის ანარიცხი იძლევა 500.000 მანეთს. მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის სამეურნეო ორგანოების მიერ გაღებული ათ-პროცენტიანი ანარიცხი მოგვცემს კიდევ 205.000 მან. ასე, რომ საერთო ჯამი მიაღწევს 2.105.000 მან.

აი, ამხანაგებო, რა გვაქვს განზრახული გავაკეთოთ 1926—27 წლის განმავლობაში.

რასაკვირველია, ეს თანხა არ არის საკმაო და ჩვენ უნდა გავიყვანოთ ის, რომ ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ მუშებისათვის ბინების აგების საქმეში, ვიდრე დღემდე ღებულობდენ.



ამხ. მ. კახიანი

განათლების საქმე

გადავდივარ განათლების განყოფილების მუშაობაზე. 1925—26 წელს თბილისსა და მის მაზრაში სახალხო განათლებისათვის გადადებული იყო 3.000.000 მანეთი. გარდა ამისა, სწავლის ფულისაგან შემოვიდა დაახლოვებით 100.000 მან.

არ მოვიყვან ციფრებს იმის შესახებ, თუ რამდენი სასწავლებელი გვაქვს ეხლა და რამდენი იყო წინად: ყველასათვის ცნობილია, რომ მენშევიკების პერიოდს ჩვენ დიდათ გავუსწარით. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს ჩვენ გვყავს 17.283 მოწაფე და 600 მასწავლებელი.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე წელში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენს სკოლებში მასწავლებლებს შორის არის 100-მდე კომუნისტი და კომკავშირელი, რაც წინედ არ იყო. ეს დიდი მიღწევაა.

როცა ვეხებით სახალხო განათლების საქმეს, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან მომენტს—ჩვენ არ გვყავს საკმაოდ მომზადებული, ნამდვილი საბჭოთა პედაგოგების კადრი. ეს ერთი მხრით, მეორეს მხრით სასკოლო საბჭოები არ მუშაობენ ისე, რომ ნამდვილი საბჭოთა განწყობილება შექმნან მოსწავლეთა შორის, რომ ბავშვები კომუნისტურად აღზარდონ. ხანდახან მოსწავლეთა შორის ადგილი აქვს არა საღ სულისკვეთებას. ასეთი მოვლენის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი პედაგოგიურ შემადგენლობას ჯერ კიდევ ხელი არ აუღია ძველ იდეურ ავლა-დიდებაზე, საკმაოდ არ აღზრდილა ახალ ნიადაგზე და დროის შეუფერებელ იდეებს უნერგავენ ბავშვებს.

ამას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე დღემდე ექცეოდა, კერძოდ თბილისში, სადაც ჩვენ სახალხო განათლების დარგში მაინც გვყავს კომუნისტური და კომკავშირელთა ძალების საკმაო რაოდენობა, ამ საკითხისათვის უნდა გამოვყოთ მეტი ძალები და დრო, ვიდრე ეს იყო დღემდე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აღზრდა მართლაც კომუნისტური იყოს.

ერთი მტკივნეული საკითხთაგანი, რომელიც რადიკალურად უნდა გადაწყდეს ამ წელში, არის რუსული ენის სწავლების საკითხი ჩვენს სკოლებში. ამ მხრივ მდგომარეობა მართლაც ვერაა კარგი. ჩვენ ამაში შეგვიძლია დავრწმუნდეთ, თუ წავიკითხავთ შრომის სკოლების კურს დამთავრებულ მოსწავლეთა სამუშაოებს. აღმოჩნდა, რომ მათ სრულიად არ იციან რუსული მართლწერა. აი, აქ მე მაქვს ეს სამუშაოები, რომელიც განათლების განყოფილებამ წარმოადგინა. მე რომ ეს სამუშაოები წავიკითხოთ, იუმორისტულ განყოფილებას მივიღებთ. მე მათ არ წავიკითხავთ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა რუსული ენა არ იციან. ეს აიხსნება იმით, რომ მასწავლებელთა შემადგენლობა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. რომ ეს სწორედ ასეა, ამას გვიჩვენებენ ის ამონაწერები, რომელიც მაქვს იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობიან ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლების ამოცანას ზოგიერთი მასწავლებელთა წრეები, ჩვენი მასწავლებლები და პროფესორებიც კი. ჟურნალ „ჩვენ მეცნიერება,,-ში 1924 წელში დაბეჭდილიყო ვიღაც წიფურიას წერილი. ეს კაცი შეუდგა იმის ანალიზს, თუ როგორ ეკიდებიან ჩვენი მოსწავლენი სხვადასხვა საგნებს, რომელი საგნები უყვართ მათ და რომელი არა. იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საგნები, რომელნიც მოსწავლეებს უყვართ, ეს არის ქართული ენა, ისტორია და ლიტერატურა. საგნების მეორე ჯგუფი, რომელიც მათ არ უყვართ, არის რუსული ენა, მათემატიკა და სხ. დამახასიათებელია თუ რით ასაბუთებს ამას თავის წერილში იგი, რომელსაც დიდი მეცნიერის პრეტენზია აქვს.

მათემატიკა მოწაფეებს, თურმე, არ უყვართ იმიტომ, რომ ის ძნელად შესათვისებელი საგანია. მას განსაკუთრებით ძნელად ითვისებენ ქალები. ეს ერთი მოტივია. სრულიად სხვა მოტივი არსებობს რუსული ენის მიმართ. აქ ის ამბობს—და ეს უნდა აღინიშნოს ხაზგასმით—რომ რუსული ენისადმი გულგრილობის, თითქმის სიძულვილის, მთავარი მოტივი არის მოწაფეთა პატრიოტიზმი.

აი, რასა სწერს ეს წიფურია. და მას მხარს უჭერს ერთი პროფესორი, პროფესორი უზნაძე, რომელიც, მგონი, აქამდის მუშაობს ჩვენს სამოსწავლო დაწესებულებებში, იმ დაწესებულებებში, რომელთაც უნდა აღზარდონ ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი მომავალი თაობა. პროფესორი უზნაძე უკეთებს რა ანალიზს ამა თუ იმ საგნისადმი სიყვარულის და სიძულვილის ზემოდაღნიშნულ მოტივებს, მიდის იმ დასკვნამდე, რომ: „ქართული თავისი ქართულობით არის ძვირფასი და ძვირფასია ამით არა ყველასთვის, არამედ მხოლოდ ქართველთათვის". მოწაფეებში იღვიძებს ეროვნული თვითშეგნება და, პროფესორის აზრით „ცხადია, ქართულის არჩევის მოტივი ამ შემთხვევაში ბავშვის გარკვეულ პატრიოტულ განწყობილებაში უნდა ვეძიოთ".

ბუნებრივია, რომ ასეთ შეხედულებების შედეგათ რუსული ენის სწავლება ვერ სწარმოებს, ისე, როგორც საჭიროა. რუსული ენის შეთვისების ობიექტიურ სიძნელეთა გარდა, იმ დროს, როცა ტარდება ნაციონალიზაცია,—ხოლო ჩვენ ყოველ ღონისძიებებით უნდა გავატაროთ და გავატარებთ კიდეც ნაციონალიზაციას, —ამ ობიექტიურ სიძნელეების გარდა, არის სიძნელე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ რუსული ენის სწავლება სწარმოებს ასეთი ხალხის ხელმძღვანელობით. იბადება კითხვა, რა შედეგები შეგვიძლია მივიღოთ ჩვენ ისეთ აღმზრდელებისგან, რომელთა მოწაფეები თავიანთ მისწრაფებების შესახებ სწერენ: „სამხედრო სამსახურში შევალ (ოფიცრობა), მინდა სამშობლო დავიცვა მავნე ელემენტებისაგან". ეს ენა არ არის 1926 წლის ენა. ამ ენით რომ მოწაფეებს ელაპარაკნათ მენშევიკების და სხვა მთავრობების დროს და მავნე ელემენტების სახით ეგულისხმათ სოციალიზმის და კომუნიზმის ელემენტები, ეს სავსებით გასაგები იქნებოდა. ეხლა 1926 წელში კი ეს ყოვლად დაუშვებელია.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენთვის სრულიად მიუღებელნი არიან ისინი, რომელნიც გამოდიან მეცნიერთა როლში და იმავე დროს მხარს უჭერენ ასეთ იდეებს. მე მგონია, რომ ისინი დათვურ სამსახურს უწევენ საბჭოთა სახელმწიფოს, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მათ უდიდესი ზიანი მოაქვთ ჩვენი განათლებისათვის. ასეთ მეცნიერების შესახებ ლენინი თავის დროზე ამბობდა: „საჭირო იქნება ბრძოლა ბატონყმობის ამგვარ თანამედროვე „განათლებულ" წარმომადგენელთა წინააღმდეგ. ალბათ ბევრი მათგანი ღებულობს ჩვენგან სახელმწიფო ფულებს და მუშაობს სახელმწიფო სამსახურში ახალგაზრდობის აღსაზრდელათ, თუმცა ამ მიზნისთვის ისინი იმდენათვე გამოდგებიან, რამდენათაც ნამდვილი გამხრწნელები გამოსადეგი არიან ზედამხედველებათ სასწავლებლებში უმცროსი ჰასაკის მოწაფეებისათვის. მუშათა კლასმა რუსეთში შესძლო ძალაუფლების დაპყრობა, მაგრამ მისი მოხმარა ვერ ისწავლა, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ასეთ მასწავლებლებს და სამეცნიერო საზოგადოებათა წევრებს თავაზიანად მიაბრძანებდა ბურჟუაზიულ „დემოკრატიის" ქვეყნებში. იქ არის ბატონყმობის ამგვარ წარმომადგენელთა ნამდვილი ადგილი". (ლენინის თხზულებათა კრებული მე-20-ე დამატებითი ტომი ნაწილი მე-11-ე. მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ, გვ. 500).

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ, ჩავიგდეთ რა ხელში 6 წლის წინად საქართველოში ძალაუფლება, საუბედუროთ, აქამდის ვერ განვთავისუფლდით ისეთ ხალხისაგან, რომელნიც გონებას უბნელებენ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას. საჭიროა ამ საკითხს სერიოზულად მოვკიდოთ ხელი.

მე არ მინდა იმის თქმა, რომ ჩვენ უნდა შემოვიღოთ რუსული ენის ძალდატანებითი სწავლება. ყოველგვარი ძალდატანება, განსაკუთრებით ისეთ საკითხში, როგორიცაა რუსული ენის სწავლება, მხოლოდ საწინააღმდეგო შედეგებამდის მიგვიყვანდა. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დავადგეთ ძალდატანების გზას, ვინაიდან ეს იქნებოდა ამ ენის იდეის შერყვნა. მაგრამ საბჭოთა წესწყობილების პირობებში, საქართველოს გასაბჭოებიდან 6 წლის შემდეგ, ჩვენ საკითხი უნდა დავსვათ უფრო სხვანაირად, ვინემ ის ისმებოდა აქამდის. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენში არა ძალდატანებით, არამედ ნებაყოფლობით უნდა შეითვისონ ის ძირითადი აზრი, რომ ოქტომბრის რევოლუციის ენის, მსოფლიოში ერთად-ერთ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია საქართველოს მშრომელთა პოლიტიკურ - კულტურული ან ეკონომიური პროგრესი.

რუსული ენის სწავლება უნდა სწარმოებდეს არა როგორც უცხო ენის (აქამდის ის ასეთათ ითვლებოდა სხვა უცხო ენებთან ერთად), არამედ, როგორც ოქტომბრის რევოლუციის ენის. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ქართული ენის მნიშვნელობის გაქარწყლებას. ქართული ენა საქართველოს მთავარ ენათ რჩება. ჩვენ წინანდებურათ ვდგევართ ნაციონალიზაციის, ეროვნული კულტურის განვითარების და განმტკიცების თვალსაზრისზე, რაც ნიშნავს მშრომელთა კულტურის ზრდას მათთვის გასაგებ ენაზე, კულტურის, რომელიც შინაარსით უნდა იქნეს პროლეტარული და ინტერნაციონალური, მაგრამ მისაწვდომი ამა თუ იმ ეროვნების მშრომელთათვის. სწორედ ამგვარად უნდა მივუდგეთ ჩვენ ამ საკითხს.

სახალხო განათლების დარგში მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება კიდევ ერთ საკითხს, რომელიც შეეხება სკოლის გარეშე მყოფ ჯგუფებს. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია სავსებით გაწვდეს სახალხო განათლების მთელ ფრონტს. აშკარაა, რომ კერძო სასწავლებლებს უნდა მოვეპყრათ უდიდესი სიფრთხილით. კერძო სკოლების ძლიერ გამრავლება არ არის დასაშვები, მაგრამ, რასაკვირველია, სრულებით აკრძალვაც შეუძლებელია. მიუხედავათ ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის საშიშროებანი, რომელთაც შეიცავს კერძო პირის დაშვება ჩვენი სასკოლო აღმშენებლობის საქმეში.

უკანასკნელ ხანებში, გამოკვლევის შემდეგ ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ თბილისში არსებობს 82 კერძო ჯგუფი, თვითეულ ჯგუფში სწავლობს 10-20-დე ბავშვი. დღემდე ისინი რეგისტრაციაშიც კი არ იყვნენ გატარებულნი და მხოლოდ ამას წინად აღრიცხა ისინი განათლების სახალხო კომისარიატმა. ამჟამად განზრახულია ზოგიერთ ჯგუფების დახურვა, ხოლო ზოგიერთების დატოვება. მაგრამ თავის თავად სანიმუშოა ეს ფაქტი. როცა ჩვენში, თბილისის კომიტეტში პირველად დადგა საკითხი იმის შესახებ ნება დაერთოს თუ არა ზოგიერთ მასწავლებლებს კერძო სკოლების გახსნა, ჩვენ წინააღმდეგი წავედით იმ მოსაზრებით, რომ ეს მიზანშეწონილი არ არის. დღეს კი ირკვევა, რომ მაინც არსებობენ სკოლის ჰასაკამდე კერძო ჯგუფები. ამას უნდა მიექცეს სახალხო განათლების ყურადღება, რომელმაც სათანადო ზედამხედველობა უნდა დააწესოს ამ ჯგუფებზე. დღემდე რავითარ ზედამხედველობას არ ჰქონდა ადგილი ამ ჯგუფებზე, დღემდე არ ვიცოდით როგორ ასწავლიდენ ბავშვებს და რა ხალხი გამოდიოდა იქიდან. მე არანორმალურად ვსთვლი ასეთ მდგომარეობას.

ჯანმრთელობის საქმე

გადავალ ჩვენი ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობაზე.

უკანასკნელ ხანებში თბილისში გახსნილია რამდენიმე დისპანსერი და ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი. ამ საქმეზე ხელი აქვს მოკიდებული სამკურნალო ქვეგანყოფილებას. თბილისში ჯანმრთელობის განყოფილების უწყებაშია 4 საავადმყოფო და, გარდა ამისა, სააფთიაქო სამმართველო 16 აფთიაქით; მაზრაში—

კონფერენციის დღიური

მეორე დღე

გუშინ დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კახიანის მოხსენება თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ამავე სხდომაზე კონფერენციამ დაადგინა მისალმების დეპეშები გაეგზავნოს მოსკოვის მე-15 საგუბერნიო პარტკონფერენციას.

საღამოს სხდომაზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ქუთაისის ორგანიზაციის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. გვახალია.

ამის შემდეგ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხალუქაძემ.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენება, რის შემდეგაც გაიხსნა კამათი ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო. ჯერ-ჯერობით ჩაწერილია ორმოცდაათამდე ორატორი.

ილაპარაკეს ამხ. ვოიკინმა, კოდაიშმა, შიშინაშვილმა, ჩიჩუამ, ხიჩიანმა, ყიფიანმა და ავეტისოვმა.

ნ საავადმყოფო და მთელი რიგი სამკურნალო პუნქტები. საერთოდ ისინი ინტენსიურად მუშაობენ.

უნდა ვთქვა, რომ მიზანშეუწონლად ვსთვლი თბილისის ტერიტორიაზე, ერთის მხრივ, სააფთიაქო სამმართველოს და, მეორე მხრივ, სანმედვაჭრობის არსებობას, რომლის უწყებაში აფთიაქებიც შედიან. თვითეულ მათგანს რამდენ-რამდენიმე აფთიაქი აქვს. ეს ორი დაწესებულება ერთი მეორის საქმეში ერევა და აქედან სახელმწიფოებრივი თანხების ხარჯვის მეტი არა გამოდის რა. ამიტომ მიზანშეწონილია დღესვე შეუდგეთ ამ ორი, ერთი და იგივე დანიშნულების დაწესებულების გაერთიანების საკითხს.

გარდა ამისა, ჯანმრთელობის დაცვის დარგში მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ არანორმალურ გარემოებაზე. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი არა ქართველი ექიმები, რაღაც შევიწროებულად, რაღაც ნაწყენად გრძნობენ თავს (საბედნიეროდ, ამ მოვლენას არ აქვს მასსიური ხასიათი, მაგრამ ერთეულ მოვლენებსაც საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება). იყო შემთხვევა, როცა ერთ უაღრესად დარბაისელ და მცოდნე ექიმს, რომელიც მრავალ წელს მუშაობდა ერთ საავადმყოფოში, წინადადება მისცეს გადასულიყო მეორე სამუშაოზე, მგონი ასისტენტის თუ რაღაც მის მსგავს თანამდებობაზე.

ამ ექიმმა თავი შეურაცყოფილად და ნაწყენად იგრძნო, რადგან მის მიერ თავის ძველ სამუშაოს დატოვება არ იყო რაიმე საჭიროებით გამოწვეული; საავადმყოფოში მან რამდენიმე წელი იმუშავა და ეხლა კი ის სხვა ადგილზე გადაიყვანეს. საჭირო გახდა პარტიულ ორგანიზაციების და პასუხისმგებელ მუშაკთა ჩარევა იმისთვის, რომ შეეჩერებინათ ეს გადაყვანა და ეს სპეციალისტი დაეტოვებინათ თავის ძველ ადგილზე. ეს მაგალითი მე იმ მდგომარეობის საილუსტრაციოდ მოვიყვანე, რომ ჩვენში არა მარტო სამკურნალო დარგში, არამედ სხვა დარგებშიაც აქვს ადგილი სხვა ეროვნების მუშაკთა ერთგვარ შევიწროებას. მე ვფიქრობ, რომ ამას არ მოითხოვს საჭიროება და ამიტომ, ყოველგვარ პირობის გარეშე, უნდა გამოვასწოროთ ეს დამახინჯებული ხაზი. მაგალითად საქართველოში ჩვენ დღემდე გვაქვს ორი სამკურნალო ორგანიზაცია: ერთი—ექიმთა წმინდა ქართული საზოგადოება, ხოლო მეორე კავკასიის. როგორც ერთი, ისე მეორე საზოგადოება იჩენს ერთგვარ ნაციონალიზმს და დღესდე ვერ მოხერხდა მათი გაერთიანება მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ დიდი ხანია დაევავალეთ კავშირს ამ პარალელიზმის აღმოფხვრა ისე, რომ მედიცინის მუშაკნი სოლიდარულად აწარმოებდნენ მუშაობას. მე ვფიქრობ, რომ როგორც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, ისე, განსაკუთრებით, კავშირი მიიღებენ ზომებს აღნიშნულ დარგში ამ არანორმალური მოვლენის აღმოსაფხვრელად.

ბიუროკრატიზმი

ეხლა გადავალ იმ უარყოფით მხარეებზე, რომლებიც შემჩნეულია ჩვენი აღმასკომების ორგანოებში. შესრულებულია დიდი, კოლოსალური მუშაობა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყოველთვის არის ხოლმე ლაქები, და ამ ლაქების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ის გარემოება, რომ დღეს ერთგვარ ბიუროკრატიზმს აქვს ადგილი ჩვენი აღმასკომების ორგანოებში. როდესაც ჩვენ ამაზე ვლაპარაკობთ, გვიპასუხებენ რომ ყველგან არის ბიუროკრატიზმიო; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა შევსწყვიტოთ ისეთ ორგანოში, როგორიც არის თბილისის საბჭო, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მუშების ჭირვარამთან. მე დიდ დროს არ მოვანდომებ ამის ილიუსტრაციას, მხოლოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: თბილისის საბჭოში არის ასეთი განყოფილება—უქსი ТУН-ი (უძრავ ქონებათა სამმართველო), რომელიც ყველაზე მეტ უკმაყოფილებას იწვევს. აქ ყველაფერი რიგზე როდი არის ქაღალდების გატარებისა და საქმის წარმოების მხრივ. ჩვენ გვიჩვენეს ქაღალდების მოძრაობის დიაგრამა. თურმე, ერთი ვარიანტით, საჭიროა 14 ინსტანცია, მეორეთი—17, ხოლო რეორგანიზაციამდე, რომელიც მოხდა აღმასკომში, ქაღალდი გადიოდა 34 ინსტანციას ვადით 20 დღემდე. რეორგანიზაციის შემდეგ საექსპლოატაციო ქვეგანყოფილება მოითხოვს 17 ინსტანციას. „მადლობა ღმერთს!"—34 ინსტანციიდან 17-ზე ჩამოვედით; ესეც კარგია. ასე რომ ამჟამად ქაღალდი გადის 17 ინსტანციას, საშუალოდ 6-8 დღემდე. ეს ჩემი ცნობა არ არის. ეს არის თბილისის აღმასკომის ოფიციალური ცნობა.

ასეთ მაგალითებს ადგილი არ უნდა ექნეს ისეთ პროლეტარულ ორგანოში, როგორიც არის თბილისის აღმასკომი.

მე მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი მაგალითი, რომელსაც ადგილი აქვს რეორგანიზაციის შემდეგ. თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის 20 დეკემბრის სხდომამ გამოიტანა დადგენილება, რომ საჭიროა კომუტატორების გამოწერა სახალხო განათლების განყოფილებისათვის. ეს 20 დეკემბრის დადგენილება სახალხო განათლების განყოფილებას იმავე შენობაში მისდის 4 იანვარს, ასე, რომ განყოფილებიდან განყოფილებამდე ქაღალდს ორი კვირა აგვიანდება, და ეს ხდება რეორგანიზაციის შემდეგ. ესეც არანორმალური მოვლენაა, რომელიც უნდა აღმოიფხვრას. მე არ მინდა ვსთქვა, რომ ეს ჩვენი თბილისის კომიტეტის ბრალი არ არის. ეს არის ჩვენი საერთო დანაშაული და უბედურება.

მასიური მუშაობა

ეხლა რამდენიმე სიტყვა თბილისის საბჭოს მასიურ მუშაობაზე. როგორი ამოცანები დგანან საბჭოს წინაშე?

ამხანაგებო, თუ ავიღებთ თბილისის საბჭოს პლენუმებს, უნდა ითქვას, რომ თუმცა ისინი იკრიბებოდნენ ნორმალურად თვეში ერთხელ და ამ პლენუმებზე ირჩეოდა საქმიანი საკითხები, მიუხედავად ამისა პლენუმებზე დამსწრეთა რაოდენობა უაღრესად არანორმალური იყო—59 პროცენტი. ეს აიხსნება მით, რომ ერთის მხრივ საკითხი ყოველთვის ვერ იწვევდა ინტერესს მუშებს შორის, მეორე მხრით კი—საკითხების დამუშავება არ ხდებოდა საკმაოდ. თუ უბრალოდ წაკითხულ იქნება რომელიმე ორგანოს ანგარიში, სათანადო სექციის თანამოხსენების გარეშე, რომელსაც შეუძლია პრაქტიკულ წინადადებათა გამოტანა, ეს, რასაკვირველია, ცოცხალ ინტერესს არ იწვევს მუშებში. გარდა ამისა, საბჭოს შემადგენლობაში 25 პროცენტს შეადგენენ მუშაობით დატვირთული ამხანაგები, რომელთაც ირჩევენ, მაგრამ რომლნიც მუშაობის დროს არსად სჩანან. ეს გარემოება შემდეგში უნდა აღმოიფხვრას, ვინაიდან ჩვენ საბჭოებს იმიტომ ვქმნით, რომ მშრომელთა ახალი ფენები ჩავაბათ მუშაობაში, მივანდოთ ამ ფენებს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე, ხოლო მაინც და მაინც აუცილებელი არ არის საბჭოებში ისეთი ხალხის ჩაბმა, რომელნიც უამისოდაც მუშაობენ სხვა სამეურნეო, კოოპერატიულ და პარტორგანიზაციებში, ისე უნდა მოვახერხოთ, რომ მშრომელთა ახალი ფენები დატვირთულ იქნენ მუშაობით, ჩაბმულ იქნენ თბილისის საბჭოს მუშაობაში. აი ამიტომ მომავალ კამპანიის დროს ჩვენ უნდა დავსვათ ეს ამოცანა. უკვე ორი წელია, რაც ჩვენ არ აგვირჩევია თბილისის საბჭო. იმის გამო, რომ ახლო მომავალში შესდგება საბჭოების ყრილობა, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ კამპანია საბჭოთა მუშაობაში მშრომელთა ახალი ფენების ჩასაბმელად. თბილისის საბჭოს ახალი გადარჩევა ჩატარებულ უნდა იქნეს, როგორც სერიოზული პოლიტიკური კამპანია.

საბჭოს სტრუქტურა

თუ ავიღებთ სექციების მუშაობას, უნდა ითქვას, რომ ჩვენი სექციები სავსებით ნორმალურად როდი მუშაობენ, თუმცა ამ უკანასკნელ დროს ადგილი აქვს ერთგვარ გამოცოცხლებას. ჩვენ სექციებს მივანდეთ მთელი რიგი საკითხებისა, როგორც, მაგალითად, ტრამვაის და ბინების ტარიფების შემუშავება, და ეს იმ მიზნით, რომ მათ გამოეჩინათ თავიანთი დამოკიდებულება ამ საქმიან საკითხებისადმი. შევეხოთ, კერძოდ, ტრამვაის ტარიფს. პრეზიდიუმმა დაადგინა ამ ტარიფის დაკლება. სექცია კი, რომელსაც ეს საკითხი გადაეცა დაწვრილებით განსახილველად, ამას არ დაეთანხმა და სთქვა, რომ შეცდომა იქნებოდა ტრამვაის ტარიფის შემცირება, ვინაიდან ეს შეამცირებს შემოსავალს, რომელიც თვითონ ტრამვაისთვის არის აუცილებელი. პრეზიდიუმი იძულებული გახდა გადაესინჯა ეს საკითხი. მაგრამ ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლიათ სექციებს დახმარების გაწევა თბილისის საბჭოს მუშაობისათვის. სექციები ჩვენ უნდა გამოვაცოცხლოთ და ვაქციოთ ისინი თბილისის საბჭოს დამხმარე ორგანოებად.

აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერ იყო სწორი თვით სტრუქტურა თბილისის საბჭოში. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შემოვიღეთ ის სისტემა, რომელიც შემოღებულია მთელ საბჭოთა კავშირში—ვერ გადავიდით მთელი სამუშაო ორგანოს საბჭოს პლენუმების შექმნაზე. თბილისის საბჭოს უნდა ჰქონდეს თავისი სამუშაო აპარატი. აქამდე ასეთი მდგომარეობა იყო: ჩვენ გვქონდა მხოლოდ თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც ირჩევდა თბილისის და მისი მაზრის საბჭოთა ყრილობა. ის ფორმალურად ანგარიშს აბარებდა მხოლოდ საბჭოთა ყრილობას. საქმიანი აპარატი და თბილისის საბჭოს პლენუმი არ ყოფილა. აი ამიტომ ზოგიერთი საკითხები, რომელნიც თბილისის აღმასკომს შეჰქონდა, წინასწარ გადაუწყვეტელად ითვლებოდა იმიტომ, რომ საბჭოს პლენუმს საშუალება არ ჰქონდა გადაესინჯა საკითხები. ეს არანორმალური მდგომარეობა. თბილისის მუშები არ მიიღებენ მონაწილეობას ამ პლენუმზე, თუ მათ არ ეცოდინებათ, რომ მათ უფლება აქვთ ხელახლა გადასინჯონ საკითხები, შეიტანონ თავიანთი შესწორებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, სად არის მუშათა აქტივობა.

აი ამიტომ გადაწყდა შეიქმნას სამუშაო აპარატი, რომელიც ანგარიშს ჩააბარებს თბილისის საბჭოს პლენუმს და მას დაექვემდებარება.

ეს არ გამოიწვევს პარალელიზმს, მაგრამ მუშაობა ამით უკეთესად მოიგებს; უფლებრივი მდგომარეობა იცვლება იმ მხრივ, რომ ეს სამუშაო აპარატი თბილისის საბჭოს პლენუმს დაექვემდებარება.

საბჭოს გამოცდილება

ჩვენ მივუახლოვდით მომენტს, როცა მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას და გადაწყდეს ქალაქის საბჭოების გამოცოცხლების ამოცანა. თუ საქართველოში სოფლებსა და მაზრებში ჩვენ გვაქვს საბჭოების გამოცოცხლება, ჩვენ კიდევ უფრო მეტად უნდა გამოვაცოცხლოთ თბილისის პროლეტარიატის მუშათა ორგანო—თბილისის საბჭო. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ თბილისის საბჭო გამოხატავდეს თბილისის პროლეტარიატის ყველა საჭიროებებს—ყოფა-ცხოვრებას, პოლიტიკურ და სამეურნეო ხასიათის საჭიროებებს.

თბილისის საბჭო არაა ძველი—ხატისოვის საბჭო, როდესაც საბჭოს წევრები იკრიბებოდნენ და იშლებოდნენ ისე, რომ არავითარი წინადადებანი არ შეჰქონდათ. ჩვენ გვაქვს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭო, რომელმაც მშრომელთა ინტერესები და მოთხოვნილებანი უნდა გამოხატოს. აი, რატომ უნდა მიაქციოს თბილისის საბჭოს გადარჩევას სერიოზული ყურადღება მთელმა ჩვენმა ორგანიზაციამ და ამ საქმეში ჩააბან პროფკავშირები.

გადარჩევის დროს ჩვენ შეიძლება შევეჩეხოთ მტრულ ძალებს. ამჟამად ერთგვარი გამოცოცხლება ემჩნევა ინტელიგენციის ჩვენდამი მტრულად განწყობილ ჯგუფებს და ანტისაბჭოთა პარტიებს, განსაკუთრებით, მენშევიკებს, რომელნიც შეეცდებიან რაიმე სახით, კონტრაბანდად გაიყვანონ საბჭოში თავისი კაცები. მე ვფიქრობ, რომ თბილისის პროლეტარიატი მთელი თავისი ძალებით გამოვა ამ არჩევნებში და ყოველი ძალღონით შეეცდება, რომ ჩვენ გვყავდეს ნამდვილი მუშური საბჭო.

მე ვფიქრობ, რომ თუ 1925 წელში შევძლით ამ ამოცანის შესრულება და საბჭოს მაშინ თავის შემადგენლობაში ჰყავდა 59 პროცენტი მუშები, ეხლა, მიმდინარე არჩევნების დროს, უნდა შევეცადოთ, რომ მუშათა ამ პროცენტმა კი არ დაიკლოს, არამედ მოიმატოს, რამდენადაც შესაძლოა.

დაახლოებითი ცნობებით, რომელიც მომცა ამხ. სუხიშვილმა, მიმდინარე არჩევნებში თბილისში მონაწილეობას მიიღებს 150.000 ამომრჩეველი. აი, ეს არის ნამდვილი ცოცხალი დემოკრატია, როდესაც არჩევნებში მონაწილეობას იღებს არა 30—40 ათასი, როგორც ეს იყო ძველ დროში და მენშევიკების ბრწყინვალე დემოკრატიის დროშიაც კი, არამედ 150.000 ამომრჩეველი.

ჩვენ არჩევნების დროს უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს არის ნამდვილი საბჭოთა დემოკრატია, ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ არჩევნებში მაქსიმალური მონაწილეობა მიიღონ მშრომელმა მასებმა და შევქმნათ თბილისის ახალი საბჭო, რომელიც წარმატებით განაგრძობს თბილისის ძველი საბჭოს საქმეს.

(სხდომა წყდება ათი წუთით).

ამხ. კახიანის მოხსენების გაგრძელება ხვალ.

მესამე სხდომა

ქუთაისის ორგანიზაციის მისალმება

11 იანვრის საღამოს სხდომაზე ქუთაისის პარტორგანიზაციის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. გვასალია.

ამხანაგებო! ქუთაისის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციის სახელით,—სთქვა მან,—ვესალმები თბილისის მე-7-ე პარტკონფერენციას.

მე ხაზი უნდა გაუსვა შემდეგს: ჩვენი პარტია ამჟამად დედამიწის მეექვსედ ნაწილში ახორციელებს სოციალისტურ აღმშენებლობას. ჩვენმა პარტიამ კარგად იცის, რომ მომავალში ჩვენ გავაფართოვებთ გამარჯვებული პროლეტარიატის გავლენას და რომ კომპარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატი დაამთავრებს სოციალისტურ რევოლიუციას მთელ მსოფლიოში. ამ პერიოდში ჩვენ გვაქვს ერთგვარი შეფერხება სოციალისტური რევოლიუციის განვითარებაში. მაგრამ ჩვენს რიგებში არიან ისეთი ამხანაგები, რომელნიც მძიმე პირობებშიაც არ ეცემიან სულით, არ ეძლევიან პესიმიზმს და სწამთ სოციალისტური აღმშენებლობის შესაძლებლობა.

მაგრამ ჩვენმა პარტიამ მთლიანად თავის ყრილობაზე და კონფერენციებზე სწორი ლენინური ხაზი მოგვცა ყოველდღიურ მუშაობისათვის და დასახა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები.

ჩვენი პარტია, როგორც წარსულში, მონოლიტური და მთლიანი იქნება. დარაზმული რიგებით ჩვენ დავიცავთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვრებს. ქუთაისის პარტორგანიზაცია, როგორც ერთი კაცი, საკავშირო კომპარტიასთან (ბ) და საქართველოს კომპარტიასთან ერთად გასცემს სასტიკ პასუხს საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური პარტიის მტრების ბნელ ზრახვებს და ინტრიგებს.

ქუთაისის ორგანიზაცია აღგთქვამთ, რომ იგი ყოველწამს არის მზად ღირსეული პასუხი გასცეს იმ ელემენტებს, რომელთაც მერყეობა შეაქვთ ფოლადისებურ ლენინურ რიგებში.

გაუმარჯოს თბილისის პარტკონფერენციას!

გაუმარჯოს მთლიან, მონოლიტურ საკავშირო კომპარტიას! (ბ).

ქუთაისის პარტკომის წარმომადგენლის მისალმების შემდეგ, მოხსენებას აკეთებს ახალგ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. სალუქვაძე.

ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის მუშაობა

(ამხ. სალუქვაძის მოხსენება)

განვლილი წლის მუშაობაში კომკავშირის თბილისის კომიტეტმა წინააღმდეგობებითა და დაბრკოლებებით აღსავსე რთულ პირობებში გაიარა. განვლილი პერიოდი ხასიათდება დიდი ცვლილებებით კავშირის მუშაობაში და იმ ამოცანათა ნათელი შეგნებით, რომლებსაც პარტია სახავს კომკავშირის წინაშე. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ გვაქვს კომკავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზრდა და მუშა-ახალგაზრდობის აქტიობის ზრდა. დირექტივა, რომელიც მოგვცა პარტიის მე-14-ე ყრილობამ და კომკავშირის მე-7-ე ყრილობამ, საფუძვლად დაედო ჩვენს მუშაობას. ეს დირექტივა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი კავშირი ახალ ნიადაგზე გადაგვეყვანა და მუშაობა ახალგაზრდობის მოთხოვნილებებისათვის შეგვეფარდებინა.

შინაპარტიულმა დისკუსიის პერიოდმა გვიჩვენა, რომ კომკავშირი პოლიტიკურად გაიზარდა და იდეურად განმტკიცდა.

რამდენიმე სიტყვა ჩვენ მოწინააღმდეგეთა ბანაკზე ახალგაზრდობაში. ამ ბანაკში ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, საქმე გვქონდა ახალგაზრდა მარქსისტებთან, შემდეგ ფედერალისტებთან და ნაციონალ-დემოკრატებთან. ძირითადი გავლენა სკოლის ახალგაზრდობაზე იყო ახალგაზრდა მარქსისტების ხელში. ავგისტოს ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ ეს ორგანიზაცია სავსებით დაიშალა.

გადავდივარ რა კომკავშირის პრაქტიკულ მუშაობაზე, პირველ რიგში მოვიხსენიებ ეკონომიურ მუშაობას. აქ უნდა აღვნიშნო, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში გამწვავდა ჩვენი ურთიერთობა პროფკავშირებთან, ვინაიდან საქართველოს პროფკავშირთა მოძრაობის ზოგიერთი ხელმძღვანელნი ახალგაზრდებს შორის მუშაობის დროს არ ატარებდნენ იმ ხაზს, რომელსაც იცავდა კომკავშირი.

შეგირდების რიცხვის საკითხში ჩვენ უთანხმოება გვქონდა სამეურნეო დარგის მუშაკებთან. ჩვენ უნდა მიგვეღწია მუშათა 6,1 პროცენტი, ხოლო გავატარეთ მარტო 5,3 პროცენტი. მაგალითად, „სამშენმა", მიუხედავად ცეკას სათანადო დანიშნულებისა, დღემდე არ შეასრულა ნორმა.

მოვახსენებთ რა ამის შესახებ კონფერენციას, ჩვენ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდებს შორის გძლიერებულ უმუშევრობის შესამცირებლად, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ შეგირდების თავის დროზე შევსებას.

ეხება რა უმუშევრობას ახალგაზრდებს შორის, ამხ. სალუქვაძე აღნიშნავს, რომ უმუშევარ ახალგაზრდობას უმთავრესად იძლევა სოფელი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ საშუალო სკოლა უშვებს ისეთ ახალგაზრდობას, რომელიც ყოვლად გამოუსადეგარია კვალიფიციურ მუშაობისათვის.

რ. ს. ფ. ს.-ში დაწესებულია გარკვეული პროცენტი, რომლის მიხედვით შრომის ბირჟა გზავნის ახალგაზრდობას სამუშაოზე. ასეთივე წესი უნდა იქნეს შემოღებული საქართველოშიაც.

ახალგაზრდობის საშუალო სამუშაო ხელფასი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 22 მან. 37 კაპეიკიდან გაიზარდა 28 მან. 10 კაპეიკამდე. არიან მუშა-ახალგაზრდობის განსაზღვრული ჯგუფები, რომელნიც სამუშაო ხელფასის მხრივ ძლიერ ჩამორჩებიან ძირითად მუშებს, რომელნიც იმავე სამუშაოს ასრულებენ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უფროს მუშების და ახალგაზრდობის სამუშაო ხელფასის შეფარდება ნორმალური იქნეს.

ახალგაზრდობის შრომის დაცვის მიზნით გამოკვლეულ იქნა 144 წარმოება, გამოკვლევამ ცხადჰყო შრომის დარღვევის 300 მაგალითი. შრომის სასამართლომ, რომელმაც განიხილა ეს საქმეები, უმეტესად განაჩენი გამოიტანა ახალგაზრდობის სასარგებლოდ.

კომკავშირი მუშაობას ეწევა აგრეთვე ახალგაზრდა შინამრეწველთა შორისაც. შექმნილია კომკავშირის რამდენიმე უჯრედი, იმართებოდა ახალგაზრდა შინამრეწველთა კონფერენციები, სწარმოებდა კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობა.

მუშაობა მოჯამაგირეებს შორის მდგომარეობდა უმთავრესად იმაში, რომ სწარმოებდა ახალგაზრდა მოჯამაგირეების გაერთიანება პროფკავშირებში.

ეხება რა კომკავშირის ორგანიზაციის ზრდას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომკავშირი აერთიანებს მუშა ახალგაზრდობის 76 პროც. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთგვარი შენელება დაეტყო კომკავშირის ზრდას ქალაქში, ხოლო გაძლიერებული ტემპით სწარმოებდა ზრდა სოფლად. სოფლის კომკავშირელთა რიცხვი გაიზარდა 107 პროცენტით, ქალაქის კომკავშირელთა რიცხვი — 80 პროცენტით. სოფლის ორგანიზაციებში ადგილი აქვს საშუალო გლეხობის პროცენტის ერთგვარ შემცირებას.

ამჟამად მთელს ორგანიზაციაში ითვლება 12.460 წევრი და კანდიდატი. წინანდელ კონფერენციის დროს კი ითვლებოდა მხოლოდ 7.888 კაცი.

12.460 კაციდან კომკავშირის წევრია 11.309 კაცი, კანდიდატები — 1.151. მუშები კომკავშირის თბილისის ორგანიზაციაში შეადგენენ 5.602 კაცს, საშუალო გლეხები — 399. თბილისის და მისი მაზრის კომკავშირის ორგანიზაციაში მუშა ახალგაზრდობა შეადგენს 14,8 პროცენტს, მარტო ქალაქში, მაზრის გარეშე,—54,6 პროცენტს. წინანდელთან შედარებით, ადგილი აქვს მუშების პროცენტის ერთგვარ შემცირებას. 1925 წ. 1 ოქტომბერს ორგანიზაციაში ქართველები შეადგენდნენ 39.8 პროცენტს, ეხლა კი შეადგენენ 41.7 პროცენტს. სომხების რიცხვიც გაიზარდა დაახლოვებით 1 პროცენტით, ხოლო რუსების პროცენტი დაეცა. ამრიგად, ორგანიზაცია იზრდება, უმთავრესად, თბილისის ძირითად მოსახლეობის ხარჯზე.

1925 წ. 1 ოქტომბერს ორგანიზაციაში ქალიშვილები შეადგენდნენ 11,7 პროცენტს, ეხლა კი შეადგენენ 13,8 პროცენტს, ე. ი. მომატება უდრის 2,1 პროც-ს.

ეხება რა კომკავშირის პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ განვლილ პერიოდში ორგანიზაცია წრების სისტემიდან გადავიდა სკოლების სისტემაზე. წელს უნდა გვქონოდა 64 პირველი საფეხურის პოლიტსკოლა, 65 მეორე საფეხურის პოლიტსკოლა, რომლებშიაც უნდა ემეცადინა 4.062 კაცს.

ჩვენ კი ამ სკოლებში გვყავს მხოლოდ 3.870 კაცი, ვინაიდან არის გარკვეული რაოდენობა კომკავშირელებისა, რომელთაც არ შეუძლიათ ამ პოლიტსკოლებში შესვლა ან ზედმეტი ჩამორჩენილობის გამო, ან კიდევ იმის გამო, რომ ისინი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა გაიარა 1.325 კაცმა.

პოლიტსკოლების დამსწრეთა რიცხვი არ აღემატება 60 პროცენტს. შემდეგში საჭიროა ამ პროცენტის გადიდება. პოლიტსკოლას ძალიან აფერხებს ლიტერატურის უქონლობა ნაციონალურ ენებზე (ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე).

შემდეგ ამხ. სალუქვაძე ეხება საკლუბო მუშაობის საკითხს. თბილისში კომკავშირს ჰქონდა 9 კლუბი, ხოლო ამჟამად დარჩა მხოლოდ რკინისგზელ ახალგაზრდობის ერთად-ერთი კლუბი, რომელიც ძალიან კარგად მუშაობს. პროფკავშირთა კლუბებთან არსებულ ახალგაზრდათა სექციების მუშაობა ჩვენში მოიკოჭლებს, მაგრამ ეს დამოკიდებულია ჩვენი სექციების ფინანსიურ მდგომარეობაზე. შემდეგში საჭიროა ამ საკითხის დაწვრილებით დამუშავება პროფკავშირებთან ერთად.

ეხება რა სოფლად მუშაობას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სოფლის ორგანიზაციები 107 პროცენტით გაიზარდნენ. თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც საგრძნობია მოჯამაგირეების ლტოლვა კომკავშირისაკენ.

იმ სოფლებში, სადაც არც უჯრედებია და არც პარტიის საკანდიდატო ჯგუფები, კომკავშირის უჯრედები წარმოადგენენ პარტიული ხაზის გამტარებლებს სოფლად, განსაკუთრებით ეს შესამჩნევია თბილისის მაზრაში. მუშაობის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ეს სოფლის უჯრედები კარგად ერკვევიან ჩვენი პოლიტიკის საკითხებში სოფლად, და ჩვენი გლეხობაც ენდობა მათ. ჩვენი კომკავშირის უჯრედები ეხმარებიან წითელარმიელთა ოჯახებს, ღარიბი გლეხების ოჯახებს, მუშაობენ ქოხ-სამკითხველოებში, რომლის გარშემოც აერთიანებენ არა მარტო უპარტიო ახალგაზრდობას, არამედ მოზრდილებსაც. ეს—ჩვენი უდავო მიღწევაა. სოფლად მუშაობის ხელმძღვანელობის დარგში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ მაინც ვერ ავცილდით შეცდომებს. მე მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც საკმაოდ მეტყველურად გვეუბნება იმას, რომ სოფლად ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ადმინისტრატიული ბრძანებლობა: სათემო კომიტეტის კომკავშირელი-მდივანი წინადადებას აძლევს კოოპერატივის გამგეობის უპარტიო თავმჯდომარეს ამა თუ იმ კომკავშირელის მოწყობაზე კოოპერატივის გამგეობაში. ეს და ამის მსგავსი მაგალითები გვეუბნებიან, რომ მიუხედავათ სოფლად მუშაობაში გადადგმულ დიდი ნაბიჯებისა, ჩვენ კიდევ მოგვიხდება ბრძოლა ადმინისტრატიული ნაშთების წინააღმდეგ.

შემდეგ მომხსენებელი გადადის მუშაობაზე ფიზკულტურის დარგში.

წინედ ჩვენ სუსტად ვიყავით დაკავშირებულნი ფიზკულტურის ორგანიზაციებთან. ამჟამად კი დაუახლოვდით ამ საქმეს. უკანასკნელი მასალებით, ფიზკულტურის წრეებში კომკავშირელები შეადგენენ 48 პროცენტს. ჩემის აზრით, ეს მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

გადავიდა რა მოსწავლე ახალგაზრდობის შორის მუშაობაზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომკავშირის ორგანიზაციამ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა მხოლოდ 1926 წელში. ორგანიზაციაში ჩვენ გვყავს 74 სასკოლო უჯრედი, რომლებიც აერთიანებენ 2.564 წევრ და კანდიდატ-კომკავშირელს. ყოველ ეჭვს გარეშეა, კომკავშირი სარგებლობს გავლენით მოსწავლე ახალგაზრდობაზე, მაგრამ მის სრულ დაპყრობისაგან ის ჯერ კიდევ შორს არის. მოსწავლე ახალგაზრდობის დაპყრობის საქმე უმთავრესად დამოკიდებულია ჩვენი სკოლების რეორგანიზაციისაგან. სკოლები ისე უნდა გადაკეთდეს, რომ იქიდან გამოდიოდეს შრომის უნარის მქონე ხალხი, ხალხი, რომელსაც შეეძლება ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის გაკეთება.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს რუსული ენის სწავლებაზე ჩვენს სკოლებში.

მართლაც რომ არანორმალური მდგომარეობაა. სკოლებიდან გამოდის ხალხი, რომელმაც ერთი სიტყვაც კი არ იცის რუსულად.

გადადის რა საზოგადოებათ მეცნიერების სწავლის საკითხზე, მომხსენებელი ამბობს, რომ დღემდე ამ დისციპლინის გაკვეთილების მიცემა ნაწილობრივად უცხო და ხშირად ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტების ხელში იყო.

მაგრამ მაინც, მიუხედავათ ყველა ნაკლულევანებებისა, მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მოხდა ერთგვარი გარდატეხა ჩვენს სასარგებლოდ.

რაც შეეხება პროფტექნიკურ განათლებას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში ჩვენი მუშაობა მოისუსტებს. ჩვენი საფაბრიკო - საქარხნო სკოლები დღემდე ვერ აკმაყოფილებენ წარმოების მოთხოვნილებას. იყო ხშირი შემთხვევა, როცა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა - დამთავრებული ხვდებოდა შრომის ბირჟაში.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს სულიერ განწყობილების დაცემაზე, ორგანიზაციებიდან ნებაყოფლობით გამოსვლაზე, დისციპლინის შესუსტებაზე და სხვ.

ნაწილი ამ უარყოფითი მოვლენებისა აღმოფხვრილია, ხოლო ყველა არა.

თბილისის ორგანიზაციიდან ნებაყოფლობით გამოსვლის შემთხვევა 40-დე აღწევს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს რიცხვი, ალბად უფრო დიდია, იმიტომ, რომ ჩვენი უჯრედების ბიუროები და რაიონული კომიტეტები ახერხებენ ნებაყოფლობით კომკავშირელთა ჩათვლას არა გასულებად, არამედ გარიცხულებად. ამ პერიოდში ჩვენ გარიცხული გვყავს 272.

კონფერენციის ყურადღება მე მინდა მივაქციო ერთ მეტად მნიშვნელოვან ნაკლზე, კომკავშირული ბეჭდვითი ორგანოს უქონლობაზე. შეუძლებელია, ამხანაგებო, ხელმძღვანელობის წარმოება მარტო ცირკულიარების საშუალებით, მით უმეტესი, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გაიზარდა პოლიტიკურად. ის დღეს უკვე მუშაობის სხვა მეთოდებს მოითხოვს.

გადავდივარ რა პიონერთა შორის მუშაობაზე, მე უნდა აღვნიშნო, რომ დღეს პიონერები აღარ კმაყოფილდებიან ჩვენი ძახილით „იყავი მზად". პიონერ ორგანიზაციების მუშაობის ასამაღლებლად, საჭიროა, რომ ამ მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები.

ჩერდება რა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობაზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მაზრებში საბჭოების გადარჩევის დროს 1926 წ. კომკავშირის ორგანიზაციამ მოიხვეჭა ამრჩეველთა ნდობა. 1925 წელს თბილისის საბჭოში იყო მხოლოდ 34 კომკავშირელი, — ამბობს მომხსენებელი, — ხოლო უკანასკნელ არჩევნების დროს ჩვენ საბჭოებში გავიყვანეთ 105 კომკავშირელი. ეს მოწმობს კომკავშირის თვისებრივ და მისი ავტორიტეტის ზრდაზე.

ეხლა რამდენიმე სიტყვა წარმოებაში დისციპლინის დაცვის შესახებ. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ საანგარიშო პერიოდში განმტკიცდა საწარმოო დისციპლინა. წარმოებებში ახალგაზრდობას კარგად უჭირავს თავი და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს წარმოების მშენებლობაში.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ორგანიზაციის პარტაქტივი შეადგენს 10 პროც-ს, რაც აიხსნება კომკავშირის ორგანიზაციის დიდი ზრდით ამ უკანასკნელ ხანებში. ლაპარაკობს რა პარტხელმძღვანელობაზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში ეს ხელმძღვანელობა გაძლიერდა მთელი ხაზით. მაგრამ ცალკე ადგილებში მაინც არის ნაკლულოვანებები: მაგალითად ხელმძღვანელობის [illegible] ნიშნავენ არა გავლენიან პარტიულს, არამედ ყოფილ კომკავშირელ მუშაკს, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც კომკავშირიდან გამოსულა და არ სარგებლობს ავტორიტეტით კომკავშირელთა მასაში.

რა დასკვნები შეგვიძლია გამოვიტანოთ ჩემი მოხსენებიდან?, — ათავებს სიტყვას ამხ. სალუქვაძე. მე მოგახსენეთ ყველა დეფექტები და მიღწევები, რაც ჩვენ გვაქვს. ამ წელში ჩვენ გარკვეული მიღწევები გვაქვს სოფლად მუშაობის დარგში. მე აღვნიშნე ორგანიზაციისა და საზოგადოებრივ - პოლიტიკური აქტივობის ზრდა, მაგრამ ამასთან ერთად გვაქვს ნაკლულევანებებიც. ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს ნაკლულევანებებს და დეფექტებს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიის გაძლიერებული ხელმძღვანელობის ქვეშ ჩვენ შევსძლებთ ამ დეფექტების აღმოფხვრას. (ტაში).

სარევიზიო კომისიის მოხსენება

ამხ. სალუქვაძის მოხსენების შემდეგ ამხ. ათაბეგოვი კითხულობს საანგარიშო მოხსენებას სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ თბილისის კომიტეტის საქმის წარმოება, კანცელარია და სხვა განყოფილებები სავსებით დამაკმაყოფილებლად არიან დაყენებული. ამხ. ათაბეგოვი ეხება რა თბილისის ორგანიზაციის წევრების აღრიცხვას, აღნიშნავს, რომ აღრიცხვის საქმე კარგად არის დაყენებული და ორგანიზაციის მდგომარეობის სრულ სურათს იძლევა.

(კამათი ამხ. მ. კახიანის მოხსენების გარშემო მოთავსებული იქნება ხვალ).

საქართველოს ქალაქების ზრდა

მოსახლეობის აღწერის წინასწარი ჯამები უკვე გვაძლევენ იმის სურათს, თუ როგორ იზრდებიან ჩვენი ქალაქები.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის მიერ საქართველოს ავტონომიურ ერთეულებთან ერთად დამტკიცებულია 26 ქალაქი. მოსახლეობის რაოდენობა ამ ქალაქებში, თანახმად 1922 და 1926 წლების აღწერისა, იცვლება ამნაირად:

ქალაქები	1926 წ.	1922 წ. აღწერით	მატება (+) და შემცირება (—) 1922 წელთ. შედარებით (%)
1. ახალქალაქი	3336	2737	+ 21,9
2. ახალციხე	10019	10153	— 1,3
3. ლიუქსემბურგი	5548	4591	+ 20,8
4. შაუმიანი	5553	5112	+ 8,6
5. ბორჯომი	5167	3913	+ 32,0
6. გორი	10326	9236	+ 11,8
7. ხაშური	7500	7018	+ 6,7
8. დუშეთი	2093	1510	+ 38,6
9. თელავი	8766	9176	— 4,5
10. სიღნაღი	4082	4192	— 2,6
11. ტფილისი	279565	233958	+ 19,5
12. ზუგდიდი	5464	4525	+ 20,6
13. ოზურგეთი	5594	5626	— 0,6
14. ონი	2837	2699	+ 5,1
15. სენაკი	5389	4524	+ 19,1
16. ფოთი	12907	11358	+ 13,6
17. სამტრედია	13749	6423	+114,0
18. ქუთაისი	44379	45290	— 2,0
19. ხონი	9050	9347	— 3,2
20. ზესტაფონი	6073	4902	+ 23,9
21. ჭიათურა	4250	3243	+ 31,1
22. გუდაუთი	3610	2843	+ 27,0
23. ოჩემჩირი	2790	2669	+ 4,5
24. სოხუმი	19800	17426	+ 13,6
25. ბათომი	45100	60810	—25,8
26. ცხინვალი	5809	4543	+ 27,9
სულ	528.843	477.824	+ 10,6

ამნაირად 1922 წლის შემდეგ ჩვენი ქალაქები საერთოდ გაზრდილია 10,6 პროცენტით.

ყველაზე დიდ ზრდას პროცენტების მიხედვით თითქო სამტრედია იძლევა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ გარდა ნორმალური ზრდისა სამტრედიის ასეთი გადიდებას აქვს ხელოვნური მიზეზიც. სამტრედიას მიაკუთვნეს რამდენიმე ახლო-მახლო დასახლებული პუნქტები. რომლებიც 1922 წელს არ შედიოდნენ მის საზღვრებში. ეს ახლათ მიწერილი დასახლებული პუნქტები, რომ გამოვაკლოთ, მაშინ ვერ მივიღებთ სამტრედიის ზრდას 114 პროც. მაგრამ, მისი ზრდა მაინც თვალსაჩინოა და აშკარაა. ყოველ შემთხვევაში მისი ზრდა 20-30 პროცენტის დაბლა არ დაიწევს. მაშინ, როცა ქუთაისი, სამაზრო ცენტრი, გვაძლევს მოსახლეობის შემცირებას 6.8 პროცენტით 1922 წელთან შედარებით.

საინტერესოა ორი ყოფილ საგუბერნიო ცენტრის (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში)—თბილისი და ქუთაისის—ცნობები.

ქუთაისის მაზრაში ჩვენ გვაქვს სამი ქალაქი: ქუთაისი, სამტრედია, ხონი.

ქუთაისი—სამაზრო ცენტრი თან და თან კლებულობს. 1922 წლიდან მისმა მოსახლეობამ მოიკლო 911 სულით. მოსახლეობის რიცხვის ასეთი დაკლება ოთხი წლის განმავლობაში მეტათ საგრძნობია ისეთი ქალაქისათვის, რომლის მოსახლეობა—44—45 ათასს შეადგენს.

კლებულობს ხონიც. იზრდება სამტრედია.

მიზეზი სამტრედიის ასეთი ზრდისა არის მისი ეკონომიური მდგომარეობა. ქუთაისი მოშორებულია რკინის-გზის მთავარ მაგისტრალს. ასეთ მდგომარეობაშია ხონიც. სიცოცხლე ეტყობოდა ქუთაისს მაშინაც, როცა ის საგუბერნიო ცენტრი იყო. მაშინ აქ იყო თავმოყრილი სხვა და სხვა საგუბერნიო ხასიათის ორგანიზაციები. ეკონომიური მნიშვნელობა კი ქუთაისს არ ჰქონდა. მას შემდეგ, რაც მას ჩამოშორდა საგუბერნიო ფუნქციები და ის გადაიქცა სამაზრო ცენტრათ, ქუთაისის მოსახლეობა თან და თან კლებულობს.

სულ სხვაა სამტრედია. მის ზრდას ხელს უწყობს რკინის-გზის მთავარი მაგისტრალი. აქედან გადის ბაზარზე უმთავრესათ ქუთაისის მაზრის სოფლის მეურნეობის პროდუქცია (ღორი, კვერცხი, ქათამი, ხილი), რაც აძლევს სამტრედიას ეკონომიურ სიძლიერეს. ტენდენცია სამტრედიის ზრდისა ისეთია, რომ ის ჩქარა გაუსწრებს ქუთაისს.

თუ დასავლეთ საქართველოში ქუთაისი, ყოფილი საგუბერნიო ცენტრი, კლებულობს თანდათან, აღმოსავლეთ საქართველოში თბილისი, ყოფილი საგუბერნიო ცენტრი, ეხლა კი, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის ცენტრი, დიდი სისწრაფით იზრდება.

თბილისის მცხოვრებთა ზრდაზე ჩვენ ცოტა დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

1926 წლის აღწერის წინასწარი ჯამებით თბილისის მოსახლეობა უდრის 279.565 სულს. 1922 წლიდან მოსახლეობა აქ გაიზარდა—45.607 სულით.

უნდა ითქვას, რომ თბილისი საერთოდ დიდი სისწრაფით იზრდება. მისი ზრდა პროცენტებში არ ჩამოუვარდება ევროპის დიდ ქალაქებს.

თბილისს ახსოვს ხუთი აღწერა. ამ აღწერების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობა ასეთ ცვლილებებს განიცდიდა თბილისში.

1876 წ.	91.668 სული
1897 „	146.164 „
1917 „	246.910 „
1922 „	233.958 „
1926 „	279.565 „

1917 წლამდე თბილისი დიდი სისწრაფით იზრდებოდა. 1917 წლიდან 1922 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა კლებულობს. 1922 წლის აღწერამ მოგვცა თბილისის მოსახლეობა 14.136 სულით ნაკლები 1917 წელთან შედარებით.

მიზეზი მცხოვრებთა დაკლებისა 1917-1922 წლებში უნდა ვეძებოთ ეკონომიურ პირობებში. სასურსათო კრიზისმა, რომელიც მძვინვარებდა საქართველოში ყველა ადგილებზე უფრო მწვავედ თბილისში 1918-1920 წლებში, მოსახლეობის დიდი ნაწილი გარეკა სოფლებში. ძალიან დაეცა დაბადებაც. 1923 წლამდე დაბადებულთა რიცხვი კლებულობს: მაგალ., 1915 წ. თბილისში დაბადებულთა რიცხვი უდრიდა 5.159., 1916 წ.—3392 სულს, 1917 წ—2519 სულს. ასე ეცემა დაბადებულთა რიცხვი 1923 წლამდე. ვაჭრობა-მრეწველობაც 1918-1920 წლებში ეცემა საქართველოში. დიდი ნაწილი მოსახლეობისა გადის ქალაქის საზღვრებიდან.

გარდა ამისა 1917 წ. შემდეგ დაიხურა ბევრი ისეთი ორგანიზაცია, რომლებსაც საფრონტო მნიშვნელობა ჰქონდათ და რომელნიც მუშაობდნენ კავკასიის მასშტაბით თბილისში. ყველა ამ მიზეზის გამო თბილისის მოსახლეობამ დაიკლო 1917 წლიდან—1922 წლამდე.

სულ სხვა პირობებია ეხლა. ცხოვრება ჩადგა ნორმალურ კალაპოტში. სახალხო მეურნეობის აღდგენითი პროცესი დამთავრდა. ბევრ ადგილას ჩვენ კიდეც გადავაჭარბეთ ომის წინა არსებულ დონეს სახალხო მეურნეობაში. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მიერ მიყენებული ჭრილობანი უკვე მოშუშდენ. გარდა ამისა თბილისი დღეს მთელი ა.-კავკასიის ცენტრია. შეიქმნა ისეთი ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის გაზრდას.

მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა საინტერესო სურათს იძლევა ამ მხრით. რასაკვირველია, სამისამართო მაგიდის ცნობები არ წარმოადგენენ სრულ სისწორეს, მაგრამ ის სურათი, რომელსაც სამისამართო მაგიდა გვიხატავს, მეტათ საინტერესოა.

წლები	მოსულა	წასულა	მომატებია მოსახლეობა
1923 წ.	57.603	40.850	16.753 სული
1924 „	65.034	51.822	13.212 „
1925 „	66.927	56.381	10.546 „

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, ამ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მოსული ხალხით თბილისი გაზრდილა—40.511 სულით.

ვისგან შესდგება ეს ჩამოსული ხალხი? ეროვნების მიხედვით ზრდა მოდის (სამისამართო მაგიდის ცნობებით) ამ სამი წლის განმავლობაში:

წლები	ქართველებზე	სომხებზე	რუსებზე	დანარჩენი ეროვნება
1923	6.949 ს.	5.753 ს.	2.101 ს.	1.950 ს.
1924	7.687 ს.	2.950 ს.	1.828 ს.	747 ს.
1925	7.128 ს.	1.572 ს.	1.153 ს.	693 ს.

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, თბილისის მოსახლეობა იზრდება საქართველოს ძირითად ეროვნებათაგან.

აღწერამ გვაჩვენა, რომ მოსახლეობა უმთავრესათ იზრდება 1,2,8, 9, 10 და მე-11 კომისარიატებში, რაც აშკარაა ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან:

მოსახლეობა 1922 და 1926 წლების აღწერის მიხედვით:

კომისარიატები	1922 წ.	1926 წ.	მომატებულია
1	23795	29523	5728
2	19630	24244	4614
3	17394	20270	2876
4	17774	20406	2632
5	14413	15861	1448
6	10371	12906	2535
7	22040	25877	3837
8	18206	21654	3448
9	28840	35087	6247
10	26980	31644	4664
11	19788	25467	5679
12	13543	16626	3083
რკინის გზის ხაზი	1184	—	

სამისამართო მაგიდაც აჩვენებს მოსახლეობის დიდ ზრდას სწორეთ ამ რაიონებში.

მოსახლეობა გაზრდილია სამისამართო მაგიდის ჩვენებით:

კომისარიატი	1923 წ.	1924 წ.	1925 წ.
1	2088	2131	679
2	1364	1579	722
3	949	954	642
4	1187	180	166
5	5763	326	428
6	534	271	564
7	1092	757	
8	1621	897	1058
9	2315	1914	2716
10	2658	1743	1745
11	1966	1648	722
12	818	812	1104

ამ ორი წყაროს მიხედვით შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ **თბილისი იზრდება უმთავრესათ მცხეთისაკენ და შემდეგ ნაძალადევისაკენ.**

სახალხო მეურნეობის განვითარებას და ეკონომიურ გაჯანსაღებას თან მოჰყვა მოსახლეობის ბუნებრივი ზრდაც. ამას აშკარათ მოწმობს აქ მოყვანილი ცხრილი თბილისში დაბადებულთა შესახებ.

დაბადებულნი:

წლები	მამრ. სქ.	მდედრ. სქ.	სულ
1915	2.679	2.480	5.159
1916	1.757	1.635	3.392
1917	1.302	1.217	2.519
1922	2.351	2.098	4.449
1923	3.415	3.199	6.614
1924	4.375	4.114	8.489
1925	4.457	4.368	8.825

თუ 1917 წ. ყოველ ას მცხოვრებზე მოდიოდა 0,9 დაბადებული, 1925 წელს*) ყოველ ას მცხოვრებზე მოდის—3,26 დაბადებული.

რასაკვირველია, არც მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა იძლევა ამომწურავ ცნობებს. დაბადებულ - გარდაცვლილთა შესახებ იმდენათ, რამდენათაც მას აღრიცხვის გარეშე რჩება ბევრი აქტი. მაგრამ აქ მოყვანილი ცნობები მაინც მეტათ დამახასიათებელია მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობისათვის. ამ საეჭვო წყაროს მიხედვითაც ჩვენ გვაქვს მოსახლეობის დიდი ბუნებრივი ზრდა.

სიკვდილიანობის რიცხვი უდრის თბილისში:

1923 წ.—3089, 1924 წ.—3383 1925 წ.—3935. ამ ცნობების მიხედვით უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა უდრის, თუ დაბადებულთა რიცხვს გამოვაკლებთ გარდაცვლილთა რიცხვს: 1923 წ.—3525, 1924 წ.—5106, 1925 წ.—4890, სულ—13.521.

თბილისის ასეთი სწრაფი ზრდა ამ უკანასკნელ წლებში როგორც ჩამოსული ხალხის, ისე ბუნებრივი გამრავლების მხრით, რასაკვირველია, მიეწერება თბილისის ეკონომიურ მოღონიერებას შედარებით 1918—1920 წლებთან.

თბილისი იზრდება უმთავრესათ საქართველოს სოფლის ზედმეტი ხალხის და ზოგიერთ ქალაქების კლების ხარჯზე.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ ქუთაისის კლება. ასეთ მდგომარეობაშია ბათომიც. თვით აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც თბილისის სუნთქვა უფრო ძლიერი და საგრძნობია მახლობელ ქალაქებისათვის, ჩვენ ვხედავთ მოსახლეობის შემცირებას 1922 წელთან შედარებით ორ მთავარ სამაზრო ქალაქში: თელავი—4,6 %-ით, სიღნაღი—2,6-ით.

დანარჩენ ქალაქების მდგომარეობა ასეთია:

ახალქალაქი იზრდება დიდი სისწრაფით (21,9 %-ით) სამაგიეროთ ცოტათი კლებულობს ახალციხე (1,3 %-ით). ბორჩალოს მაზრაში შესამჩნევად იზრდება ლიუქსემბურგი (20,8 %-ით) და შაუმიანი (8,6 %-ით). გორის მაზრაში ზრდას გვაძლევს როგორც გორი, ისე ბორჯომი და ხაშური. შესამჩნევათ იზრდება დუშეთიც. სამეგრელოში ზრდას იძლევიან ზუგდიდი და სენაკი. გაყინულია ერთ დონეზე ოზურგეთი. ფოთი იძლევა ზრდას—13,6 %-ით, რაც უმთავრესათ აიხსნება ნავთსადგურზე გადაზიდვის გაძლიერებით და მუშა-ხელის აქ თავის მოყრით ახლო-მახლო სოფლებიდან. შორაპნის მაზრაში ორივე ქალაქი—ჭიათურა და ზესტაფონი იძლევა მატებას. ჭიათურის ზრდა, როგორც სამეურნეო ცენტრის, უფრო ძლიერია (31,1 %-ით), ვიდრე ზესტაფონის (23,9 %.).

აფხაზეთის ქალაქები ყველა იძლევა ზრდას: სოხუმი 13,6 %-ით, გუდაუთი—27,0 %-ით, ოჩემჩირი 4,5 %-ით. აფხაზეთის ქალაქების, განსაკუთრებით სოხუმის, ზრდა აიხსნება უმთავრესათ მათი საკურორტო მნიშვნელობით.

ზრდას იძლევა სამხრეთ-ოსეთის ცენტრი—ცხინვალიც—27,9 %-ით.

ასეთია საერთოდ ჩვენი ქალაქების ზრდა.

ა. რუხაძე.

---

*) მოსახლეობის რაოდენობას 1925 წ. ვანგარიშობ 270.000.

პარტიული ცხოვრება

მისალმება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს

(აჭარისტანიდან)

აჭარისტანის მე-9 პარტიული საოლქო კონფერენცია, მხურვალე სალამს უძღვნის პარტიის ხელმძღვანელს ამიერ-კავკასიაში—ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს. ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის გონიერი ხელმძღვანელობით შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკების ამიერ-კავკასიის ფედერაცია და მიღწეულ იქნა მშვიდობიანობა ერებს შორის და ამიერ-კავკასიის [illegible] ერების ძმური ერთობა. კონფერენცია დარწმუნებულია, რომ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები წავლენ წინ სოციალიზმის აღმშენებლობის გზაზე.

პრეზიდიუმი.

ქალთა განყოფ. გამგეების თათბირის შედეგები

2 იანვარს გაიხსნა კომპარტიის (ბ) სამაზრო და საოლქო კომიტეტების მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების გამგეების მეშვიდე თათბირი. თათბირი მოიწვია ცეკას მ. და გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილებამ.

თათბირის დღის წესრიგში დასმული იყო მთელი რიგი საყურადღებო საკითხებისა, როგორიც არის საბჭოების ხელახალი არჩევნები და მ. და გ. ქალთა მონაწილეობა მასში, დელეგატ ქალთა არჩევნები და სადელეგატო კრებების მუშაობა, მუშაობა საზოგადო მოღვაწე ქალთა შორის და მისი მოწესრიგების საკითხი, პოლიტგანმანათლებელი მუშაობა, მუშაობა ღარიბ გლეხთა ჯგუფებში და ქალების მონაწილეობა მათში, ახალგაზრდა ქალებისა და ნორჩ-პიონ. შორის მუშაობა, პარტიაში ქალების რიცხვის გადიდების საკითხი, ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის, ჩატარების საკითხი და სხვა.

საბჭოების არჩევნების შესახებ მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან. ქალთა შორის მომუშავენი აღნიშნავდნენ, რომ გასულ წლის არჩევნებში ქალებმა მიიღეს საკმაოდ ცოცხალი მონაწილეობა. სათანადო შედეგები გამოიღო ქალებისათვის უწყებების დარიგებამ და მოსამზადებელი კომპანიების ჩატარებამ.

თათბირზე აგრეთვე ხაზგასმით იქნა აღნიშნული გასულ წლის არჩევნებში აღნუსხული ნაკლიც, როგორიცაა საბჭოებში დეპუტატ ქალთა პროცენტის სიმცირე, საბჭოს წევრ ქალების პრაქტიკულ მუშაობაში და სალიკვიდაციო სკოლებში არა საკმაოდ ჩაბმა და სხვა. თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებისა აღნიშნულ ნაკლის გამოსასწორებლად.

მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები ადგილებიდან სადელეგატო კრებების გადარჩევის შესახებ, სადაც ხაზგასმით იქნა აღნიშნული 1926—27 წლ. სადელეგატო კრებების არჩევნების და მუშაობის როგორც ნაკლი, ისე მიღწევები, რაც გამოიხატება ცენტრ. განყოფ. მიერ თავის დროზე ინსტრუქციების და სახელმძღვანელო მასალების მიწოდებაში (სამ. და საოლქო კომ. მ. გ. ქალთა განყოფილებების გამგეების თათბირის მოწვევა, ინსტრუქციის დაგზავნა ადგილებზე) პარტკომების და სამ. კომ. საგიტაციო საპროპ. განყოფილების სადელეგატო კრებებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებაში (მუდმივ ხელმძღვანელთა გამოყოფა), დელ. ქალთა სოც. და ჰასაკობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში და სხ. აღნიშნულ იქნა აგრეთვე ნაკლიც. სადელეგატო კრებების მუშაობის გასაცხოველებლად თათბირმა გამოიმუშავა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი, სადელეგატო პუნქტების ხელმძღვანელთა თათბირების მოწვევა, წერა კითხვის უცოდინარობის მოსპობა დელეგატ ქალთა შორის, დელეგატ ქალთა ჩაბმა ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში, სადელეგატო კრებების სისტემატიური მეცადინეობის წარმოება, რათა პროგრამა დასრულებულ იქნეს თავის დროზე და სხვა.

თათბირი შეეხო აგრეთვე საზოგადო მოღვაწე ქალებს შორის მუშაობის საკითხებსაც. აღნიშნულ იქნა, რომ ვერ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული მუშა და გლეხ ქალთა დაწინაურების საქმე, ვერც საზოგადო მოღვაწე ქალთა აღრიცხვის საკითხია მოწესრიგებული.

თათბირმა გამოიტანა დადგენილებები, რათა ქალთა განყოფილებებმა მიაქციონ სერიოზული ყურადღება საზოგადო მოღვაწე ქალთა კადრის გადიდებას საბჭოებში, კოოპერაციის გამგეობის წევრებთა საკრედიტო ამხანაგობებში, გლეხკომში და სახალხო მსაჯულებად გაყვანის საშუალებით.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მოხსენებამ. მომხსენებელმა ფართოდ დაასურათა პოლიტგანათლების მუშაობის ფორმები და მეთოდები. ქოხ-სამკითხველოს და ქალთა კლუბების მუშაობა და ქალების მონაწილეობა მასში. აღნიშნა ის ნაკლიც და სიძნელენიც, რომელიც ხვდებათ მათ ამ დარგში მუშაობის დროს. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე მომავალი მუშაობის პერსპექტივები.

არა ნაკლებ ინტერესით იქნა მოსმენილი მოხსენება ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობის შესახებ. მომხსენებელი დეტალურად შეეხო ღარიბ გლეხთა ჯგუფებში მუშაობის მნიშვნელობას და ქალების მონაწილეობას მასში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაევალა ცეკას ქალთა განყოფილებას, საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად გამოიმუშაოს ფორმა და მეთოდები ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობაში ქალების ჩასაბმელად.

მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენება ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის შესახებ და ნორჩ პიონერთა ცენტრ. ბიუროს მოხსენება.

დასასრულ მოსმენილ იქნა ამხ. შავერდოვას და ჯაფარიძის ინფორმაციული მოხსენებები მოსკოვის საკლუბო თათბირის მუშაობის შესახებ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თათბირი ჩატარდა ძლიერ ცოცხლად და მისი მუშაობა ფრიად ნაყოფიერი იყო.

თათბირი დაიხურა 6 იანვარს.

დამსწრე.

პარტაღწერა

დღეს პარტაღწერა იწარმოებს შემდეგ უჯრედებში

პირველი რაიონი. საორთქმავლო დეპო, მთავარი სახელოსნოების სამღებრო და ამწყობი ცეხები, რკინის გზის სამმართველო, „ზაკტპო", გზათა კომისარიატის დამცველი რაზმი და სამასალო საწყობი.

მეორე რაიონი. ტრამვაის სახელოსნოები და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი, „ემსი", „გრუზვეიპრომი", ამიერ-კავკასიის სახელმწ. პოლიტიკურ სამმართველოს ჯარების სკოლა, მექანიკური სარემონტო ქარხანა, მეტყავეები და „ცეკავშირი".

მესამე რაიონი. სასაკაო, ფეხსაცმელების ქარხანა, აბანოები და თურქული უჯრედები და „ზაკხლოპკომი".

მეოთხე რაიონი. „თემქა", სახელმწიფო ბანკი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა. კ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო და მე-8 პოლკი, პოლიგრაფსკოლის სტამბა, პოლიგრაფტრესტის სტამბა № 1, მეხანძრეთა რაზმი და ამიერ-კავკასიის ფინსახკომი.

პარტქრონიკა

— ოთხშაბათს, 12 იანვარს, დღის სამ საათზე სქ. ა. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება ა. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის სხდომა.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების თვითგანვითარების ბიუროს სხდომა შესდგება ხუთშაბათს, 13 იანვარს, დილის 9 საათზე საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის ცენტრალურ კაბინეტში, (რუსთაველის თეატრის შენობაში).

— ლენინის რაიონის საბჭოების გადამრჩევი კომისია იტყობინება, რომ ოთხშაბათ 12 იანვრიდან, დღის 3 საათიდან საღამოს 8 საათამდე ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში იმორიგებენ საარჩევნო კომისიის წევრები, რომელთაც ევალებათ ცნობების გაცემა საბჭოების გადარჩევის საკითხების შესახებ.

— ხუთშაბათს, 13 იანვარს, საღ. 6 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში (მოლოკნების ქუჩა № 60) შესდგება ლენრაიონის დელეგატქალების საერთო რაიონული და ქალთა ორგანიზატორების კრება.

დასწრება ყველა ქალ-ორგების და დელეგატქალების, რომელნიც ჩაეწერნენ დელეგატ. კრებებთან არსებულ სექციებში სავალდებულოა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საბჭოების გადარჩევა

ახალსენაკი, 11 იანვარი. 16 იანვარს გამოქვეყნდება ამომრჩეველთა სიები. 5 თებერვალს დაიწყება გადარჩევა. 10 მარტს მოწვეულ იქნება სამაზრო ყრილობა. მაზრაში იმუშავებს 250 საამომრჩევლო უბანი. (ადს).

ხე - ტყის დამზადება

ახალციხე, 11 იანვარი. სამაზრო აღმასკომი შეუდგა 50.000 ფუთი ხე-ტყის მასალის დამზადებას. ხე-ტყის მასალა დამზადდება სამეურნეო წესით. სამეურნეო წესით დამზადდება სამაზრო აღმასკომს მისცემს 5.000 მან. მომჭირნეობას.

აჭარისტანი

ზარალი გრიგალისაგან

სოხუმი, 11 იანვარი. 3 იანვარს გრიგალის დროს დაზიანებულ იქნა გაგრისა და ოჩემჩირის ნავთსადგურების ელექტრონის მავთულები. (ადს).

გემების მისადგომი სოხუმში

სოხუმი, 11 იანვარი. აფხაზეთის სახელმწ. საგეგმო კომისიასთან გამართულმა თათბირმა ეკონომიურად სასარგებლოდ სცნო გემების მისადგომის მოწყობა სოხუმში. გემების მისადგომის აგება დაჯდება 400.000 მან. თანხებს ხარჯისათვის გაიღებენ ადგილობრივი ორგანიზაციები. გამოყოფილია სპეციალური კომისია საკითხის დეტალურად დასამუშავებლად.

გემების მისადგომის აგება დამთავრდება 2 წლის განმავლობაში. ამ მისადგომის აგების შემდეგ ზედნართი ხარჯები 17 კაპ-დან 5 კაპ-დე შემცირდება. (ადს).

თამბაქოს და ბზის გატანა

სოხუმი, 11 იანვარი. ამიერ - კავკასიის სახვაჭრობის სოხუმის კანტორა უკვე შეუდგა 50.000 ფუთის თამბაქოს ახალი მოსავლის მიღებას აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირისაგან. იმ „კრასნი ვოდნიკი"-ით ახალი გაგრიდან ბათომში გადატანილ იქნა 200.000 კილო თამბაქო. ბათომიდან ამიერ - კავკ. სახვაჭრობამ მარსელში გაგზავნა 2.000 ფუთი ბზა. (ადს).

წერილები

სწორეთ საბჭოთა არჩევნებზე

უკვე ბევრგან დაიწყო წინასწარი სამზადისი საბჭოთა არჩევნებისათვის. სდგება საარჩევნო კომისიები, აყენებენ ამომრჩეველთა სიებს, აღმასკომები ადგენენ საანგარიშო მოხსენებებს ხდება წინასწარი საარჩევნო კრებები პარტუჯრედების, ღარიბ გლეხების, თვით საბჭოების და სხვა. ამრიგათ სოფელი გაცხოველებით ემზადება არჩევნებისათვის. მალე დაიწყება არჩევნებიც.

ეს კამპანია იმდენად ღირსმნიშვნელოვანია სოფლის ცხოვრებაში, რომ მისი გვერდის ავლა გლეხ კორესპონდენტს არ შეუძლია. ჩვენი პრესა ერთი ძლიერი დამხმარეთაგანია საბჭოთა არჩევნების. რომ ეს საპასუხისმგებლო ამოცანა გაზეთმა ღირსეულად შეასრულოს, მას ეჭირვება ფართო მასის დახმარება და პირველ ყოვლისა მუშა და გლეხ კორესპონდენტების. გაზეთი უნდა გახდეს მიმდინარე საარჩევნო კამპანიის უტყუარი სარკე. ყველა ღირსშესანიშნავი დაბრკოლებანი თუ მიღწევები, რომელთაც ადგილი ექნება საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, უნდა ჰპოულობდეს თავის გამოხატულებას გაზეთის ფურცლებზე.

აქ გლეხ კორესპონდენტის როლი დაუფასებელია. ის ცოცხალი მოწმეა საარჩევნო კამპანიის თავის თემში თუ სოფელში. ის ამჩნევს ნაკლს და დადებით მხარეებს ამ კამპანიაში. მისი საზოგადოებრივი ვალია სწეროს ამის შესახებ გაზეთში.

საკითხები, რომელზედაც უნდა შეაჩეროს გლეხკორმა ყურადღება არჩევნების ჩატარების საქმეში საკმაოზე ბევრათ მეტია. ასეთია: ძველი საბჭოს მუშაობის შეფასება, საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და საქმიანობა, საარჩევნო ინსტრუქციის სისწორით ცხოვრებაში გატარება, პარტიის და კომკავშირის უჯრედის დამოკიდებულება არჩევნების საკითხისადმი, გლეხ ქალთა მონაწილეობა მიმდინარე კამპანიაში, ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა და მრავალი სხვა.

ყველა ეს საკითხები საარჩევნო კამპანიის საჭირბოროტო საკითხებია სოფლად. გლეხი კორესპონდენტები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრან მათ და ყოველი ღონე უნდა მიიღონ თავიანთ რაიონში მიმდინარე არჩევნების გასაშუქებლად. ჩვენ ველით მათ მძლავრ გამოძახილს ამ საკითხზე.

ა. ბ—ლი.

„ახალი ცხოვრება"

(დუშეთი)

ამ უკანასკნელ ხანებში ქ. დუშეთს გამოცოცხლება ეტყობა. განსაკუთრებით წინ წაიწია მან კულტურულად. აგერ ერთი თვე იქნება მას შემდეგ, რაც ადგილობრივ კომპარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „ახალი ცხოვრება". გაზეთის მიზანია დაუახლოვდეს გლეხობას და გასაგები ენით გააცნოს მას საჭირბოროტო საკითხები. გაზეთს ყავს თავისი კორესპონდენტები. ასე რომ გაზეთი მდიდარია წერილებით და გამოდის დაუბრკოლებლად.

შ. ლორთქიფანიძე.

ქურდებმა აგვიკლეს

(ს. თეკლათი, სენ. მ.)

თეკლათის თემში გახშირდა ოთხფეხი საქონლის ქურდობა. ამ ექვსი თვის განმავლობაში, ისე თვე არ გაივლის, რომ ოთხი ხუთი ცხენი ან ხარი არ დაიკარგოს. გლეხობა მოთმინებიდან გამოდის. შიშით ვერავინ ვერაფერს ვერ ბედავს, ეშინიათ შურისძიების. ქურდები რამდენჯერ იყო დაჭერილი მაზრის მილიციის მიერ, მაგრამ არ იქნა საშველი: დღეს თუ დაიჭირეს—მესამე დღეს გამოუშვებენ. რაშია საქმე? გლეხებში რაღაც ხმები დადის, თითქოს მილიციის ზოგიერთი მუშაკი ხელს აფარებს ქურდებს. საჭიროა ამის გამორკვევა.

სიმართლის მთქმელი.

წერილებიდან

ხაშური

ზამთარი გვშველის. წელს ჩვენდა ბედათ კარგი ზამთარი დაიჭირა. რომ ეს არა სკოლის ქუჩაზე კაცი უნავოთ ვერ გაივლიდა. რომ ამინდი შეიცვალოს, ზემო-ქალის მცხოვრებთ, რომელნიც ამ ქუჩით დადიან, წამების დღეები დაუდგებათ. წელიწადია გვპირდებიან ქუჩის მოკირწყვლას, მაგრამ დაპირებას დასასრული არ უჩანს.

წიწაკა.

ტყიბული

გარსევანს ნათესავები უყვარს. აქაურ სახელმწიფო ტყის მცველად არის ვინმე გარსევანა ბოქორიშვილი. დაცვის ნაცვლად ის ანადგურებს ტყეს. თავის ნათესავებს და მოყვრებს ტყეს უფასოდ ატანს და შემდეგ სხვებს აბრალებს ტყის გაჩეხვას. საჭიროა ამგვარ „მცველებისაგან" მალე გავანთავისუფლოთ სახელმწიფო ტყე.

ა. ყ.

ვაჭარა ფელეტონი

ეს ხომ ნაღდი დოშხალია,
დღეს სახუმროდ არ გვცალია!

„მილომას“-მა კერძო ვაჭრებს მიჰყიდა მაუდი და ბამბა.

ტყავტრესტმა გამოიტანა „გოსტორგი“-დან კემპეში 14 მან. ფუთი და გაუცვალა კერძო ვაჭარს ნედლეულში; ამ ვაჭარმა კი ფუთში 240 მანეთი აიღო.

„ვინსოიუზ“-მა თავის ღვინოებით ვაჭრობის მონოპოლია გადასცა ვინმე ბერიძეს და 20 პროცენტის დაკლებით აძლევდა ღვინოებს.

„ალმასკომში არის განყოფილება „ტუნი“. წინედ იქ ქაღალდი 34 ინსტანციას გადიოდა, ეხლა მოხდა რეორგანიზაცია და გადის 17 ინსტანციას.

(ამხ. მ. ქახიანის სიტყვიდან თბილისის პარტკონფერენციაზე).

დღეს მე მინდა შევასხა
ზოგ-ზოგს „დიფირამბები“,
„შევაქო“ და „ვადიდო“
უცნაური ამბები.
ზოგი თურმე „ჰკუით ვაჭრობს“,
ზოგიც „ანალიზებს“ აცხობს,
მოდი, ნუ გაცხარდები.

თბილისშია ტრესტები,
მათ „შექებას“ ვეცდები,
ზოგს ტყავი აქვს, ზოგს ღვინო,
ზოგსაც კიდევ...—ქესტები.
ზოგი თურმე „ჰკუით ვაჭრობს“,
ზოგი „დოლოვორებს“ აცხობს,
მოდი, ნუ გაცხარდები!

„მილომას“-ი ტრესტია,
იგი ვაჭრობს,—წესია,
საპონ-ზეთის ქარხნებში
მაუდი უთესია!
ვაჭრობს ტრესტი მაუდითა,
ზეთ-საპონი „დაეჩითა“,
ფიქრობს: უკეთესია.

„ტყავტრესტი“ გვყავს რიგშია,
ვაჟკაცია „რისკშია!“
„გოსტორგ“-ს ართმევს „კემპეშებს“,—
კერძოს მიაფეშკეშებს.
კერძო აძლევს თოთხმეტს ფუთში,
იღებს იქვე ორასს—წუთში,
ტყავტრესტს ვინ ანუგეშებს?

ალმასკომში „ტუნია“
არვის დაუწუნია,
თუმცა საქმის ქაღალდებს
ცუდი უდით სუნია!

ინსტანცია ოცდაათი,
წესი არის და ადათი,
აბა რიღას „ტუნია“?!

პედაგოგი ბრიყვაძე,
პროფესორი მიყვა ზედ,
მოწაფეთა ანკეტებს
თავის დასკვნებს უკეთებს:
„რუსულით არ ვარგაო,
ბავშვებიო გამწარდაო“,
ადგენს ასეთ „ბუკეტებს“,

პედაგოგი ამგვარი,—
პროფესორი „ჩამწვარი“
უნდა დავაჯილდოვოთ,—
შევაქამოთ „ნამცხვარი“.
რათ გვინდათ, რომ გავამხილოთ,
თხოვნა რისთვის გავაწბილოთ,
იგი არის რა გვარი?

„ვინსოიუზიც“ ყოფილა
(არც ის გამოყოფილა)
ბითუმი და ნისია,
რაც მისია,—სხვისია!
„მონოპოლნი“ „პრავა“ გასცა,—
თავის ღვინო სხვას გადასცა,
„ვინსოიუზ“ ვისია?

მოვრჩით დიფირამბები,—
უცნაური ამბები!
მართლაც უცნაურია,
თუ დაუგდეთ ყურია.
ზოგი თურმე „ჰკუით ვაჭრობს“,
ზოგიც „დოლოვორებს“ აცხობს,
ეხ, ეგ სადაურია?!.

ხოზიკა.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

ციკლონი შავი ზღვიდან

გუშინ შავი-ზღვიდან დაიძრა აღმოსავლეთის ძლიერი ციკლონი, რომელმაც მთელი დღე-ღამის განმავლობაში 10 მილიმეტრით შეამცირა ატმოსფერის დაწოლა. ციკლონი მოზარდი ხასიათისაა. ამის გამო, გუშინ სურამის უღელტეხილამდე ადგილი ჰქონდა ძლიერ ქარს. აღმოსავლეთ საქართველოში ქარის მიმართულებამ შედარებით მაღლა აიწია, გუშინ ქარის ძალა რაიონში 17 მეტრს აღწევდა. მოსალოდნელია ქარის სიძლიერის ზრდა. გუშინ დიდი ქარი მძვინვარებდა ბაქოს რაიონში და კასპიის ზღვაზე.

თოვლი საქართველოსა და სომხეთში თანდათან დნება. ჰავა მშრალია. ბაქოს რაიონში ადგილი ჰქონდა წვიმებს.

თბილისში

გუშინ დილით ტემპერატურა 0 გრადუსს აღწევდა. ღრუბლიანი დღე იყო. შემჩნეულია ტემპერატურის აწევა. ჰავა მშრალია.

ბათომში

მინიმალური ტემპერატურა +6 გრადუსს აღწევდა. ქრის მცირე ძალის ქარი. ზღვაზე ღელვაა. გუშინ ხანგამოშვებით წვიმდა.

ფოთში

გუშინ მინიმალური ტემპერატურა +5 გრადუსს უდრიდა. ქრის ძლიერი ქარი, რომლის ძალა 17 მეტრს აღწევს წამში. ქარი თანდათან ძლიერდება. გუშინ საღამოს მისი ძალა 20 მეტრს აღწევდა. ზღვაზე ღელვაა. ღელვაა პალიასტომის ტბაზედაც. მდ. რიონის მიდამოებში ქარის ძალა თანდათან მატულობს. ტემპერატურა უცვლელი რჩება.

ქუთაისში

მინიმალური ტემპერატურა +4 გრადუსია. მდ. რიონი თანდათან მატულობს. ქრის ქარი. ტემპერატურის ცვლილება არაა მოსალოდნელი. ჰავა მშრალია. გუშინ მზიანი დღე იყო.

სამტრედიაში

გუშინ მინიმალური ტემპერატურა +4 გრადუსს აღწევდა. ქრის ძლიერი ქარი.

სურამის უღელტეხილზე

გუშინ მინიმალური ტემპერატურა —1 გრადუსს აღწევდა. უღელტეხილზე თოვლის სისქე 20 სანტიმეტრს უდრის. გუშინ ქროდა ძლიერი ქარი. ჰაერი მშრალია. დღე ღრუბლიანი.

გორში

გუშინ მინიმალური ტემპერატურა +1 გრადუსი იყო. ქრის ქარი. ღრუბლიანი დღეა. თოვლი სწრაფად დნება.

ჭიათურა

9 და 10 იანვარს ჭიათურის რაიონში ადგილი ჰქონდა წვიმებს. მთებიდან დაშვებულმა ნიაღვრებმა გააფუჭეს გზა. გუშინდლისათვის გზა სავსებით გაიწმინდა. ქროდა საშუალო ძალის ქარი.

განჯაში

მინიმალური ტემპარატუოა —2 გრადუსია. ტემპერატურა თვალსაჩინოდ იწევს. ჰავა თბება. გუშინ ღრუბლიანი დღე იყო. ქრის საშუალო ძალის ქარი.

ბაქოში

გუშინ დილით ტემპერატურა —3 გრადუსს უდრიდა. საღამოს იგი 0 გრადუსს აღწევდა. ბაქოში და მის რაიონში ადგილი აქვს წვიმებს. ქრის ძლიერი ქარი, რომელიც თანდათან იზრდება. კასპიის ზღვაზე ძლიერი ღელვაა.

ლენინაკანში

თოვლის დნობა გრძელდება. გუშინ მინიმალური ტემპერატურა —7 გრადუსი იყო. ქრის საშუალო ძალის ქარი. ჰავა მშრალია. დღე ღრუბლიანი.

ჯაჯურის უღელტეხილზე

მინიმალური ტემპერატურა გუშინ —8 გრადუსს აღწევდა. ქრის ძლიერი სამხრეთის ქარი. თოვლი სწრაფად დნება, რის გამო მოსალოდნელია წყალდიდობა.

ყრილობები

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-12 ყრილობა

მესამე და მეოთხე სხდომა.

ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობის მესამე და მეოთხე სხდომაზე სწარმოებდა კამათი ცეკავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო 30 რწმუნებულმა. ოპონენტები უმთავრესად ეხებოდენ საკომისიო განყოფილების მუშაობას, იმის დანიშნულებასა და ფუნქციებს. უმრავლესობის აზრით, საკომისიო განყოფილება ვერ ასრულებს იმ როლს, რომელიც მას დაკისრებული აქვს გამგეობიდან. მის ამოცანას წარმოადგენს კოოპერატიულ ორგანიზაციებს შეურჩიოს და თავის დროზე მიაწოდოს შეკვეთილი საქონელი. ორატორთა დასკვნით, საკომისიო განყოფილების მუშაობა ამ მხრით მოისუსტებს. პრინციპიალურად ყველა ოპონენტთაგანი საჭიროდ სცნობს საკომისიო განყოფილების დატოვებას, მაგრამ მისი მუშაობის გაუმჯობესების და გაცხოველების მიზნით, მათ აუცილებლად მიაჩნიათ მსხვილ კოოპერატივების და კოოპერატიულ რაიონების წარმომადგენელთა შეყვანა. ოპონენტები ეხებოდენ აგრეთვე მომხსენებლის მიერ აღძრულ სხვა საკითხსაც, მაგალითად, საპაიო ანაბარების შეგროვების საკითხს; და საჭიროდ სცნობდენ გამომუშავებულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებები ამჟამად არსებულ საპაიო დავალიანების დასაფარავად.

მომხსენებლის მიერ საპასუხო სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ყრილობას ერთხმად გამოაქვს დადგენილება, რომელიც ცეკავშირის გამგეობის მუშაობას სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნობს.

რეზოლიუციის გამოსამუშავებლად, სადაც შეტანილი უნდა იქნეს რწმუნებულთა მიერ დასახული ღონისძიებები, არჩეული იქნა კომისია, რომელშიაც შედის ყრილობის პრეზიდიუმი მთლიანად, გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ტოროშელიძე და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ერქომაიშვილი.

მეხუთე სხდომა

11 იანვრის საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა საბჭოთა რუსეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრის წარმომადგენლის ამხ. ტიშჩენკოს მოხსენება.

„ცენტროსოიუზი“-ს მდგომარეობის შესახებ

ამხ. ტიშჩენკო, უკეთებს რა მოკლე მიმოხილვას „ცენტროსოიუზ“-ის საქმიანობას ამ უკანასკნელ წლ. განმავლობაში ამბობს, რომ ამჟამად „ცენტროსოიუზ“-ში შემავალი კოოპერატიული ორგანიზაციები აერთიანებენ მთელი სოფლის მოსახლეობის 30—33 პროც., ქალაქის მოსახლეობის—40 პროც., პროფკავშირების წევრთა საერთო რაოდენობის—60 პროც. ამავე კოოპერატ. ორგანიზაციების წევრთა საშუალო საპაიო ანაბარი სოფლად უდრის 3 მან. 20 კაპიკს, ქალაქში—4 მან. 54 კაპიკს და სატარან სპორტო კოოპერაციაში—6 მანეთზე მეტს. სასოფლო ქსელში საქონელზე დანარიცხი შეადგენს—14,6 პროც., საქალაქო ქსელში—14,5 პროც. „ცენტროსოიუზ“-ის ბალანსი 1925 წლისათვის უდრიდა 162 მილიონ მანეთს. ქალთა მონაწილეობა კოოპერაციაში უმნიშვნელოა (იგი უდრის—12 პროც.) თუმცა ერთიორად სჭარბობს ქალთა მონაწილეობა საქართველოს კოოპერაციაში, (სადაც 6 პროც.). სუსტია, თუმცა ქალებთან შედარებით უფრო საგრძნობია, ახალგაზრდობის მონაწილეობა კოოპერაციაში. თავის საქონლის ნახევარზე მეტს საბჭოთა კავშირის კოოპერატივები ასაღებენ ბაიშრიკებზე, თუმცა თავის წევრთა ბიუჯეტი მას სავსებით დაპყრობილი აქვთ. მთელი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვაში საბჭოთა რუსეთის სამომხმარებლო კოოპერაციის მონაწილეობა უდრის 78 პროც. შემდეგ მომხსენებელი ყრილობას აცნობს „ცენტროსოიუზ“-ის უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილებებს და „ცენტროსოიუზ“-ს მიერ სახელმწიფო მრეწველობასთან დადებულ [illegible] შეკრულებათა შინაარს.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ორატორები აღნიშნავდენ რა „ცენტროსოიუზი“-ს ნაყოფიერ მუშაობას, საჭიროდ სცნობდენ, რომ „ცენტროსოიუზ“-მა მოაწესრიგოს მასში შემავალ კოოპერატიულ ცენტრებისათვის მანუფაქტურის მიწოდების საქმე, რომელსაც მათი დასკვნით, მან ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ხელოვნების მუშაკთა მე-7 ყრილობა

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე გაიხსნა კამათი კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ მოსმენილ მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო: ამხ. **როზანოვმა, ერზინკიანმა, სარაჯიშვილმა, სუპატაშვილმა, სურხკიმ, არაქელოვმა, მახნიაშვილმა, ხორავამ დიასამიძემ** და სხვებმა.

ორატორები იწონებენ გამგეობის მიერ ჩატარებულ მუშაობას და აღნიშნავენ, რომ არსებულ პირობებში ცენტრ. გამგეობას ვერ მოესთხოვებოდა მეტის გაკეთებას, ვინაიდან ის, რაც გაკეთდა უნდა ჩაითვალოს მაქსიმუმად.

მეოთხე სხდომა

მეოთხე, საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მთავარ სახელოვნო განყოფილების თავმჯდომარის ამხ. **შ. დუდუჩავას** მოხსენება მთ. ხელოვნების განყოფილების მუშაობა - საქმიანობის შესახებ.

თავის მოხსენების პირველ ნაწილში ორატორი განმარტავს ხელოვნების მთავარ განყოფილების სტრუქტურას და აღნიშნავს, რომ ამ სტრუქტურაზე და ორგანიზაციულ წყობაზე ბევრათ იყო დამოკიდებული ჩვენში სახელოვნო პოლიტიკის შესაფერი წარმოება.

ორატორის აზრით, თანამედროვე პერიოდში უმთავრესი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული ახალი ყოფა - ცხოვრების პირობებში ადამიანის აღზრდას. ამ მხრივ კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თეატრს. თეატრის გასამარჯვებლათ კი საჭიროა აუდიტორიის შესწავლა და ამასთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხების ჯეროვანათ გადაწყვეტა, როგორც მაგალ. რეპერტუარი, სახეთი ხელოვნების ფორმები და სხვ. მთელი ამ მუშაობის სახელმძღვანელოთ მოწოდებულია ხელოვნების მთავარი განყოფილება.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ცალკე დაწესებულებების მუშაობას, როგორიცაა — სამხატვრო აკადემია, სახელმწიფო ოპერა, აკად. დრამა და სხვ. სამხატვრო აკადემიის შესახებ ორატორი შენიშნავს, რომ საჭიროა აკადემიაში მეცადინეობა მოეწყოს წარმოებითი პრინციპის ნიადაგზე. ეს გარემოება, მისი აზრით, ნაკარნახევია აგრეთვე მხატვრობის კრიზისით, რომელიც გამოიხატება, უმთავრესად, თემატიური ხასიათის მასალის კრიზისში; ფორმალურ დარგში კი ჩვენს მხატვრობას აქვს ღირსშესანიშნავი მიღწევები.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ განყოფილებას განზრახვა აქვს სეზონის დასრულების შემდეგ მოაწყოს აკადემ. დრამის გასტროლები რუსეთში ქართული სათეატრო ხელოვნების პოპულიარიზაციის მიზნით.

დასასრულ მომხსენებელი ეხება თბილისში არსებულ წითელ თეატრს, რომელიც შემდეგ მუშათა თეატრად გადაკეთდა და ვრცლად განმარტავს მუშათა თეატრის პრინციპებს და იმ ზომებს, რომელიც მიიღო ხელოვნების განყოფილებამ მუშათა თეატრის საქმიანობის გასაუმჯობესებლათ.

მოხსენების დასრულების შემდეგ ყრილობა დაიხურა და კამათი გადაიდო შემდეგისათვის.

სას.-სამ. საცდელ-საჩვენებელ დაწესებულ. თათბირი

დღეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სას. სამეურნეო მუზეუმში გაიხსნება რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ხასიათის საცდელ დაწესებულებათა თათბირი.

თათბირზე მოწვეული არიან წარმომადგენლები ყველა მაზრებიდან და ავტონომიური ერთეულებიდან.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: საცდელ დაწესებულებათა მომავალი სამუშაო პროგრამა და მათი საორგანიზაციო გეგმა, საცდელ დაწესებულებათა მუშაობის ანგარიში, დამოკიდებულება ადგილობრივ აკავშირო და უცხოეთის საცდელ დაწესებულებებს შორის, საცდელ დაწესებულებათა კავშირი აგროდახმარებასთან მოსახლეობასთან, სკოლებთან და კოოპერაციასთან, სათანადო მუშაკების მომზადება პროვინციებში საცდელი საქმის სახელმძღვანელო და სხ.

19 იანვარს მიწათმოქმედების კომისარიატის ინიციატივითვე მოწვეული არის რესპუბლიკის მევენახეობა-მეღვინეობის დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

„ქველმოქმედებითი“ მფლანგველობის წინააღმდეგ

მფლანგველობას უკვე საკმაოთ შეაჩვია ყური მკითხველმა. გასაკვირი და გასაოცარი აქ იშვიათად თუ რამე ხდება. მაგრამ არის მფლანგველობის ერთი სახე, რომელზედაც იშვიათად თუ დასმულა საკითხი ჩვენს გაზეთებში. ესაა მფლანგველობა კეთილმოქმედების საფარველ ქვეშ.

ბევრი გულუბრყვილო წამოგებია ასეთი სახის კეთილმომქმედების ანკესზე. განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ამნაირ შემთხვევებს სოფლად. მიზანი სიტყვით მშვენიერია: დახმარება სამკითხველოს, სკოლას, თეატრს, უპატრონო ბავშვებს და სხვა, არსებითად კი ეს ზოგჯერ არის „დახმარება“ ერთი ან რამოდენიმე გაიძვერას ჯიბის, რომელიც მოხერხებულ სპეკულიაციას ეწევა მშრომელი მოსახლეობის საზოგადოებრივ თვითშეგნებაზე და გულშემატკივრობაზე.

რატომ ხდება ყოველივე ეს? იმიტომ, რომ სხვადასხვა სახის შეწირულებების შეგროვება, ალეგრა-საღამოების გამართვა, წარმოდგენების მოწყობა და სხვა ხშირად ხდება ყოველივე ორგანიზაციის გარეშე. ამ საქმეს იწყებს შემთხვევითი პირები. ადგილობრივ პასუხისმგებელ ორგანიზაციებმა, თუმცა იციან, რომ საქველმოქმედო მიზნით ხდება შეწირულების შეგროვება, მაგრამ ან იმიტომ, რომ ასეთ საქმეში ჩარევა თავის მოვალეობის გადაჭარბებათ მიაჩნიათ ანდა იმიტომ, რომ საამისოთ ზოგჯერ დროც არა აქვთ, ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

საჭიროა ამ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. ამისათვის პირველყოვლისა საჭიროა, რომ ადგილობრივი პარტიული და ხელისუფლების ორგანიზაციები ენერგიულად ჩაერიონ ყოველგვარ საქმეში, რომლის მეთაურებსაც მიზნათ ექნებათ დასახული მოსახლეობაში ფულის შეკრება „საქველმოქმედო“ განზრახვით. გამოცდილებით ვიცით, რომ იქ, სადაც ორგანიზაცია ჩარეულა ასეთ საქმეში გაფლანგვას და მშრომელი მოსახლეობის ნდობის მოტყუებას ნაკლებად ჰქონდა ადგილი.

ამრიგად, ვიმეორებთ, ერთად-ერთი საშუალება „საქველმოქმედო“ მფლანგველობის წინააღმდეგ არის ორგანიზაციის მტკიცე ხელი. ეს უნდა ახსოვდეს ჩვენს ძირითად პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

მივხედოთ რიყეს

(ს. რიყე, ზუგდ. მაზრა)

სოფელი რიყე ერთ დროს ძალიან კოპწია თემი იყო. მისი შუაგულში ამართული სკოლის ეზოდან ისმოდა მოწაფეთა ჟივილ - ხივილი, ხოლო თემალმასკომში, კოოპერატივში, გლეხკომში და სამკითხველოში იყო მოძრაობა, გაჩაღებული მუშაობა.

სულ სხვა სურათია ეხლა:

ქოხ-სამკითხველო ბდოე დაიკეტა. მას მოჰყვა გლეხკომი. არც კოოპერატივს ეყრება ხეიო. ისიც რაღაც თვალში ეჩხირებათ და მისი 600 მანეთად შენაძენ ფურნეს გაყიდვას უპირებენ.

ყველაზე სამწუხაროა სკოლის საქმე. შარშანწინ სკოლის შენობა უვარგისობისათვის დაიხურა და მოწაფეები მოთავსებულ იქნენ ნაქირავებ სახლებში. თემმა განიზრახა სკოლის შენობის აგება. სხვადასხვა საშუალებით შეძენილ იქნა 15 ათასამდე აგური, 1.600 არშინი სამგოჯიანი და 3.000 არშინი ერთნახევარ გოჯიანი „რეიკები“; ზუგდიდის სამაზრო ალმასკომმა სკოლის ასაშენებლად თემს აჩუქა 1.400 კუბ. ფუტი ფიჭვის ხეები, რაც მასალებად დახერხილ იქნა. ყველა ეს მასალები, ღირებული 4—5 ათასი მანეთად. მიწაზე ჰყრია. მეტი ნაწილი მინდვრად, ხოლო დანარჩენი კი შეყრილია შენობების იატაკ ქვეშ; ორი წელიწადია, რაც ასეთ მდგომარეობაშია ეს საქონელი, ლპება, ოხრდება, იკარგება. არავინ პატრონობს, არც თემი, არც ალმასკომი და არც საამშენებლო კომისია.

შეკრებილი ფული 200 მანეთზე მეტი, გაიფლანგა. სკოლის აშენებას არავინ დაეძებს და ამდენი ქონებაც იკარგება.

რამდენ ხანს უნდა მოათავსონ რიყელებმა მათი შვილები ნაქირავებ სახლებში?

რიყელი.

რა უშლის ხელს კოოპერატივს

(ცაიშის თემი, ზუგდიდის მაზრა)

გლეხები დღე-მუდამ ამას წუწუნებენ და უსაყვედურებენ კოოპერატივის გამგეს, რათა მან იღონოს და გაისარჯოს მაზრის „ემოსი“-დან საქონლის ბლომად დროზე მოტანისათვის.

ჩამოტანილ საქონელსაც გლეხობა ხეირიანად ვერ ღებულობს. კოოპერატივის საწევრო წიგნაკები აქვთ კულაკებს, და ჩარჩსპეკულიანტებს. მათ უზომოთ გააქვთ კოოპერატივიდან ფართალი და საჭირო საგნები.

გარდა ამისა ყველა ისინი, რომელთაც არა აქვთ შეტანილი კოოპერატივში სრული პაი, ღებულობენ საქონელს, როგორც სრულ პაიანები.

არიან კიდევ კოოპერატივში ისეთი წევრები, რომელთაც საკუთარი წიგნაკებით გამოაქვთ საქონელი არა წევრთათვის, რითაც კოოპერატივის არსებობას ძირს უთხრიან. თვითეული შეგნებული მოქალაქე ვალდებულია თვალყური ადევნოს ასეთებს და მოუწოდოს მათ გამოსწორებისაკენ.

ღიმი.

ვინაა ასეთების ამლაგმველი?

(ნაფიჩხოვო, ზუგდიდის მაზრა)

1926 წლის სამოსწავლო ხნის განმავლობაში ჩვენი თემი აგროვებდა სამკითხველოს სასარგებლოდ დახმარებას. მოგროვილი თანხა ორ მასწავლებელს მიაბარეს.

ვინ იცის სად არის დღეს ეს ფულები? გაქრა როგორც შარშანდელი თოვლი. შეიძლება სარგებლში აქვს ვინმე ვაჭარს. ამის გამოკვლევა აუცილებლად საჭიროა.

ვფიქრობრით, ასეთებს თემის აღმასკომის თავმჯდომარე მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ ვხედავთ ის სდუმს, როგორც პირში წყალდაგუბებული.

იქნებ მაზრის ცენტრში მაინც გამოჩნდეს ისეთი ვინმე, ვინც ამ არანორმალურ მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევს.

ენა ჭიჭერე.

შაქარი

შაქრის ტრესტის თბილისს განყოფილების ცნობებით, მიმდინარე საოპერაციო წლის დასაწყისში ოსმალეთში გასაღებული იქნა 300.000 ფუთი შაქარი. აჟამად მოლაპარაკება სწარმოობს კიდევ 1.500.000 ფუთის გასაღების შესახებ.

ფართოდ ვითარდება საექსპორტო ოპერაციები სპარსეთთან.

თბილისის განყოფილების მიერ სპარსეთში უკვე გაყიდულია 50.000 ფუთი შაქარი.

რაც შეეხება შაქრის შემოტანას ამიერ კავკასიაში, წელს ამიერ - კავკასიის რესპუბლიკები სავსებით უზრუნველყოფილი იქნებიან შაქრით.

1926—27 წლის განმავლობაში ამიერ - კავკასიაში შემოტანილი იქნება 2.000.000 ფუთი შაქარი; აქედან საქართველოში — 800.000 ფუთი, სომხეთში --300.000 ფუთი და აზერბეიჯანში—900.000 ფუთი.

საბჭოთა მამულები

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, რომ ტრესტებში გაერთიანებული ყველა საბჭოთა მამულებში მიწათმოწყობა სავსებით დაამთავროს არა უგვიანეს მიმდინარე წლის ივნისისა. მასვე დაავალა, რომ დაჩქარებით შედგენილ იქნას საბჭოთა მამულების ტრესტისა და მასში შემავალ მამულების განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა.

აგროპროპაგანდა

მიწათ-მოქმედების კომისარიატი უკანასკნელი ხნის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აგრონომიული პროპაგანდის დაყენების საქმეს.

აგრო-პროპაგანდის მიზნით წარსული წლის განმავლობაში გამრავლებული იყო აგროპუნქტების რიცხვი 38-დან 51-მდე.

სულ წლის განმავლობაში მოწყობილ აგროსაუბრებს დასწრებია 67.715 კაცი, ლექციებს—22.363, სხვადასხვა ხასიათის მოკლევადიანი კურსები გაუვლია 1.399 კაცს.

აგროპროპაგანდას სოფლებში ხელმძღვანელობდენ უმთავრესად ადგილებზე გახსნილი აგრონომიული პუნქტების მუშაკები.

მეთამბაქოება

გასულ წელს ახალციხის მაზრაში საცდელად გაშენებულ იქნა თამბაქოს პლანტაციები, რომელთაც ფრიად დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღეს. ამ პლანტაციებში წელს მოყვანილი იქნა სულ 5.000 ფუთი ხმელი თამბაქო. ამ ცდის მიხედვით სპეციალისტებს გამოაქვთ დასკვნა, რომ ახალციხის მაზრის ნიადაგის და ჰავის პირობები სავსებით გამოსადეგია თამბაქოს მეურნეობისათვის.

აჭარის წარმოკავშირს გადაწყვეტილი აქვს გააშენოს თამბაქოს სანიმუშო პლანტაციები, რის შესახებაც სათანადო შუამდგომლობა აღძრა აჭ. მიწათმოქმედების კომისარიატის წინაშე. ამ უკანასკნელმა დაადგინა, აჭ. წარმოკავშირს თამბაქოს პლანტაციების გასაშენებლად გადასცეს 25 დესეტინა საუკეთესო მიწა კახაბერის რაიონში. მიმდინარე წლის გაზაფხულიდან აჭ. წარმოკავშირი შეუდგება მუშაობას ამ მიდამოებში თამბაქოს პლანტაციების გასაშენებლად.

ხანძარი ტყიბულში

სათბობის განყოფილებაში მიღებულ იქნა ცნობა, რომ ტყიბულის მაღაროებში გაჩენილ ცეცხლის ადგილის ხანძარი გაძლიერდა და მიედევა ზედაფენებსაც.

ცნობის მიღებისთანავე ტყიბულში გაემგზავრა ინჟ. ყიფიანი, რომელმაც მოახდინა ადგილობრივ ხანძრის შემოწმება და სცნო, რომ მდგომარეობა საფრთხო არ არის. ინჟ. ყიფიანის ცნობით ხანძარი გაძლიერებულია ძველ ადგილას.

ხანძრის ადგილის იზოლიაცია მეტად მტკიცეთაა გაკეთებული და ხანძარს არ შეუძლია გადედოს სხვა ფენებს.

წარმოებების გამოკვლევა

შრომის სახ. კომისარიატმა მოახდინა საქართველოს მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკების წარმოებების გამოკვლევა.

დათვალიერებულ და გამოკვლეულ იქნა აბრეშუმის სახვევ-სართავი ქარხანა ოზურგეთში, ჩაის პლანტაცია და ჩაის ფაბრიკა აჭარისტანში. აგრეთვე გამოკვლეული იქნა ნავთის სინდიკატის წარმოებები, თამბაქოს ქარხანა და სტამბა.

ფოთში დათვალიერებულ იქნა ფოთის ნავთსადგურის მთავარი სახელოსნო, მექანიკური ქარხანა და ყულევის ხე-ტყის სახერხი ქარხანა. აფხაზეთში გამოკვლეულია თამბაქოს ქარხანა, ავტო-სახელოსნო, გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა და სხვა.

ავიო-ლატარია

გუშინ ავიაქიმის თბილისის საბჭომ გაჰყიდა ავიო-ლატარიის 7.000 ბილეთი (3.500 მანეთის).

ამიერ-კავკასიისათვის მიღებულ ბილეთებიდან საქართველოს ავიაქიმს მიეცემა 40.000 ბილეთი; ამ რაოდენობიდან 50 პროც., გადადებულია თბილისისათვის.

ორი დღის განმავლობაში იმ რაოდენობიდან, რომელიც გადადებულია თბილისისათვის, გასაღებული იქნა 35 პროც., უმთავრესად, მუშებსა და მოსამსახურეებს შორის. საშუალოდ თვითეული მუშა-მოსამსახურე ყიდულობს 3—5 ბილეთს.

ავია-ლატარიის ბილეთები გუშინ მიიღო აგრეთვე სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებამ, რომელიც უკვე შეუდგა მათ გაყიდვას. გუშინდელი დღის განმავლობაში გასაღებული იქნა ბილეთების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

ტელეფონიზაცია

საკითხი სატელეფონო ხაზის გაყვანის შესახებ თბილის-ბათომს შუა უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია. მუშაობა ხაზის გასაყვანად დაიწყება მიმდინარე წლის გაზაფხულიდან. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს საბჭოთა კავშირის ქარხნებიდან გამოწერილი აქვს ბრინჯაო და სხვა სატელეფონო მასალა. ამ მოკლე ხანში დაიწყება სატელეფონო ხაზისათვის 7.839 ბოძის დამზადება, რისთვისაც გადადებულია 126.420 მანეთი. თბილის-ბათომის სატელეფონო ხაზის გაყვანას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მიმდინარე წელს დამთავრდება აგრეთვე ლენინგრად-თბილისის ზემაგისტრალის გაყვანა. ამგვარად დასავლეთ საქართველოს კუთხეებს და აჭარისტანს საშუალება ეძლევათ მუდმივი უშუალო სატელეფონო კავშირი იქონიონ თბილის-მოსკოვ-ბაქოსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებთან.

„ზაკპოგრუზ“

იმ მიზნით, რომ ამიერ-კავკასიის დატვირთვა-გადმოტვირთვის საქციო საზ-ბას მიეცეს თავისუფალი თანხები და აგრეთვე გამოყოფილი იქნეს კაპიტალი სახელმწიფო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა „ზაკპოგრუზ“-ის საააქციონერო კაპიტალი განისაზღვროს 200.000 მანეთით. თვითეული აქციის ღირებულება განსაზღვრულია 1.000 მანეთით.

„ზაკპოგრუზ“-ის საქციონერო კაპიტალის აქციები განაწილებულია ამიერ-კავკასიის თერთმეტ სამეურნეო-სატრანსპორტო და საექსპორტო-საიმპორტო ორგანიზაციებს შორის.

„ზაკპოგრუზ“-ის დამაარსებელთა სიაში შეტანილია: საბჭოთა სავაჭრო ფლოტი, აზერბეიჯანის ნავთით ვაჭრობის სამმართველო, ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამართველო, ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, კასპიის ზღვის ფლოტის სამმართველო და აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭო.

საჩუქარი საქართველოს მთავრობას

მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: საქართველოს ინდუსტრიალიზაციისათვის ხელის შეწყობის მიზნით უსასყიდლოთ გადასცეს საქ. რესპუბლიკის მთავრობას მოწყობილობა **ბილიონისეული** აბრეშუმის საღებავი ფაბრიკისა, რომელიც სადგ. ნახაბინოში მდებარეობს.

ბილიონისეული ფაბრიკა რევოლიუციამდე ამუშავებდა საქართველოს აბრეშუმის ნედლეულს და ამიტომ სავსებით გამოსაყენებელი და გამოსადეგია საქართველოს მეურნეობის ამ დარგის საინდუსტრიალიზაციოთ.

მომგებიანი სესხი

მეორე საგლეხო. სესხი

მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციების გაყიდვა თბილისში წარმატებით მიმდინარეობს. ინტერესი სესხისადმი ძლიერდება პროვინციაშიც.

8 იანვარს სახელმწიფო ბანკის მიერ ბათომში გადაგზავნილი იქნა 5.000 მანეთის ობლიგაციები, რომლებიც გასაღებული იქნა. გუშინ სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილებამ დამატებით მოითხოვა კიდევ 15.000 მანეთის ობლიგაციები, რომლებიც გუშინვე იქნა გადაგზავნილი.

სესხის ტირაჟი დაიწყება 20 იანვარს და ჩატარდება მოსკოვის მაზრის სხვადასხვა ქალაქებში.

სულ გათამაშებული იქნება 32.810 ობლიგაცია 1.250.000 მანეთის. ყველაზე დიდი მოგებაა 5.000 მანეთი (10 ბილეთი), შემდეგ—1.000 მანეთი—50 ბილეთი და 500 მანეთი—250 ბილეთი.

1905 წლის რევოლიუციის აღსანიშნავად

თბილისის აღმასკომი ამზადებს მარმარილოს დაფებს, რომლებიც გაიკვრება 1905 წლის რევოლიუციის დროს დაზიანებულ სახლებზე. დაფები დამზადებული იქნება ორი სხვადასხვა ხასიათის წარწერებით.

პირველ დაფაზე, რომელიც გაიკვრება დიდუბეში, წარწერილი იქნება: „1905 წლის რევოლიუციის დროს ეს სახლი დაანგრიეს მეფის ჯალათებმა არტილერიის ცეცხლით, რასაც შედეგათ მოჰყვა პირველი ადამიანის მსხვერპლი“.

მეორე დაფაზე:

„1905 წლის რევოლიუციის დროს ეს სახლი, შიგ მყოფ ადამიანებით დასწვეს მეფის ჯალათებმა“.

ტრამვაის ახალი ლიანდაგი

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ გამოიმუშავა ტრამვაის ახალი ლიანდაგის გაყვანის გეგმა, რომლის მიხედვით ტრამვაის ხაზი გაიყვანება სომხის ბაზრიდან ავლაბარში მეტეხის აღმართის მიმართულებით და მასზე ავლით. ეს ახალი ლიანდაგი შესაძლებლობას იძლევა მოძრაობისგან განტვირთული იქნეს ციციშვილის აღმართი.

ნავთსადგურ. გამოკვლევა

საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის ზღვაოსნობის ცენტრალურმა სამმართველომ გადასწყვიტა მიმდინარე იანვარში ჩაატაროს შავი ზღვის ნავთსადგურების გამოკვლევა. პირველ რიგში ჩატარდება ბათომის, ფოთისა და სოხუმის ნავთსადგურების გამოკვლევა. კომისია უკვე გამოემგზავრა მოსკოვიდან და ამ დღეებში ჩამოვა თბილისში. კომისიაში შედიან ზღვაოსნობის ცენტრალურ სამმართველოს ინსპექტორები ამხ. ამხ. სპალვინგი, ბრატნიკოვი, გარსევანოვი და ლარინი.

მეცხენეობა

ცხენსაშენის განყოფილებამ დაამუშავა გეგმა ადგილობრივი ჯიშის ცხენების გაუმჯობესებისა და თუშური ჯიშის ცხენების განსაახლებლად.

ცხენსაშენის განყოფილების ცნობით, რესპუბლიკაში დიდი სიმცირე არის ჯიშიანი ულაყების. ამიტომ ცხენსაშენის განყოფლებამ მიიღო ზომები ახალი გაუმჯობესებული აპარატების გამოსაწერად ცხენების ხელოვნურად გასანაყოფიერებლად. ასეთი აპარატები უკვე დაიგზავნა იმ ადგილებზე, სადაც აწარმოებენ ცხენების ჯიშების გაუმჯობესებას.

აპარატის საშუალებით, შესაძლებელი არის გადმონერგვა სასურველი ჯიშის ცხენის.

იმპორტი

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ პრინციპიალურად მიზანშეწონილად სცნო გენერალური ხელშეკრულების დადება ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკების ს.მ.უ. საბჭოებსა და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს შორის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობისა და საქონლის შემოტანის შესახებ საზღვარ-გარეთიდან.

ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკების ს.მ.უ. საბჭოებს და მათ ქვემდებარე ორგანიზაციებს ცალკე შემთხვევებში შეუძლიათ საიმპორტო მოწყობილობა შეიძინონ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გარეშეც, მაგრამ თვითეულ ასეთ შემთხვევაში საჭიროა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული დადგენილება.

მიწათმოწყობა

გორის მაზრაში მიწად-მოწყობა დაიწყო 1924 წელს. ამჟამად სამიწად-მომწყობო მუშაობა დასრულებულია სულ 89 სოფელში, რაც მაზრის ყველა დასახლებულ პუნქტების 18 პროცენტს შეადგენს. გასული სამეურნეო წლის განმავლობაში მიწათ-მოწყობა დამთავრდა 11 სოფელში: ახალსოფელში შავშებში, დიდ და პატარა ხურვალეთში, დედო წმინდაში, ნადარბაზევში, და ზემო-სობისში. ზემოხსენებულ სოფლებში სულ მოწყობილ იქნა 3.602 დესეტინა. მიწათ-მოწყობა შეეხო სულ 1.131 ოჯახს.

წელს სწარმოებდა აგრეთვე საძოვრების მოწყობა გუჯარეთის თემსა და თრიალეთის ქედის ფერდობებზე მდებარე საძოვრებში. სულ მოწყობილ იქნა 3.432 დესეტინა. ამჟამად გორის მაზრის მიწის მზომელნი მივლინებულნი არიან სამუშაოდ თბილისში.

მუშათა ცხოვრება

„კომუნისტი“-ს მუშკორთა მორიგი საერთო კრება შესდგება 19 იანვარს

დღის წესრიგის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

მტვირთველების მუშაობა ძალზე მძიმეა

შარშან ზაფხულში საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატმა მოახდინა გამოკვლევა შავი და კასპიის ზღვებზე მდებარე ნავთსადგურებისა. გამოკვლევის დროს აღმოჩნდა შემდეგი: ნავთსადგურები ცუდათ არის მოწყობილი ტვირთის გადასატანად. გადასატვირთო-გადმოსატვირთო საქმეში სუსტადაა გატარებული მექანიზაცია. მრავალ ადგილას არ არის უბრალო მოწყობილობაც კი, რომელიც გააადვილებს და დააჩქარებს მუშაობას. არაა საკმარისი მოძრავი კრანები, ვაგონეტკები, ტრაპები და სხვა. მტვირთველების მუშაობას თვალსაჩინოთ ართულებს სასწრაფო მუშაობა, მაგრამ უმთავრესია ტვირთის სხვადასხვაობა ტარაში, სივრცეში, წონაში და ნორმაში, ზომაზე მეტი ტვირთის სიმძიმის გამო მტვირთველი იჩაგრება ყველაზე მეტად და ცხრა წლის შემდეგ ინვალიდი ხდება.

მოსკოველმა ექიმმა ამხ. სესინმა მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ასეულ მტვირთველების ჯანმრთელობის გამოკვლევაში. აღმოჩნდა, რომ 45 პროცენტი მტვირთველებისა დაავადმყოფებული არიან „არტერიოსკლეროზი“-თ, რაც გამოწვეულია მძიმე ტვირთის გადატანით, თითქმის ყველა მტვირთველის ორგანიზმში შემჩნეულია ცვლილება ხერხემლის—ძვლის, ვენის ბარძაყის და სხ.

საშუალო ხანგრძლივობა მტვირთველ მუშაობისა უდრის ცხრა წელს, ამ ვადის გასვლის შემდეგ მტვირთველი ხდება ინვალიდი, რომელსაც არ შეუძლია ფიზიკური მუშაობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტვირთველს აქვს ერთი კვალიფიკაცია ფიზიკური შრომა, და ამუშავა თუ არა თავის განსაზღვრული დროს ის უკვე გამოუსადეგარია რაიმე სხვა სამუშაოზე.

ხშირად ხდება უბედური შემთხვევები—მტვირთველებში. სრულიად საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის ცნობის თანახმად, მტვირთველების დასახიჩრება თანდათანობით იზრდება.

საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატს აქვს დადგენილება, სადაც ნათქვამია 5 ფუთზე მეტი ტვირთის გატანის დროს მტვირთველის განკარგულებაში უნდა იყოს ტაჩკები, ვაგონეტკები და სხვა. მაგრამ ეს დადგენილება ხშირად მხოლოდ დარჩენილია ქაღალდზე, და მუშებს კი უხდება უბრალო წესით მუშაობა. ჩვენ არ გაგვაქვს ზურგით ტვირთი, რომელიც იწონებოდეს 5 ფუთზე ნაკლებს.

მტვირთველების შრომის შემსუბუქებისათვის საჭიროა გატარებულ იქმნას შემდეგი ღონისძიებანი:

1) მექანიზაციის გატარება.

2) აუცილებლად გატარებულ იქმნას ტვირთის ტარის სტანდარტიზაცია, ტომრებში არა უმეტეს ხუთი ფუთისა და ყუთში სამ-ოთხი ფუთისა. 3) ტვირთის წყობა უნდა ხდებოდეს ორ არშინის სიმაღლეზე, რის შემდეგ უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია დაიწყოს იმდენივე სიმაღლეზე ე. ი. არშინი სიმაღლეზე ძირიდგან, რომლის ზევით წყობა დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი. 4) საჭიროა გარკვევით დაღის დასმა. 5) აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გადატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეში გამოცდილი სტივადორი. 6) საჭიროა ტვირთის გადატანის დროს მანძილი, რომელიც ახლა არსებობს (30 საჟენი). შემცირებულ იქმნას 20 საჟენამდე. 7) აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო ადგილზე მოგებულ იქნას ფიცრის იატაკი ანუ ცემენტი. ამ ღონისძიების გატარება გამოიყვანს მტვირთველებს იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც ისინი დღეს იმყოფებიან.

ალ. ფრუიძე.

უნდა მივიღოთ ზომები

რომ ბინების უქონლობის გამო ჩვენი მუშა-მოსამსახურენი დიდ სივიწროვეს განიცდიან, ეს ყველასათვის ცნობილი ფაქტია. ზოგს სრულიად არ აქვს ბინა, ზოგი კი ერთ ოთახში 7—8 სულია მოკალათებული. ასეთ გაჭირვებულ ცხოვრებას მუშა-მოსამსახურენი კიდევ არაფრად ჩააგდებდენ, რომ ამას არ ერთვოდის სახლის მეპატრონეთა მხრიდან მათი შევიწროვება.

დღე არ გაივლის, რომ 10—15 წერილი არ მოგვივიდეს ამის შესახებ მუშა-მოსამსახურედან. „სახლის პატრონი გვაწუხებს, გვავიწროებს, გვლანძღავს, გვაგინებს,—სჩივიან ისინი. საქმე შემდეგშია. როგორც ცნობილია, მუშას და მოსამსახურეს საბჭოთა კანონით ნაკლები ხდება ბინის ქირა, ვიდრე კერძო მობინადრეს. მაგალითად ვაჭარს. რასაკვირველია, ეს არ მოსწონთ სახლის მეპატრონეებს, ისინ ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გადააგდონ მდგმური მუშა-მოსამსახურეები.

ამიტომ სახლის მეპატრონენი სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. ზოგი სახლს არ უკეთებს, ზოგი ძალითაც კი ანგრევს, რომ ამ გზით მოიშოროს მდგმური და შემდეგ კერძო მდგმურზე გააქირაოს. ზოგი ლანძღვა-გინებითა და შევიწროვებით ლამობს თავი მოაძულოს მდგმურს და გააგდოს. ამან ამ ბოლო დროს სისტემატიური ხასიათი მიიღო, ისედაც შევიწროვებული მუშა-მოსამსახურენი, კიდევ მეტ შევიწროვებას განიცდიან.

ამ გარემოებას უსათუოდ ყურადღება უნდა მიექცეს. იმ სახლის მეპატრონეთა წინააღმდეგ, რომელნიც არ ემორჩილებიან საბჭოთა კანონებს და რომელთაც სურთ შევიწროებითა, ლანძღვა-გინებით, ჩხუბითა და ჟღალმაყალით ისეთი მდგომარეობა შეუქმნან მუშას და მოსამსახურეს, რომ ისინი ძალაუნებურად გააძევონ ბინიდან—ასეთი სახლის მეპატრონეთა წინააღმდეგ უსათუოდ უნდა მივმართოთ ადმინისტრატიულ და სამოსამართლო ღონისძიებებს. მუშა-მოსამსახურე და მისი ცოლშვილი უნდა დავიცვათ თავზე ხელაღებულ სახლის მეპატრონისაგან. რასაკვირველია, სახლის პატრონს კანონის თარგლებში უფლება აქვს მოსთხოვოს მდგმურს მუშა-მოსამსახურეს შეასრულოს თავისი მოვალეობა ბინის ქირის გადახდით და სხვა მხრით. მაგრამ როდესაც სახლის პატრონი ცდილობს თავიდან მოიშოროს მდგმური მუშა ან მოსამსახურე იმიტომ, რომ მას კანონი უფლებას აძლევს ნაკლები ქირა გადაიხადოს ბინაში, ვიდრე კერძო პირმა—ეს კანონის წინააღმდეგ ბრძოლაა და ასეთი მეპატრონენი კანონმა შესაფერად უნდა დასაჯოს.

ჭ.

რათ დაგვიკეტეს?

უკვე მესამე წელია, რაც ლენინის უბანში არსებობდა სატრანსპორტო კოოპერაციის წითელი სასადილო. აღნიშნული სასადილო შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა თავის დანიშნულებას, რისთვისაც კმაყოფილებას გამოსთქვამდენ ლენინის რაიონის მუშები. ამ რამდენიმე ხნის წინად მიხურეს სასადილო, მუშები კი ჩაუვარდა კერძო მიკიტნებს და როგორც უნდათ ისე აძრობენ ტყავს. რაშია საქმე: რატომ დაგვიკეტეს სასადილო? თუ სასადილო ვერ ამართლებდა ხარჯებს, მაშინ საჭირო იყო უმუშევართა კოლექტივისათვის გადაეცათ, როგორც სხვა წითელი სასადილოები.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს სატრანსპორტო კოოპერაციის გამგეობამ და თუ თვითონ არ გახსნის სასადილოს, მაშინ ის უმუშევართა კოლექტივს გადასცეს.

მუშკორი დაუნდობელი.

[illegible]

(თბილისის საყუდი)

[illegible] მუშაობს წყალსაქაჩი მანქანა და საიდანაც ივსება წყალმიმღები აუზი საყუდში. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ აუზს აქვს წყალსაზომი და მიჩენილია ყავს ეგრედ წოდებული „რეზერვარიკი“, აუზი ივსება და გადმოდის აუარებელი წყალი და ათი ათასობით ვედრა წყალი ამაოდ იკარგება. აქ ძალაუნებურად იბადება კითხვა, რისთვის არის მერეზერვარე, რომელსაც ჯამაგირი ეძლევა, თუ ის უყურადღებოდ სტოვებს წყალ-მიმღებ აუზს. ამნაირ უთავბოლო ხარჯს ბოლო უნდა მოეღოს.

მუშკორი ძია-ლევან.

ხე-ტყის ქარხანაში

(მარანი, სენაკის მაზრა)

მარნის თემში არსებობს ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელშიც კულტურული საქმე წარმატებით მიდის. კულტურული საქმე რამოდენიმე ხნის წინად მოიკოჭლებდა, მაგრამ ამხანაგ ვანო ჯაჯალავამ ქარხანაში დანიშვნის შემდეგ ამ საქმეს დიდი ყურადღება მიაქცია. მისი თაოსნობით დაიწყეს სახალხო სახლის აშენება, რომელსაც ამ მოკლე ხანში დაამთავრებენ. აგრეთვე მისი თაოსნობით აშენდა ქურა-ხანა, სადაც ამზადებენ აგურს სახალხო სახლისათვის და მომავალი გაზაფხულიდან დაიწყება კრამიტის წვა.

მოაწყო მშვენიერი ბაღი სხვადასხვა კულტურული მცენარეებით და სხვ. ამხ. ჯაჯალავას ხელმძღვანელობით შეძენილ იქნა სასულე ორკესტრი, რისთვისაც მადლობის ღირსია. თუმცა დღეს-დღეობით არ იმყოფება ჩვენს რიგებში ამხ. ჯაჯალავა, მაგრამ ვიმედოვნებთ მის მიერ დაწყებული საქმე მომავალში უყურადღებოდ არ დარჩება.

ქარხნელი.

მუშათა ქრონიკა

— **რონოდები.** სად. თბილისიდან [illegible] თვეში ა. კ. რკინის გზის ხაზებზე გაიგზავნა 4370 რონოდა.

— ამავე თვის განმავლობაში ბათომის მიმართულებით გაიგზავნა 6066, ხოლო სხვადასხვა მიმართულებით 2704 რონოდა.

— **კონფერენცია.** დღეს მოწვეულია საუბნო დამზღვევ სალაროს რწმუნებულთა კონფერენცია უბნის ექიმებთან ერთად.

— **საჭადრაკო წრე.** 12 იანვრიდან პლეხანოვის სახ. კლუბში არსდება ქალთა საჭადრაკო წრე. მეცადინეობა იწარმოებს ყოველ ოთხშაბათობით. წრეში ჩაწერა ყოველდღე სად. 5 ს. 9 საათამდე, კლუბის კანცელარიაში.

— **კლუბები.** ხაშურის უბანში ითვლება 5 კლუბი.

— **წიგნაკები.** რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს 15 იანვრიდან დაურიგდებათ ახალი ჯამგირის წიგნაკები. ამჟამად ადგილკომები ახდენენ ძველ წიგნაკების აღრიცხვას.

—**ქალთა წრეები.** ხაშურის უბანში დაარსდა სამი ქალთა წრე.

— **პლენუმი.** 30 იანვრისათვის მოწვეულია საგზაო კომიტეტის პლენუმი.

— **უმუშევრები.** 1-ლ იანვრამდე ა. კ. რკ. გზაზე ითვლებოდა 1964 უმუშევარი.

— **წევრთა რიცხვი.** სად. თბილისის მოძრაობის დარგში კავშირის წევრთა რაოდენობა უდრის 1540 ს.

— **კედლის გაზეთი „წითელი თავსაფარი“** რ. ლიუქსემბურგის სახ. თუთუნის ქარხნის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „წითელი თავსაფარი“.

— **მორიგეობა.** ამავე ქარხნის კულტკომისიამ შემოიღო წითელ კუთხეში მორიგეობა.

— **თეატრი.** პლეხანოვის სახ. თეატრის აშენება უკვე დაიწყო.

— **წარმოდგენა.** 9 იანვარს პლეხანოვის სახ. კლუბში დაიდგა აზიანის პიესა „ფული და ხარისხი“ პიესა კარგად ჩატარდა.

— **ექსკურსიები.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა მოაწყო სხვადასხვა ექსკურსია.

პროფკავშირებში

ს. მ. უ. საბჭოს ტრესტების სარევიზიო კომისიების შესახებ

ს. პ. ქ. საბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებაში მოწვეული იყო თათბირი კავშირებისა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტების სარევიზიო კომისიებში მათი წარმომადგენლების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, საჭირო პირობების გამომუშავების შესახებ.

თათბირზე დაესწრნენ როგორც პროფკავშირების ც. გ. პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე კავშირების წარმომადგენლები სარევიზიო კომისიებში.

თათბირმა აღნიშნა, რომ კავშირების წარმომადგენლები სარევიზიო კომისიებში დღემდი არ ითვლებიან კავშირების წარმომადგენლებად და ისინი ითვლებიან ს. მ. უ. საბჭოს ჩვეულებრივ თანამშრომლებათ, რამაც გამოიწვია მათი კავშირებიდან მოწყვეტა და მათ მუშაობა საკავშირო ხაზის დაუცველობა.

აღნიშნულ წარმომადგენლებს სათანადო კავშირებთან კავშირის მოსაწესრიგებლად, თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებებისა, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ კავშირების წარმომადგენლებმა სარევიზიო კომისიებში.

თათბირმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ კავშირების წარმომადგენლები სარევიზიო კომისიებში თავიანთ სამუშაო გეგმას უნდა უთანხმებდენ სათანადო კავშირებს, ინფორმაციას აძლევდენ კავშირებს მათ მიერ ჩატარებულ რევიზიების შესახებ, დირექტივებს ღებულობდენ რევიზიის გაკეთების დროს, უნდა ესწრებოდენ ც. გ. სხდომებზე სატარიფო-საეკონომიო საკითხების გარჩევის დროს, ტრესტების წამოწყებათა რევიზიის დროს უნდა დაუკავშირდენ ფაბქარხკომებს. მათ ხელი უნდა შეუწყონ კავშირებს ტრესტების ბალანსების განხილვის საქმეში და საერთოდ უზრუნველყონ ისინი მასალებით ბალანსის სავსებით გამოკვლევისათვის.

კავშირების წარმომადგენლების ტრესტების სარევიზიო კომისიებში ძირითად მუშაობათ ითვლება კავშირებისათვის ეკონომმუშაობაში—ხელისშეწყობა, ამიტომ აუცილებელია, რათა ისინი ეცნობოდენ უმაღლეს პროფორგანოების ყველა დირექტივებს კავშირების ეკონომ-მუშაობის შესახებ.

თათბირმა საჭიროდ დაინახა, რათა კავშირებმა მოისმინონ თავიანთ წარმომადგენლების მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ. საჭიროდ სცნო აგრეთვე დაისვას საკითხი ს. მ. უ. საბჭოს წინაშე, რათა გადასინჯული იქნეს ინსტრუქცია რევკომისიების შესახებ.

ვალიჩკო.

რკინისგზებზე

მივლინება

წყლის დარგის მეურნეობის საკითხების მოსაწესრიგებლად ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ მიავლინა განჯაში წყლის დარგის [illegible] ნაწილის უფროსი—ინჟ. ხოჯაშვილი.

საერთაშორისო საწოლი ვაგონი

10 იანვრიდან შესწყდა თბილისიდან ბათომამდე საერთაშორისო საწოლი ვაგონის მიმოსვლა. მომავალში ეს ვაგონი იმუშავებს მხოლოდ მოსკოვიდან თბილისამდე.

წლიური სამგზავრო ბილეთები

გზათა სახალხო კომისარიატის წლიური სამგზავრო ბილეთები, რომელიც გაცემულია ა.-კ. რკინისგზის დაწესებულებებისა და მოსამსახურეებზე,—მიმდინარე 1927 წლისათვის გამოცვლილი იქნება ახალი ბილეთებით.

ნახშირის ნაკლულევანება

ა.-კ. რკ. გზაზე ამჟამად ადგილი აქვს ნახშირის შესამჩნევ ნაკლულევანებას, განსაკუთრებით სამტრედიის უბანში, სადაც მთელი რიგი ძლიერი ორთქლმავლები მუშაობენ ნახშირით. ნახშირის მიწოდებამ ა.-კ. რკინის გზისათვის, ტყიბულის მაღაროებში გაჩენილი ხანძრების გამო, შესამჩნევად იკლო. ორთქლმავლების მუშაობის შეფერხების თავიდან ასაცილებლად ა.-კ. რკინის გზათა გამგეობამ შეიძინა დონის აუზში—100 ათასი ფუთი ნახშირი.

შეძენილ ნახშირიდან დღემდე მიღებულია გზაზე 62 ათასი ფ. ნახშირი, რაც ვერ დააკმაყოფილებს რკ. გზის მოთხოვნილებებს. ამის გამო, სამმართველოს მიერ მიღებულია ზომები ნახშირის მოსამარაგებლად.

ახალი ორთქლმავალები

ა.-კ. რკინისგზა ღებულობს ჩრდილოეთ-კავკასიის რკინისგზიდან 5 ძლიერ ორთქლმავალს. 2 ორთქლმავალი უკვე მიღებულია სად. ბალაჯარიში, საიდანაც იგი გადაიგზავნება სად. ხაშურში. ახალ ორთქლმავლების მიღებისთანავე გადიდდება მატარებელთა რაოდენობაც სურამის უღელტეხილზე, რაც შესამჩნევად გაზრდის მიმოსვლას რკინისგზაზე.

დღის იგზავნება სად. გუდერმესიდან დანარჩენი 3 ორთქლმავალი, რომელიც იმუშავებს ბაქოს უბანში.

ქრონიკა

ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკის ძირითადი კაპიტალის გადიდება

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითადი კაპიტალის გადიდება 4.000.000 მანეთამდე.

ტარიფი ხორბალის გადაზიდვაზე

ვინაიდან შემოსატან ტარიფების გაუქმება იმ ხორბალზე, რომელიც გადასამუშავებლად იგზავნება ბაქოს წისქვილებზე, სერიოზულ საფრთხეს უმზადებს აზერბეიჯანის ფქვილის მრეწველობას და ხელს უწყობს პურის ფასების ვადიდებას ა.-კავკასიაში, ამ.-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ძალაში დარჩეს აღნიშნული ტარიფები.

სას.-სამეურნეო იარაღების რემონტი

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შედგენილი თეზისები სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სარემონტო სახელოსნოების მოწყობის შესახებ.

თეზისები სახელმძღვანელოდ გადაეგზავნა რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს.

კოლექტიური მეურნეობანი

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა დაარსებული იქნეს სპეციალური ფონდი კოლექტიური მეურნეობებისათვის გრძელვადიანი კრედიტების მისაცემად და შემუშავებული იქნეს ზომები არსებული კოლმეურნეობების დასახმარებლად და ახლების მოსაწყობად.

ვაკეს დაგეგმვა

თბილისის აღმასკომი ხვალიდან შეუდგება ვაკეს დაგეგმვას. დაგეგმვა მოხდება ტრაქტორის საშუალებით. მუშაობა იწარმოებს სპეციალისტების უშუალო ხელმძღვანელობით.

ახალი ხიდი

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება ახლო ხანში დაამთავრებს იურიევის ხიდის აგებას ნაძალადევში. ხიდი აგებულია სუნეენის ხევზე და საგრძნობლად გაადვილებს მიმოსვლას ნაძალადევის ორი მხარის შორის.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ბამბა.** საანგარიშო წელში საქართველოში დამზადებული იქნება 275.000 ფუთი ბამბა.

◆ **ჩაი.** მიმდინარე წელს დამზადდება 700,000 გირ. ხმელი ჩაი.

◆ **აბრეშუმის თესლი.** გლეხებს წელს დაურიგდებათ აბრეშუმის ადგილობრივი თესლი 110.000 კოლოფი, ხოლო უცხოეთის—10.000 კოლოფი.

◆ **ღვინო.** გასულ წელს საქართველოში დამზადებული იქნა გასასაღებლად 2;000.000 მან. ღვინო.

◆ **ყურძნის სპირტი.** 26—27 საანგარიშო წელში დამზადდება 5.000.000 გრადუსი ყურძნის სპირტი.

სხვადასხვა

◆ **თურქული სკოლები.** საქართველოში ამჟამად ითვლება 82 თურქული სკოლა 5576 მოწაფით.

◆ **მოჭადრაკეთა წრე.** 12 იანვრიდან პლეხანოვის სახ. კლუბთან არსდება ჭადრაკის ცალკე წრე ქალებისათვის, სადაც მეცადინეობა იწარმოებს ოთხშაბათობით. წრეში ჩაწერა სწარმოებს ყოველდღე სად. 5 საათ. 9 საათამდე.

საბუღალტრო კურსები. გაიხსნა მეორე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკ. პროფკავშირის საბუღალტრო კურსები—კოოპერაციის ქუჩა № 10 მე-33 შრომის სკოლის შენობა. შუშტაიდის ახლო.

◆ **რედაქციამ მიიღო** არკომედის მიერ შედგენილი წიგნი „სომეხ რევოლიუციონერთა პირველი ჯგუფი ა.-კავკასიაში“—სომხურ ენაზე, „ამ.-კავკ. წიგნის“ გამოცემა.

შემთხვევები

ხანძარი

გუშინ, საღამოს, ცეცხლთან გაუფრთხილებელ მოპყრობის გამო ხანძარი გაუჩნდა არსენალის ქუჩაზე მდებარე სახლს, № 14-ს. ხანძარი 8 წუთის განმავლობაში ჩააქრო მეორე ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

◆ **გვამის აღმოჩენა ჭაში.** სოფ. ნიდოეთში (დიღმის თემი) რამოდენიმე დღის წინეთ უგზოუკვლოთ დაიკარგა მოქ. მამედ ისა-ოღლი, რომლის გვამი 9 იანვარს აღმოჩენილი იქნა ჭაში. გვამს ჭრილობები მიყენებული აქვს ხანჯლით. მკვლელი ვართან შამილ-ოღლი შეპყრობილია.

◆ **დაჭრა,** მეხუთე სამილიციო უბანში 10 იანვარს ვინმე პროხოროვმა დანით დასჭრა მოქ. ალი შამულოვი. დამნაშავე დაპატიმრებულია.

◆ **ცეცხლის წაკიდება.** სოფ. კოდაში (ასურეთის თემი) იოსებ ავგოროზაშვილის საბძელს ვიღაც ბოროტმოქმედმა წაუკიდა ცეცხლი. საბძელი სულ დაიწვა. ზარალი უდრის 1000 მანეთს.

◆ **თვითმკვლელობა.** თიანეთის სამილიციო ფარგლებში 10 იანვარს თოფით თავი მოიკლა სოფ. ლელოვანის მცხოვრებმა მარიამ წიკლაურისამ.

— **ბანდიტის მოკვლა.** დავით გარეჯის მონასტრის უდაბნოში (ყარაიაზის რაიონი) ადგილობრივ მილიციის მიერ მოკლულ იქნა ბანდიტი ადილ გულ მალი-კული იქვე შეპყრობილი იქნა 3 ბანდიტი: იბრაგიმ-ოღლი, ნასიმ ალახვერდ-ოღლი და ამარხან აბაზ-ოღლი.

— **ოთახის კარების შემტვრევის** საშუალებით 9 იანვარს სოფ. მუხანში, (ასურეთის სამილიციო რაიონ) გაქურდეს ერვანდ ღარიბაშვილი ბინა. წაიღეს 300 მანეთის ნივთები.

ხელოვნება

მიუზიკ-ხოლლის თეატრის გახსნა

მიუზიკ-ხოლლი გართობის, ნერვებ-დაუჭიმავ დროს გატარების თეატრია. თეატრის მოყვარულთა შორის ის ნაწილი, რომელიც მასში მხოლოდ გასართობს ეძებს, საკმაოდ დიდია. ისეთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიცაა ინგლისი და ამერიკა, მოთხოვნილება აბსოლიუტურ თეატრალურ გასართობებში, რომელიც არ მოითხოვს აზრის უმცირეს დაჭიმვასაც კი იმდენად დიდია, რომ ამან მიიყვანა თეატრი იმ მდგომარეობამდე, როცა კაფე-შანტანმა, ცირკმა და კლოუნადამ და ხშირად ბინძურ პორნოგრაფიით შეზავებულმა ფეერიებმა დაჩრდილა თეატრის უფრო სერიოზული ფორმები. ამის მსგავს მოვლენას წარმოადგენს საკმაოდ ძლიერი სცენიური ჟანრი პარიზში, ე. წ. „რევიუ“ („მიმოხილვა“). ეს „მიმოხილვები“ წინედ იმართებოდა არისტოკრატულ კაბარეებში, ის იტაცებდა მაყურებელს მოულოდნელ ფანტაზიის თავბრუდამხვევა, მოულოდნელ კუბრეტებით; ეს იყო მხატვრული ვინიგრეტი კუპლეტების, ცეკვის, სხვადასხვა ჟანრულ სცენების, რომლებშიაც უდარდელად და ნიჭიერად დასცინოდენ ყველაფერს. მაგრამ კაფე-შანტანებში გადატანილმა, ამ „მიმოხილვებმა“—თავიანთი რთული, მძიმე დეკორაციებით, ბრჭყვიალა კოსტიუმებით, სპეციალურად შერჩეულ ლამაზი ქალებით, დაჰკარგეს მიმზიდველი ძალა. ენამახვილობა შეიცვალა ბინძური ანეკდოტით, მახვილი სატირა სკანდალურ ჭორიკანობით.

ცხადია ჩვენი „ატრაქციონის“ თეატრი არ უნდა გაჰყვეს ამ გატკეპნილ გზას „მიმოხილვებისა“ და „პოშიადების“. სპექტაკლის შინაარსის შემჩატება იმისთვის, რომ ის ავავსოთ ახალი სკანდალურ, შაბლონურ ეფექტებზე ნავარაუდევ შინაარსით გაანგარიშებულს გემოვნება მოცვეთილ საზოგადოებაზე, რომელსაც ესმის სპექტაკლის უაზრობა, მაგრამ განგებ დიდის პირუტყვულ სიცილამდის, ვითომდა საქმეებისა და აზრის დაჭიმვისაგან მოსასვენებლად. ასეთი ყოველგვარ ინტრიგასა და სტილს, ჯანმრთელ ოხუნჯობას მოკლებული იყო დიდი ნაწილი პროგრამის—„სამზარეულო“, უნიჭო პაროდია ამერიკულ თეატრ-დეკლამაზე; უგემური იყო საბალეტო ნომერიც. არა უშავდა კრუგოსვეტოვის კუპლეტებს და კოზროვსკაიას სახუმარო რომანსებს.

შ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ქმარი ხუთი ცოლისა“.** 29 იანვარს რუსთაველის თეატრში დაიდგმება ანტონოვის კომედია: „ქმარი ხუთი ცოლისა“.

◆ **კონკურსი საუკეთესო პიესებზე.** ხელოვნების განყოფილებამ გადასწყვიტა გამოაცხადოს კონკურსი საუკეთესო პიესებზე.

◆ **ლექციები ხელოვნებაზე.** ხელოვნების განყოფილება ახლო ხანში პროვინციებში გამართავს ლექციების კითხვას ხელოვნების სხვადასხვა დარგებზე.

◆ **„მეფის საცოლე“.** დღეს სახელმწიფო ოპერაში მიდის „მეფის საცოლე“.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ **„საბჭოთა ხელოვნების“** შემდეგი ნომერი გამოვა 15 იანვარს.

◆ **ხელოვანთა სასახლეში** შაბათს 16 იანვარს. სად. 7 საათზე საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მიერ გაიმართება საჯარო დისპუტი შემდეგ თემაზე „1926 წლის ლიტერატურის შეფასებისათვის“. ძირითად მომხსენებლებათ გამოვლენ ამხ. ბენიტო ბუაჩიძე, ლეო ესაკია, შალვა რადიანი, დავით რონდელი და პლატონ ქიქოძე.

კამათში მონაწილეობისათვის მოწვეული არიან სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებების წარმომადგენელნი; მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა მსურველთ.

სასამართლო

ბოროტმოქმედება თბილისის სადგურში

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბარამიძის თავმჯდომარეობით დაიწყო ვლადიმერ ჭანტურიას, პეტრე მაღნარაძის, ნიკოლოზ ხიზანიშვილის, ვარდენ სიხარულიძის და მათი ქორიძის საქმის გარჩევა.

გასული წლის სექტემბრის თვეში, სადგურ ნავთლუღის მორიგე მწონავმა პეტრე მაღნარაძემ ვიღაც მოქალაქისაგან მიიღო 7 ცალი ბარგი სად. ძეგაში გადასაგზავნად. წონით ბარგი იყო 171 კილოგრამი. ზემოთ ჩამოთვლილმა პირებმა ურთიერთ შეთანხმებით, ღამით გასტეხეს საბარგო ვაგონის ყუთი და წაიღეს სხვადასხვა ნივთები.

მატარებლის მიმოსვლის დროს, საგანგებო კომისიის თანამშრომელმა წულუკიძემ შეამჩნია, რომ საბარგო განყოფილებასთან სდგას მუშა სიხარულიძე. წულუკიძემ ეჭვი აიღო სიხარულიძეზე, შევიდა საბარგო განყოფილებაში და ნახა, რომ საბარგო ყუთები გახსნილი იყო, ნივთები კი ყირამალა იყო გადაბრუნებული.

აწონეს ბარგი და აღმოჩნდა 171 კილოგრამზე მეტი.

გამოირკვა, რომ აღნიშნულმა პირებმა ბარგის პირველად აწონის დროს ნამდვილ წონას მოუკლეს, რომ ამით საშუალება ჰქონოდათ ყუთებიდან ნივთების მოპარვისა.

შედეგათ ამ გარემოებას მოჰყვა ის, რომ ამ საქმეში მონაწილენი პასუხისგებაში მისცეს.

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავედ.

ბრალს სდებს პროკურორი კიკაბიძე, ბრალდებულებს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი დიდებულიძე.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

განაჩენი გამოტანილი იქნება ოთის.

გარყვნილობისათვის

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: სიხარულიძის და ქოიავას, პროკურორ ლ. კუპრაშვილის და მდივან გეწაძის მონაწილეობით გაირჩა გრიგოლ ენიკოევის საქმე.

ენიკოევს ბრალდებოდა 7 წლის ნ. ც—ის გარყვნა.

ენიკოევი 22 წლისა, ხელობით ბოის ზეინკალი. ცხოვრობდა ბებუთოვის ქუჩა № 8. ის დაუახლოვდა მისი მეზობლის ც-ძის 7 წლის ბავშვს. ამ უკანასკნელს ის აძლევდა ფულს ტკბილეულობის სასყიდლათ. გასული წლის 5 ივლისს, ბავშვი შეიტყუილა ოთახში და გარყვნა. ბავშვის დედამ გაიგო ეს გარემოება და განაცხადა სადაც ჯერ არს. ენიკოევი დააპატიმრეს. წინასწარი გამოძიების დროს ის გამოტყდა დანაშაულობაში.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ ბრალდება განზრახ არის შეთხზული მისი მეზობლის ც-ძის მიერ, რადგან მასთან უკანასკნელ ხანებში ცუდ განწყობილებაში იყო.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ბრალდებულსა და ც-ძის შორის კარგი განწყობილება არსებობდა.

ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი ღვამიჩავა.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულათ სცნო, რისთვისაც მიუსაჯა ენიკოევს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

ქეიფობის შემდეგ

გუშინ, სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში ამხ. ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით გაირჩა აჯი შამუევის და აგიტ-ოზმანის საქმე.

აღნიშნულ პირებს ბრალდებოდათ ხულიგნობა.

შამუევი და აგიტ-ოზმანი ამ რამოდენიმე დღის წინად მთვრალები მიდიოდნენ მოქ. ქაქოევის სახლში და სრულიად უმიზეზოთ სცემეს მას. შეშინებული ქაქოევი გაექცა მთვრალებს, წავიდა ქუჩაში მილიციელის დასაძახებლად, მაგრამ ისინი გამოედევნენ ქაქოევს. ეს უკანასკნელი შევარდა ახლო მდგომ მეკურტნე მუშებში, რომლებიც შეეცადენ დაემშვიდებიათ მოჩხუბარები, მაგრამ ისინი არ სცხრებოდენ. ამოიღეს დანები და მსუბუქად დასჭრეს 5 მუშა. მილიციამ დამნაშავენი დააპატიმრა.

სასამართლომ შამუევი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მას სამი თვით გამასახლში დაპატიმრება.

ოზმანი სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

თბილი კამპანია

მესამე დღე

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა რამოდენიმე მოწმე.

მოწმეების დაკითხვა დიდ ინტერესს იწვევს.

მოწმე ლაჩყეპაიანის (წარმოკავშირის ინსტრუქტორი) და მიხაილოვის (არტელ „ლევ“-ის ბუღალტერი) ჩვენებიდან ირკვევა, რომ საერთოდ თამბაქოს არტელის „ლევ“-ის საქმეები არეულ-დარეული იყო. ბუღალტერიაში დიდი ქაოსი არსებობდა. მიხაილოვის სიტყვით, ეს იყო „ბუღალტერია უდოკუმენტოთ“.

გუშინდელ სხდომაზე მხარეები სცდილობდენ გამოერკვიათ, თუ როგორი ურთიერთობა არსებობდა არტელ „ლევ“-სა და წარმოკავშირის შორის.

დამცველ ამირაჯიბის შუამდგომლობის თანახმად, სასამართლომ დაადგინა: გამოწვეულ იქნას ექსპერტათ „სოფლის კავშირის“ გამგეობის წევრი ბეხელიძე და ს. მ .უ. საბჭოს სამრეწველო ინსპექტორი მიხაილოვი.

ფეხბურთი

ბაქო—თბილისი

გუშინდელ შეჯიბრში „პროგრესს“-თან თბილისის ნაკრებ გუნდს ეკლდა ანიკინი, რომელიც შესცვალა სათადარიგო მოთამაშემ. საუკეთესო ნახევრათ მცველის უყოლობა მეტად ემჩნეოდა გუნდს; ამ გარემოებამ თვალსაჩინო როლი ითამაშა გუნდის დამარცხებაში.

ბაქოელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ამ შეჯიბრში ძალიან გაბედულათ და ლამაზათ თამაშობდენ, გაცილებით უკეთესად, ვიდრე წინანდელ შეჯიბრში.

როგორც წინანდელ შეჯიბრიც, გუშინაც პირველი ტაიმი თანაბარი თამაშის ნიშნის ქვეშ ჩატარდა. ინიციატივა ხელიდან-ხელში გადადიოდა. ხშირი იყო სახიფათო მომენტები, როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის კარებთან, მაგრამ თამაშის პირველ განყოფილებაში ვერცერთმა გუნდმა ვერ მიაღწია რეალურ შედეგს.

მეორე ტაიმი თბილისელების შეტევით იწყება. თბილისის მარბები ხშირა— უახლოვდებიან „პროგრესს“-ის კარებს, მაგრამ ამ უკანასკნელის მცველების მოხდენილი თამაშის წყალობით ბურთის გატანას ვერ ახერხებდენ.

ბაქოელებიც დროგამოშვებით ძლიერ შეტევაზე გადადიან. ასეთ მომენტებში ხშირია „შუტები“ თბილისის კარებში, მაგრამ პაპკოვი წარმატებით იგერიებს ყველა იერიშებს.

გუნდების თანასწორი მედგარი ბრძოლა გრძელდებოდა ტაიმის ბოლომდი. ათი წუთით ადრე შეჯიბრის დამთავრებამდე „პროგრესი“-ს მარჯვენა გარე-მარბი ამხ. გნეზდოვი ლამაზათ გაიტაცებს ბურთს და ძლიერი დარტყმით თბილისის ბადეში მოაქცევს მას.

თბილისი მოიკრებს ძალებს და გააფთრებული შეტევით სცდილობს წაგებულის გაქვითებას, მაგრამ სტუმრების კარების დარღვევის ყველა ცდები უნაყოფოდ თავდება.

ამრიგად, შეჯიბრი თავდება 1:0 და ბაქოელები გამარჯვებული მიდიან მოედნიდან.

თბილისის მხრიდან განსაკუთრებით კარგად თამაშობდენ **პაპკოვი, ფოჩხუა, ჟორდანია, ქებაძე და ფაჩულია.**

გ—ნი.

ნარევი

ვინ არის „რობინზონ კრუზო“-ს ავტორი

ინგლისელმა ისტორიკოსმა პროფ. **როზემ** გამოაქვეყნა ახალი ცნობები ინგლისელ მწერლის **დანიელ დეფოს** მსოფლიოში ცნობილ წიგნის „რობინზონ კრუზო“-ს შესახებ. როზე, თავის გამოკვლევათა მიხედვით, კატეგორიულად ამტკიცებს, რომ რობინზონის პროტოტიპი იყო **ალექსანდრ სელკირკი** — მეზღვაური, რომელიც მისი ხომალდის დაღუპვის შემდეგ მეკობრეთ (ზღვის ყაჩაღათ) გადაიქცა. იგი დიდი ხნის განმავლობაში მეთაურობდა ყაჩაღთა ხომალდს სამხრეთის ზღვაში და აუარებელი სიმდიდრე შეიძინა. ინგლისში დაბრუნების შემდეგ მან თავისი სიმდიდრე ლოთობაში გაფლანგა. რომ სიმშილით არ მომკვდარიყო, განიზრახა თავისი ავტობიოგრაფიის დაწერა იმ იმედით, რომ თავის ნაწერებში ორიოდე გროშს აიღებდა. დეფომ რაღაც მოტყუების გზით სელკირკისაგან შეიძინა მისი ნაწერები. იმის შემდეგ, რაც იმედ-გაცრუებულმა სელკირკმა დასტოვა ინგლისი და კვლავ საყაჩაღოთ წავიდა, დეფომ გადაამუშავა მისი ხელთნაწერი და გამოსცა თავისი „რობინზონ კრუზო“. სელკირკის ბედის შესახებ არავინ არაფერი იცის: იგი უგზო - უკვლოდ დაიკარგა.

ალიმენტები ამერიკულად

დეტროიტის შტატში (შეერთებული შტატები) გამოცემულია დადგენილება, რომლის თანახმად ყველა მამაკაცი, თუ იგი გაშორდა თავის ცოლს, ვალდებულია თავის „კანონიერ შვილებს“ აძლიოს სრული სარჩო, სანამ ისინი სრულწლოვანი არ შეიქნებიან. გამონაკლისი ამ კანონიდან დაშვებულია მხოლოდ ზანგ-ქალებისათვის: თეთრკანიან ქმრებს შეუძლიათ არაფერი მისცენ მათ შვილების შესანახად.

გამასხარავებული „წმინდანი“

გაზ. „რაბოჩაია ტრიბუნა“-ს ცნობით, არაჩვეულებრივი სკანდალი მოხდა ლვოვის (პოლონეთი) ახლო არსებულ ერთ-ერთ მონასტერში. „წმინდა“ პანტელეიმონის დღის დღესასწაულობის დროს („წმინდანის“ „ნეშტი“ ამ მონასტერში ინახება) ერთი ქსენძი (მღვდელი) ავიდა ტრიბუნაზე და საჯაროთ განაცხადა, რომ „წმინდა“ პანტელეიმონის „ნეშტი“ მიქარვაა და რომ იგი დამზადებულია ქათმის ძვლებისაგან. „წესრიგის დამრღვევი“ დააპატიმრა პოლიციამ.

მოძრაობის მსხვერპლი ლონდონში

ლონდონის ქალაქის თვითმართველობამ გამოაქვეყნა ცნობები ქუჩებში მოძრაობის მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ. მსხვერპლთა რაოდენობა შეუჩერებლად იზრდება, რაც სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

	მოკლულები	დაჭრილები
1923 წ.	668	30.333
1924 წ.	844	35.065
1925 წ.	840	39.186
1926 წ. (პირველი 9 თვე)	710	(ცნობები არ არის)

ახალი ამერიკული ქალაქი

კანადაში, ზეგენის მარჯვენა ნაპირზე, ჩიკონტიმსა და კენოგამს შუა ამჟამად შენდება ახალი ქალაქი, რომელიც მზად იქნება მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის. ქალაქს თავის ხარჯზე აშენებს „ალუმინიუმ კომპანი ოფ კანადა“, რომელსაც განზრახული აქვს აქ საფუძველი ჩაუყაროს ალიუმინის მრეწველობას. ქალაქს, საზოგადოების პრეზიდენტის — არტურ ვინნინგ დევისის საპატივსაცემოდ ეწოდება **არვიდა.**

ბიბლიოგრაფია

„საბჭოთა ხელოვნება“, № 1

სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ორკვირეული ორგანო.

ხელოვნებს საკითხებზე, ამ სიტყვის ფართე გაგებით, ჩვენში კარგა ხანია არსებობდა სპეციალურ ბეჭდვითი ორგანოს საჭიროება. ჟურნალი „ქართული მწერლობა“ და უკვე საკმაოდ გავრცელებული „მნათობი“ უმთავრესად ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის ორგანოებია. ხელოვნების ისეთი მნიშვნელობის დანარჩენი დარგები, როგორიცაა: სცენა, მუსიკა, კინო და მხატვრობა, დღემდე მოკლებული იყვნენ ჩვენში საკუთარ ბეჭდვითი ორგანოს.

საერთო პრესას კი ბუნებრივად საშუალება არ ჰქონდა ამ საკითხებისათვის იმდენი ადგილი დაეთმო, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა. ამიტომ „საბჭოთა ხელოვნების“ გამოსვლა, ცოტა არ იყოს, ნაგვიანევიც არის.

ჟურნალის ამ ნომერში წარმოდგენილია წერილები ხელოვნების ყველა საკითხებზე. ქართული თეატრის დაარსების დღეს, 2 იანვარს, მიძღვნილი აქვს ორი ცალკე წერილი. მათ შორის ერთი სარედაქციო.

აკ. ვასაძე თავის ვრცელ წერილში: „თეატრალურ სისტემათა ცვლა და საზოგადოებრივი აზრი ჩვენში“, არკვევს დღევანდელი თეატრალური კრიზისის მიზეზებს.

ხელოვნების კრიზისი ყოველი რევოლუციის თანდაყოლილი მოვლენაა. ცხადია, იმ სოციალურ ქარტეხილის შემდეგ, რომელმაც ძველი რუსეთის და მასთან ერთად ძველი საქართველოს თავზე გადაიარა, ასე ადვილი არ იქნებოდა შექმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან შეფარდებული მხატვრულ ფორმების გამონახვა. ეს სიძნელე ერთნაირად საგრძნობია მთელ საბჭოთა კავშირში და არა მარტო სცენაზე, არამედ ხელოვნების ყველა დარგში.

„ოთხი წლის მუშაობა ჩვენი თეატრისა,—სწერს ავტორი,—ფორმების ძიებაა და ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს ზოგადი კონტური პირობით რეალურ თეატრისა სინტეტიურ ფორმებში“... ამ ძიების პირობებში ჩვენს თეატრს შეუძლია ზოგჯერ სრულიად შეუფერებელი ნახტომები გააკეთოს სწორი გზიდან. ასეთი მაგალითები მართლაც იყო. ამიტომ შესაძლებელი და ბუნებრივიც, რომ კრიტიკა ვერ იჩენდეს ლმობიერებას სცენისადმი და ზოგჯერ აჭარბებდეს კიდეც ჩვენი თეატრალურ დადგმების შეფასებაში. ასე რომ, აკ. ვასაძის ხელღებით გალაშქრება თეატრალურ კრიტიკის წინააღმდეგ მიუღებელია თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ეს ხელს უშლის „ძიების პროცესის“ სწორი გზით წარმართვას, რომლის თავგამოდებულ მოსარჩლეთაც ასეთი რიხით გამოდის ავტორი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „საბჭოთა ხელოვნების“ ამ ნომერში ამხ. შ. დუდუჩავას წერილი: „ჩვენი სათეატრო პოლიტიკის შესახებ“. ავტორს მოჰყავს ცნობილი ადგილი ამხ. ნ. ბუხარინის სიტყვიდან მხატვრული ლიტერატურის შესახებ: „არ უნდა გვავიწყდებოდეს,—ამბობს ამხ. ნ. ბუხარინი,—რომ კულტურული პრობლემა მით განსხვავდება მებრძოლ პრობლემისაგან, რომ მისი გადაწყვეტა შეუძლებელია დაკვრითი წესით და საზოგადოთ მექანიკურ ძალდატანებათა საშუალებებით, ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს კომბინიური მეთოდით, რომელიც შეესაბამება საღ გონივრულ კრიტიკას. **ამ მეთოდში კი მთავარი კონკურენციაა“...**

ამხ. დუდუჩავა სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს დებულება სცენიურ ხელოვნებაზეც ვრცელდება. არსებითად ავტორიც უმთავრესად იმავე საკითხს არკვევს, რომელზედაც ლაპარაკია აკ. ვასაძის წერილში. ესაა ჩვენი თეატრის კრიზისის დაძლევის საკითხი.

„მთავარი, რაც ახასიათებს ჩვენს სინამდვილეს,—სწერს ამხ. დუდუჩავა,—და თეატრალურ სინამდვილეს კერძოთ—არის ახალი მაყურებლის გაჩენა. ეს მაყურებელი შედის თეატრში ახალი მსოფლმხედველობით და ახალი განცდებით“. აქედან პირველი და ძირითადი ამოცანა ჩვენი თეატრის წინაშე არის მაყურებლის დაპყრობა. ესაა, ავტორის აზრით, „ერთად-ერთი გარანტია თეატრის კრიზისის დაძლევისათვის“.

ამასთან დაკავშირებით ავტორი აყენებს თანამედროვე დრამატურგიის თემატიკის საკითხსაც. „სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, რომლითაც ცხოვრობდა ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა,—სწერს ამხ. დუდუჩავა,—და რომელმაც თავისებური განათება მიიღო ინდივიდუალისტურ ფილოსოფიაში, პროლეტარიატმა რეალისტურად გადასჭრა: სიცოცხლის აზრი მან განსაზღვრა ბრძოლის იმ ინსტიქტებით, რომლებიც ბუნებრივად იბადებიან როგორც შემოქმედების სფეროში, ისე ბუნების საიდუმლოებათა ძლევის პროცესებშიაც. სიცოცხლის პრობლემის ასეთი გადაჭრით პროლეტარიატმა სძლია სიკვდილის პრობლემაც და მით ყოველგვარ მისტიკას ამ თავითვე გამოაცალა რეალური ნიადაგი“.

ასეთია ავტორის სიტყვით ის თემატიური მომენტები, რითაც უნდა განისაზღვროს დრამატურგმა თავისი შემოქმედება.

ჟურნალში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი კინოს საკითხებსაც. ამ საგანზე მოთავსებულია ს. ამაღლობელის, ქ. მარჯანიშვილის, გ. ბუხნიკაშვილის, შ. ალხაზიშვილის და სხვა წერილები.

აღნიშნულ წერილებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ს. ამაღლობელის წერილი: „კინომრეწველობის მორიგი ამოცანები“. ავტორი აქ ეხება თითქმის ყველა საჭირბოროტო პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც მწვავედ დგანან ჩვენი კინო-მრეწველობის მუშაობაში. ესენია: რეპერტუარის, რეჟისურის, ოპერატორების, სცენარისტების, მხატვრების, ლაბორანტების და სხვათა საკითხები. ავტორის აზრით, ჩვენი კინომრეწველობის მტკივნეული მხარეები უმთავრესად კინო-მუშაკთა მდარე კვალიფიკაციით უნდა ავხსნათ. ამხ. ს. ამაღლობელი სწერს: „ჩემის აზრით, მანამდე ვერ ავწევთ ჩვენი პროდუქციის მხატვრულ ღირებულებას, ვიდრე იმ დონემდე დარჩება ჩვენი წარმოების მუშაკთა კვალიფიკაცია, როგორზედაც დღეს სდგას. **მაშასადამე, ძირითადი საკითხი—კვალიფიკაციის ამაღლება“.**

ამხ. გ. ბუხნიკაშვილი თავის წერილში აყენებს საყურადღებო საკითხს კინოს მეგობართა საზოგადოების დაარსების შესახებ. ამ საზოგადოების მიზანი, ავტორის აზრით, მდგომარეობს შემდეგში: „შეისწავლოს კინოწარმოება, გააჯანსაღოს კინო-რეპერტუარი, ჩვენს კინოფილმებს მოუპოვოს ბაზარი ჩვენსავე ეკრანებზე, კინოს ირგვლივ დარაზმოს საზოგადოებრივი აზროვნება, გააუმჯობესოს კინო-თეატრები და ხელი შეუწყოს მათ რიცხობრივ ზრდას, შეისწავლოს კინო-მაყურებელი და გამოუნახოს კინოს მაყურებელთა ახალი კადრები, შექმნას ნორმალური პირობები კინო-სპეციალისტების მუშაობისათვის, მიიზიდოს ისინი ჩვენს საბჭოთა საზოგადოებრივობის წრეში, შექმნას ახალი კინო-მომუშავენი, განსაკუთრებულად იზრუნოს სოფლის კინოფიკაციისათვის“.

ჟურნალში მოცემულია ჩვენში საკმაოდ ცნობილ მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის წერილი—„ქანდაკების საიდუმლოება“. სახვითი ხელოვნების დარგიდან მოთავსებულია ვ. კოტეტიშვილის ვრცელი წერილი: „სახვითი ხელოვნება და ჩვენი მშრომელი მასა“. ავტორი იხილავს ჩვენი სახვითი ხელოვნების მეტად მტკივნეულ საკითხს: მხატვართა ნაწარმოების სისტემატიზაციას და მათ მოვლა-პროპაგანდას მშრომელ მოსახლეობასთან დაახლოების მიზნით.

ყურადღებას იპყრობს დ. არაყიშვილის წერილი: „ქართული მუსიკა, მეგრული შტო“. ავტორს ბევრი საინტერესო ვარიანტები მოჰყავს მეგრული ხალხური სიმღერებიდან. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე წერილები: ნ. მიწიშვილის—„ფიქრები ქართულ მწერლობაზე“, ს. თოხაძის:—„ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცხოვრებიდან“, ს. ე—ს „საოპერო სეზონის მოკლე მიმოხილვა“, შ—ალის „ახალი ცირკი“, გ. ბ.—„პოლიტგანმანათლებელი მუშაობა და ხელოვნება სოფლად“ და სხვ.

პროვინციაც საკმაოდ მდიდრათაა წარმოდგენილი.

ბიბლიოგრაფიულ განყოფილებიდან აღსანიშნავია ბ. ჟ.—ს კრიტიკული შენიშვნები ჟურნალ „ქართული მწერლობა“-ზე. ამ ჟურნალის შესახებ უკვე არსებობს გარკვეული აზრი. ჟურნალი ჯერ კიდევ „ძიების პროცესშია“. მას ვერ მოუნახავს დასაყრდენი წერტილი, რომ შესძლოს „მხატვრული ლიტერატურის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაახლოვება და მათ შორის ურთიერთობის აღდგენა“. ამიტომ გაუგებარია ბ. ჟ—ს უნაყოფო ცდა—დაამტკიცოს თავის რეცენზიით, რომ „ქართული მწერლობა“ სიტყვაკაზმულ ლიტერატურის დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაახლოებას ემსახურება. ამის დასამტკიცებლად ბ. ჟ—ს, გარდა წერილების ავტორებისა და სათაურების ჩამოთვლისა, არაფერი მოჰყავს.

საზოგადოთ, „საბჭოთა ხელოვნების“ სადებიუტო ნომერი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ჟურნალში არის ილიუსტრაციაც. მომავალში საჭიროა საილიუსტრაციო მასალის მეტი მრავალფეროვნობა და რიცხობრივად გადიდება. ჟურნალი ტეხნიკურად ბევრ გაუმჯობესებას საჭიროებს. ფორმატი, მასალების დალაგება, გარეგნული სახე და სხვა. ვფიქრობთ, რომ მომავალში ამ ნაკლს რედაქცია გამოასწორებს.

დასასრულ კიდევ ერთი შენიშვნა. საეჭვოა, რომ „საბჭოთა ხელოვნება“-მ შესძლოს ყოველ თვეში ორჯერ გამოსვლა. ჩვენს პირობებში ეს არც ისე ადვილად შესაძლებელია. სჯობდა ჟურნალი ყოველთვიური ყოფილიყო. ამით ბევრად მოიგებდა ის შინაარსის მხრივ და ტეხნიკურადაც.

რეცენზენტი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 1

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

ქალაქ თბილისისათვის საბჭოთა არჩევნების არსებული წესის ზოგიერთი გამონაკლისის შემოღების შესახებ

რადგანაც ქალ. თბილისში ტეხნიკურად შეუძლებელია ყველა იმ მოთხოვნილებების შესრულება, რაც საბჭოთა არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიებისა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენასა და აგრეთვე ამ ამრჩეველთათვის სახელობითი უწყებების დაგზავნას შეეხება, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულ. საქართ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევისათვის 1926 წ. დეკემბრის 22-ს დამტკიცებული ინსტრუქციით დადგენილი წესის გამონაკლისად ქალაქ თბილისისათვის მიღებულ იქნეს შემდეგი:

2. ქალ. თბილისში შედგენილ არ უნდა იქნეს საარჩევნო უფლების მქონე პირთა (ამომრჩეველთა) სიები.

3. ქალ. თბილისის სარაიონო საარჩევნო კომისიებს შეუძლიანთ იმ პირთა სიების შედგენის დროს, რომელნიც მოკლებულ არიან საარჩევნო უფლებას, გამოიყენონ, დოკუმენტალური ხასიათის ცნობების ნაცვლად რაც ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ინსტრუქციით არის გათვალისწინებული, ის ცნობები, რასაც ისინი მიიღებენ დაინტერესებული პირისა და მოწმეების დაკითხვით.

4. სახელობითი საარჩევნო უწყებები საარჩევნო კრების დანიშვნის შესახებ ქ. თბილისში ვაეგზავნება მხოლოდ იმ ამომრჩეველთ, რომელნიც არ შედიან საწარმოთა და დაწესებულებებში და შეკავშირებულ არ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებათ.

5. ის ამომრჩეველნი, რომელნიც შედიან საწარმოთა და დაწესებულებებში ან შეკავშირებულ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებათ, არჩევნებში მონაწილეობისათვის მიიღებენ თავიანთ საწარმოსა და დაწესებულებებისაგან ან პროფესიონალური კავშირებისაგან განსაკუთრებულ ბილეთებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წლ. იანვრის 11.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 2

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მსვლელობისა და შედეგების აღნუსხვისა ფორმებისა, ამომრჩეველთა აღნუსხვის სიების ფორმებისა და ამ ფორმების მიხედვით მასალის წარდგენისათვის ვადების დაწესების შესახებ

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1926 წლის ნოემბრის 19-ს თარიღით და ა. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1926 წლ. დეკემბრის 21-ს თარიღით საბჭოთა, საბჭოთა ყრილობების და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მსვლელობისა და შედეგების აღრიცხვის ფორმებისა და ამომრჩეველთა აღსარიცხავი სიების ფორმების შესახებ გამოცემულ დადგენილებათა თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. სავალდებულოდ იქნეს ცნობილი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საარჩევნო კამპანიის მსვლელობის და შედეგების აღსარიცხავად საარჩევნო საქმის წარმოების, სტატისტიკური და საინფორმაციო ანგარიშის შემდეგი ფორმები: ამომრჩეველთა სახელობითი სიები ქალაქისა და სოფლებისათვის, სახელობითი სიები საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთათვის; საარჩევნო კრებების ოქმები ქალაქისა და სოფლისათვის, სახელობითი სიები სათემო (სასოფლო) საბჭოებსა და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებში არჩეულთათვის; სახელობითი სიები საქალაქო საბჭოებისა, მათი პრეზიდიუმებისა და აღმასრულებელ კომიტეტების წევრებად არჩეულთათვის, სახელობითი სიები აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ყრილობებისა, სამაზრო ყრილობებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების წევრთათვის; სქემა საინფორმაციო მოხსენებისა საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ; ინსტრუქცია არჩევნების გარშემო სასწრაფო სადეპეშო ცნობების მიღება-გადაგზავნის შესახებ; შეჯამებული ცხრილი სასოფლო რაიონებში წარმოებული არჩევნებისა ხელისუფლების სათემო (სასოფლო) ორგანოების შედგენილობისა, აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობის შესახებ; შეჯამებული ცხრილი საქალაქო საბჭოების არჩევნებისა და ხელისუფლების საქალაქო ორგანოების შედგენილობის შესახებ.

2. საარჩევნო უფლების მქონე და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა აღრიცხვა სიების საშუალებით სწარმოებს თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის თანახმად (თავები 1—3) სათანადო ფორმების მხედვით.

შენიშვნა: 1-ლ და მეორე მუხლში აღნიშნული საარჩევნო ანგარიშის ფორმების შევსების დროს რაიმე შემოკლება, ან ერთი ცნობების სხვა ცნობებით შეცვლა არ შეიძლება.

3. არჩევნების ანგარიშის დამუშავება და შედგენა დაევალება აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს, სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს—კუთვნილებისამებრ.

4. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების და სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები ანგარიშს საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და მისი შედეგების შესახებ წარუდგენენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს (ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართით: თბილისი, ლუნაჩარსკის ქუჩა № 2, ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) შემდეგ ვადებზე:

ა) წერილობით საინფორმაციო მოხსენებას არჩევნების ორგანიზაციულ ტეხნიკური მომზადების შესახებ, საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარების საინფორმაციო მოხსენების სქემის მიხედვით,—**არა უგვიანეს ა. წ. იანვრის 30-სა.** (ფორმა № 19).

ბ) საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობის საოპერო ჯამლს, თანახმად ინსტრუქციისა არჩევნების გარშემო სასწრაფო სადეპეშო ცნობების მიღება-გადაგზავნის შესახებ—**ა. წ. იანვრის 25-დან ყოველდღიურად.**

გ) წერილობითი საინფორმაციო მოხსენებას საანგარიშო კამპანიისა დასათემო (სასოფლო) და საქალაქო საბჭოების არჩევნების თაობაზე, საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ საინფორმაციო მოხსენების სქემის მიედვით—**არა უგვიანეს ა. წ. მარტის 1-ლისა** (ფორმა № 19).

დ) არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობისა და ახლად არჩეული საბჭოების მიხედვით და ხელისუფლების სათემო (სასოფლო) და საქალაქო ორგანოების შედგენილობის შეჯამებულ ცხრილების სათანადო მასალითურთ 14, 15, 16 და 17 №-ის ფორმების მხედვით—**ა. წ. მარტის 5-დან მარტის 10-მდე.**

ე) სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობის შეჯამებულ ცხრილებს სათანადო მასალითურთ 15 და 17 №-ის ფორმების მიხედვით—**არა უგვიანეს ა. წ. მარტის 18-სა.**

ვ) წერილობითი საინფორმაციო მოხსენებას სათემო (სასოფლო) და საქალაქო საბჭოების არჩევნებისა, სამაზრო ყრილობებისა და ავტონომიურ ერთეულთა ყრილობების მუშაობისა და საარჩევნო კამპანიის შედეგების თაობაზე, საბჭოთა ყრილობების მუშაობისა და საარჩევნო კამპანიის შედეგების თაობაზე, საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ საინფორმაციო მოხსენების სქემის მიხედვით—**არა უგვიანეს ა. წ. მარტის 18-ს (ფორმა № 19).**

5. ამა დადგენილების გამოცემით გაუქმებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ყველა წინად გამოცემული დადგენილება საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების საარჩევნო ანგარიშების შედგენის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

927 წ. იანვრის 11.
თბილისი-სასახლე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

შვილად აყვანის შესახებ

(მოქ. ანდრო კობ-იძეს)

თანახმად საქართვ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის 1926 წ. 22 სექტემბრის დადგენილება № 66-ისა, შვილად აყვანის უფლება აქვთ მხოლოდ საბჭოთა იმ მოქალაქეთ, რომელნიც სარგებლობენ საბჭოთა მოქალაქის ყველა პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებებით (ე. ი. მხოლოდ მშრომელ ელემენტებს). სოფლის კულაკებს ბავშვის შვილად აყვანის უფლება არა აქვთ. არა აქვთ მიშვილების უფლება იმ პირთაც, ვისაც სამმართველოს განაჩენით ჩამოერთვათ მშობლიური უფლებები.

შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვან და მცირეწლოვან ბავშვებისა. გაქვთ უფლება მიშვილებულს მისცეთ თქვენი (სამამო „ოტჩესტვო“) სახელი და გვარი. რომელიმე ბავშვის თქვენ მიერ შვილად აყვანის დროს აუცილებლად საჭიროა თქვენი ცოლის თანხმობა.

ს. კვალითის (შორ. მაზ.) გლეხ ივ. მაღლაკელიძეს.

პასუხი

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, თქვენ ყოფ. რძალს თქვენი ობოლი შვილის შვილი წაუყვანია თან, თავის მეორე ქმრის ოჯახში; სადაც იგი ცხოვრობს მუდმივად რამოდენიმე წლის განმავლობაში. მასთან თქვენ გვეკითხებით ერგება თუ არა თქვენ ობოლ შვილის შვილს თქვენ სხვა შვილებთან ერთად საერთო ქონებისა და მიწიდან თანაბარი წილი.

გიპასუხებთ: ვინაიდან თქვენი შვილის შვილი უკვე მიღებულია თავის მამინაცვლის ოჯახში, როგორც მეკომური; ამიტომ თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 40-ისა და მასთან დართულ შენიშვნისა იგი აქ ითვლება კომლის სრულუფლებიან წევრად და კომლის ძირითად წევრებთან თანასწორი უფლებებით არის აღჭურვილი საერთო მიწების და ქონების სარგებლობაში. ამგვარად ის ჰკარგავს თქვენთან მიწით სარგებლობის უფლებას. მას უნდა მიეცეს მხოლოდ მისი მასის საკუთარი შრომით და კერძოდ შეძენილ სხვა ქონება (მიწა-ტყის გარდა) თუ კი ასეთი (ე. ი. ქონება) მას სიკვდილის შემდეგ დარჩა.

პროფკავშირის წევრს (წიგ. № 8248) პ. მაჭავარიანს

პასუხი

თქვენ გვწერთ, რომ თქვენი ძმა [illegible] ლით მიწის დამუშავებაში, იჩენს ძალადობას და არღვევს თქვენს, როგორც მიწის მოსარგებლის, უფლებებს [illegible] მიმართოთ ამის შესახებ.

გიპასუხებთ: თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 24-ისა, სათანადო განცხადებით. თქვენ უნდა მიმართოთ ადგილობრივ სარაიონო საადგილმამულო სასამართლო კოლეგიას და მოითხოვეთ თქვენი დარღვეული უფლებების აღდგენა.

მოქ. მარო მაჭავარიანს

პასუხი

მდგმურის ბინიდან გამოსახლება დაიშვება მხოლოდ სასამართლოს წესით და იმ შემთხვევებში, თუ კი იგი საბინაო ტარიფით დაწესებულ ქირას არ იხდის წესიერად (განზრახ), თავისი ავი ზნე-ჩვეულებით აწუხებს სხვა მდგმურებს ან და რაიმე ზიანს აყენებს სახლს ან ბინას და მათ მოწყობილობას. უმიზეზოდ მდგმურის ბინიდან გამოსახლება დაუშვებელია და არცაა შესაძლებელი.

გამოჩინებულის თემის მცხ. გლეხ ვასილ შანიძეს

პასუხი

თქვენ გვწერთ, რომ ოჯახში ხართ მარტო ცოლქმარი, გაქვთ სახლკარი და საყანე მიწები და გსურთ თქვენ კომლში მიიღოთ სრულიად უსახლკარო და უმიწაწყლო (ორ სულისგან შემდგარი) ოჯახი, გახადოთ ისინი თქვენი ოჯახის და ქონების მონაწილენი და მათთან ერთად აწარმოოთ მეურნეობა.

გიპასუხებთ: თქვენ გაქვთ ამის სრული უფლება, თუ კი ისინი თქვენ კომლში შევლენ მეკომურთა უფლებებით (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 40 და მისი შენიშვნა).

მედსანშრომის კავშირის წევრს (წიგნ. № 5936)

სათანადო განმარტებისათვის გირჩევთ მიმართოთ ქალ. აღმასკომის წყალსადენს.

მამა კირილე პავლეს ძე, დედა ეკატერინე გაბრიელის ასული, ძმები: გრიგოლ, პეტრე და შალვა, და მარგარიტა, ბიძა აკაკი პავლეს ძე, ბიცოლა მარო ალექსის ასული, ბიძაშვილები: ელეონორა და ჟიულეტა რუხაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ დღეს 13 იანვარს დღით დანიშნულია უდროოთ გარდაცვლილ მათთვის დაუვიწყარი

ალექსანდრა (საშურა) კირილეს ასული რუხაძის

გარდაცვალების 6 თვის მოსაგონარი პანაშვიდი წმ. ნინოს სასაფლაოზე ნაშუადღევის 3 საათზე

დამწუხრებული შვილები: ნადეჟდა, ნინო, ნიკოლოზ, მიხეილ, გიორგი და დიმიტრი; რძლები იულია და ნატალია და შვილიშვილები—გივი, თამარ, გივი, ლევან, თინიკო და გულნარა ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის უსაზღვროთ საყვარელი და ძვირფასი

მარიამ სოლომონის ასული დეკანოზიშვილისა

პანაშვიდი ოთხშაბათს, საღამოს 6 ნახ. საათზე, ხოლო გამოსვენება ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე ბინიდან, ნიკოლოზის ქ. № 45
2—1 1220

თავზარდაცემულნი ბარბალე იოსების ასული ზაზანაშვილი შვილებით თამარა, ქეთუშა, ირაკლი და ნუნუ, ელენა გიორგის ასული ბადოევა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, საყვარელ ქმრის, მამის და ძმის

გარსევან პეტრეს ძე ზაზანაშვილის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 10 იანვარს. პანაშვიდი ოთხშაბათს 12 იანვარს, საღამოს 6 საათზე განსვენებულის ბინაზე მონუმენტის შესახვევი № 6 (ვორონცოვის მახლობლად). ცხედრის გამოსვენება ხუთშაბათს 13 იანვარს განსვენებულის ბინიდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.
1122

გულდათუთქული დები ანნა და სოფიო პეტრე ზაზანაშვილის ასულნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დაუვიწყარ ძმის

გარსევან პეტრეს ძე ზაზანაშვილის

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, გამოსვენება 13 იანვარს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, საკუთარი ბინიდან მონუმენტის შესახ. № 6 (ვორონცოვის ძეგლთან). დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.
1226

სახელმწიფო დრამა
2—1 ნ. 468
ხუთშაბათს, 13 იანვარს
მეორეთ ფრ. შილლერის.
ვილჰელმ ტელ
დრამა 10 სურ. თარ. გერმანულიდან ს. შანშიაშვილის
მუსიკა: ჯიაკომო როსსინის.
დადგმა: დ. ანთაძის. მხატვარი: ირ. გამრეკელი.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა
ნ. 467
დღეს, 12 იანვარს მეორე აბონემენტის მე-6-ე წარმოდგენა
მეფის საცოლე
მონაწილ.: ბოკოვა, სკიბიცკაია, კანსბურგი, გორელოვი, შარაშიძე.
დირიჟორობს დამს. არტისტი სტოლერმანი.
ხუთშაბათს, 13 იანვარს
დოლონაძის, ვოლჩანეცკაიას, სპრიშევსკაიას და ქუმსიაშვილის მონაწილეობით.
კარმენი

ცირკი
ძმ. ტანტების
3—1 ნ. 465
ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
ოთხშაბათს 12, ხუთშაბათს 13 იანვარს
სანახაობანი 3 ვრცელ განყოფილებათ, 14 ნომრით. სახელგანთქმულ
ფრედ მარიონის
გასტროლები. დასაწყისი 8 ნახ. საათზე. იკითხეთ ჩვენი აფიშები
ადმინ. ხელმძღ. მ. ი. ტადე.

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარიალი
0—8 ნ. 219
განსაკუთრებული შედევრი, საუკეთესო სურათი
სიკვდილის ადგილი
ანონსი: მალე ახალი სურათი „ჩვენი სტუმართმოყვარეობა“ ბესტერ კიტონის მონაწილ.
მხატვრული ფილმი
დიდი ჰერცოგის ფინანსები
ჰარრი ლიდტკეს მონაწილეობით
მალე ახალი სურათი—„ზღვათა მბრძანებელი“.
მისს-მენდ მე-3 უკანასკნელი სერია
საუკეთესო სურათი აბრეკ ზაური
კინო-სურათი 10 ნაწილათ. კავკასიის ახლო წარსულიდან.
მთავარ როლ.: ვ. გუნია, ბესტაევი, სანოვი და ჩეჩელაშვილი

საქართველოს სახკინმრეწვის
ახალი სურათი
„ორი მონადირე“
რეჟისორი ა. რ. წუწუნავა
ოპერატორი ს. პ. ზაბოზლაევი
თვალყური ადევნეთ სურათის გამოშვებას
ნის. 469

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 15 იანვარს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 2 პუშკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის საზოგადოება „საეროს“ მოძრავ ქონებას: ხუთმეტ ცალს 40 ვედრიან მუხის კასრებს შეფასებულს 235 მანეთად, სურსათ-გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 დეკემბერს 1926 წ. თარიღით, № 5345 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1219

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. დ. ლომთაძე

ამით აცხადებს, რომ 29 იანვარს, დღის 12 საათზე სოფ. სვირში, ქუთაისის მაზრაში, ის გაჰყიდის **საჯარო ვაჭრობით** გიორგი მაქსიმეს-ძე სულაქველიძის ქონებას, რომელიც შეიცავს სამოცდაექვს ჩაფ (ფუთ) თეთრ შუმ ღვინოს, დაფასებულს 297 მან., დასაკმაყოფილებლად ქეთო და ბაბილინა სულაქველიძეების 263 მან. და 20 კაპ. ვალისა.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 1124

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. დ. ლომთაძე

ამით აცხადებს, რომ 29 იანვარს დღის 12 საათზე ის გაჰყიდის **საჯარო ვაჭრობით** არქიფო ხახულის-ძე ჰულუხაძის მდებარე სოფ. სვირში, ქუთაისის მაზრაში, ორ თვალ ფიცრულ საცხოვრებელ სახლს, რომელსაც აქვს ჰერი და იატაკი, ორი მხრით დერეფნები, დახურული კრამიტით, შეფასებული 333 მან., დასაკმაყოფილებლად მევენახეთა საზოგადოება „იმერეთი“-ს 320 მან. ვალისა.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 1124

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ს. გოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ლენინის ქუჩის შესახვევში, ბეჟანეიშვილის სახლში დანიშნულია 24 იანვარს 1927 წ. დღის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ვასილ და ანა ბეჟანეიშვილების სახლის მორთულობის—შკაფების, სკამების, მაგიდების, საკერავი მანქანის და სხვა, შეფასებულის 84 მან. და ანა ბეჟანეიშვილის შენობის მდებარე იმავე ქუჩის შესახვევში—ორ სართულიანი სახლზე, რომელიც შესდგება 2 თვალ ქვიტკირის და 3 თვალი სამზარეულოსი—ხის ოთახებისაგან, შეფასებულის 1000 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ველერიან გამყრელიძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ; ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 439

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. დ. ლომთაძე

ამით, აცხადებს, რომ 18 იანვარს, დღის 12 საათზე გაჰყიდის **საჯარო ვაჭრობით** ალექსანდრე გიორგის-ძე ერისთავის მდებარე სოფ. სალომინაოში, ქუთაისის მაზრაში ორ სართულიან ფიცრულის საცხოვრებელ სახლს—ზევითა სართული შვიდი ოთახი, ძირა 4 ოთახი, აქვს ორი მხრით დერეფნები, დახურული ყავრით, დაფასებული 2100 მან., დასაკმაყოფილებლად აჭარვაჭრობა—მრეწველობის 2408 მან. და 70 კაპ. ვალისა.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 1124

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი
მებრაგიანცი
ფილტვების, ელენთის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბომონდი“).
გარდა სექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების წუსილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი.
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარც-თერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1 ქ. 788

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი
ნ. ხეჩინოვი
დაბრუნდა რუსეთიდან ქუთაისში და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ბროწკლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი ა. დ. შახბაზიან
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუქბაძის ქ. 30 (ყოფილი ლიამინოვის ქ.) 25—1

მედიცინის დოქტორი
ზ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 12013 მოსე ანტონის ძე ჯორბენაძის სახელზე, ჩ. გ. 1281

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, მოცემული რაჭის მაზრა ველევის თემიდან ბიკენტი ბესარიონისძე ქელბაქიანის სახელზე, ჩ. გ. 1211

დაიკარგა პირადობის მოწმობა ტ. ს. უ. პოლიტ. ფაკულტეტის სტუდ. ლევან რჩეულიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1215

დაიკარგა პროფკავშირის და „ზაკტპს“ საწევრო წიგნაკი ნიკო იოსებისძე მეშველდიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1196

დაიკარგა სანგარიშო წიგნაკი № 1, გაცემული პოლიგრაფიული ტრესტის მე-3 სტამბისაგან ზაქარია ქარსაულიძის სახელზე, ჩ. გ. 1213

დაიკარგა აღრიცხვის წიგნაკი ფ. № 4, გაცემული ქ. თბილისის მე-3 უბნის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ 1924 წელს № 1250 გიორგი აბესალომისძე ორჯონიკიძეს სახელზე, ჩ. გ. 1228

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 1508, მოცემული მარტვილის რაიონში რაჟდენ ივანესძე გეგეჭკორის სახელზე, ჩ. გ. 1221

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 32 და სამხედრო საღრიცხვო ფურცელი № 156 გიორგი ილიასძე მესტიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1221

დაიკარგა რკინის გზის პროფკავშირის წიგნაკი № 1135 და პლეხანოვის კლუბის წიგნაკი ლავრენტი ლვაბერიძის სახელზე, ჩ. გ. 1123

დაიკარგა კოოპერატივის წიგნაკი № 730 | 508 ვლადიმე ბერძენაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 470

დაიკარგა უვადო პასპორტი № 135, სამხედრო ნუსხა, როგორც დაბადებული 1888 წელს, დუქნის ორდერი, მეტრიკული ამონაწერი და სხვადასხვა ქვითრები პლატონ იაკოფისძე დემიდოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 470

დაიკარგა აღრიცხვის წიგნაკი, ფ. № 4, გაცემული ქალ. თბილისის მე-10 უბნის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ 1924 წელს № 2053 დავით სიმონისძე ყიფშიძეს სახელზე, ჩ. გ. 1227

Выданную мною доверенность на имя Александра Герасимовича Арутинова за № 2658 считать недействительной.
121

ამასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.